# საერთო გაზეთი

№3 (315) ● 4 თებერვალი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი




## როდის შეწყდება ჯეკი მფატრავების პარაპაში საქართველოში და როდის გამოიძიებენ ასობით გაუხსნელ მკვლელობას?

**დავით ლორთქიფანიძე:**

## მთავრობაში აუცილებლად მოხდება გადადგილებები...

**ჰამლეტ გეგია:**

## ჩვენ გვაქვს შანსი, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად ვაქციოთ

**გიორგი ჩხეიძე:**

## ვინ არიან ეს ასო-ები, ანუ მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები?

**ლევან კოჭლოშვილი:**

## არ გამოვრიცხავ, რომ იური ვაზაგაშვილის შემდეგ მორიგი სამიზნე ლადო ბედუკაძე იყოს...



**პეტრე მამრაძე:**

## პუტინს და მის ჩეკისტურ გარემოცვას პირადი აგენტი ვერ გაუკეთებდა საქმეს ისე კარგად, როგორც ეს სააკაშვილმა გაუკეთა

**დენიზა სუმბაძე:**



## საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

„შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის, მალტის მასონური ორდენის კავალრის მიერ, მისი გაპრეზიდენტებისთანავე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეიცვალა ხუთჯვრიანი დროშით, აღიარებულია იერუსალიმის სამეფო დროშად. ე.ი. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ისე რომ არაფერი უკითხავს ქართველი ხალხისათვის, იერუსალიმის სამეფოდ ცნობილი დროშა გამოუცხადებია საქართველოს დროშად.“

„...საჭიროა ჩავთვალოთ, მშვიდობით ვუხმოთ ქართველ ხალხს“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-2



„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

## გიორგი ქვანია ადასტურებს, რომ ზურაბ ქვანიას ერთ-ერთ რეგიონში გარდაცვალებაზე ინფორმაცია პროკურატურას აქვს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზურაბ ჟვანიას ძმა გიორგი ჟვანია ადასტურებს, რომ ყოფილი პრემიერის საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მთავარ პროკურატურას აქვს.

მან ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი მსჯავრდებულის მტკიცებით, ზურაბ ჟვანიას მკვლელობა კახეთში მოხდა.

„რაც შეეხება გუშინდელ განცხადებას, მსგავსი ინფორმაცია პროკურატურაში შესულია და ის მოწმდება“, — განაცხადა გიორგი ჟვანიამ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში ექს-პრემიერის საქმესთან დაკავშირებულ პროცესზე მოსამართლე დავით მგელიაშვილმა სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში მყოფის პატიმრის, თეიმურაზ გვარაძის განცხადება წაიკითხა.

როგორც მსჯავრდებული განცხადებაში აღნიშნავს, იგი სნაიპერი იყო და წლების განმავლობაში ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ემსახურებოდა.

„ჟვანიას და უსუპოვის მკვლელობის მოწმე ვარ. ეს მკვლელობა კახეთში, თელავის რაიონის ერთ-ერთ ოჯახში მოხდა, არანაირი ნემსი არ გაუკეთებიათ, სხვა რამით მოხდა მათი მკვლელობა.

ამ მკვლელობას ვინც ესწრებოდა, ამჟამად სამი მათგანი მინისტრია. მაქვს ამის ვიდეოჩანაწერი, რომელიც კბილაშვილს გავუგზავნე. პრემიერს და ამ მთავრობას ფეხებზე კიდია ჩემი მტკიცებულება. მე ღარიბაშვილის პირადი პატიმარი ვარ“, — ნათქვამია პატიმრის განცხადებაში.

## ჯეიმს აპატურაი - ნატო-ს არ აქვს ძალა, ხელი შეუშალოს დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას



კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის განცხადებით, ნატო-ს არ აქვს ძალა, ხელი შეუშალოს დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას. ამის შესახებ მან ‘‘საზოგადოებრივ მაუწყებელთან’’ინტერვიუში განაცხადა.

‘‘ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ხელშეკრულებას ძალა არ აქვს. მას არავინ სცნობს. ეს არის საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვეა’’, - განაცხადა აპატურაიმ.

მისივე თქმით, ამ ახალ, ე.წ. ხელშეკრულებას არ ექნება ძალა, ისევე, როგორც არ აქვს და არასდროს ექნება ძალა ე.წ. ხელშეკრულებას, რომელიც სოჭში, გასულ წელს აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობასა და რუსეთს შორის გაფორმდა.

‘‘ჩვენ არ ვაღიარებთ არათუ ამ ხელშეკრულებების, არამედ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. ჩვენ არ გვაქვს ძალა, რომ ხელი შევუშალოთ რუსეთს, ვაიძულოთ, რომ არ გააფორმოს ეს ხელშეკრულება. ჩვენ ვეხმარებით და გავაგრძელებთ საქართველოსთვის დახმარების გაწევას პოლიტიკურ, პრაქტიკულ და დიპლომატიურ დონეზე’’, - აღნიშნა აპატურაიმ.

## ზურაბ ადეიშვილზე ინტერპოლმა ძებნა გამოაცხადა



საქართველოს იუსტიციის ყოფილ მინისტრზე, ზურაბ ადეიშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

ზურაბ ადეიშვილზე, ძებნის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ინტერპოლის გვერდზეა განთავსებული.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ადეიშვილს საქათველოში ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზება, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა, რაც გამოიხატა სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციისა და დანაშაულთა პროვოკაციის ორგანიზებაში.

ცნობისთვის: ზურაბ ადეიშვილი 2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრად. 2004 წლის თებერვლიდან 2004 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე. 2004 წლის ივნისიდან 2008 წლის იანვრამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურორი. 2008 წლის იანვრიდან 2008 წლის ნოემბრამდე ეკავა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პოსტი, 2008 წლის 2 ნოემბრიდან – 2012 წლის 25 ოქტომბრამდე კი – საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა.

## აშშ საქართველოსა და მოლდოვას 51 მლნ დოლარს გამოუყოფს



აშშ-ი საქართველოსა და მოლდოვას რუსეთის ზეწოლის და მისი აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად 51 მილიონ დოლარს გამოუყოფს.

აფპ-ის ინფორმაციით, საქართველოსა და მოლდოვას დახმარებას აშშ-ის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესს წარუდგინა.

2016 ფინანსური წლისთვის აშშ-ის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპისთვის ფინანსურ დახმარებას რუსეთის ზეწოლისა და აგრესიული ქმედებების საპასუხოდ.

აფპ-ის ინფორმაციით, რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად ფინანსური დახმარების სახით, უკრაინა აშშ-სგან 117 მილიონ დოლარს მიიღებს. ამასთან ერთად, აშშ-ი მზად არის უკრაინას სესხის სახით 1 მილიარდი დოლარი გამოუყოს.

‘‘ბიუჯეტი ითვალისწინებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მხარდაჭერას უკრაინისა და რეგიონის ქვეყნებისთვის, რათა წინ აღუდგნენ რუსეთის ზეწოლასა და აგრესიულ ქმედებებს’’, - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - აფხაზეთის რეგიონში ნებისმიერი ოფისის გახსნა ქართულ მხარესთან იქნება შეთანხმებული



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთის რეგიონში ნებისმიერი ოფისის გახსნა შეთანხმებული იქნება ქართულ მხარესთან. როგორც საგარეო უწყებაში აცხადებენ, აფხაზურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია და მისი კონტექსტი, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება, უზუსტობებს მოიცავს.

„ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის რეგიონში ნებისმიერი ოფისის გახსნა შეთანხმებული იქნება ქართულ მხარესთან, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. რაც შეეხება კონკრეტული პროექტების განხორციელებას, აღნიშნული უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას და მათი ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილებას’’, - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ჰერბერტ ზალბერი სოხუმში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის ოფისის გახსნის შესაძლებლობით დაინტერესდა. როგორც ‘‘აპსნიპრესი’’ იუწყება, ამის შესახებ საუბარი ჰერბერტ ზალბერისა და აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შეხვედრისას შედგა.

## პატიმრის გაქცევის საკითხზე გურჯაანის სასამართლო განმარტებას ავრცელებს



გურჯაანის რაიონული სასამართლო სასამართლო შენობაში მომხდარ ინციდენტს ეხმაურება. როგორც სასამართლოს განცხადებაშია აღნიშნული, 2015 წლის 2 თებერვალს, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე მიტო ხინაშვილი განიხილავდა ბრალდებულ დიმიტრი ხაჩიაშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დიმიტრი ხაჩიაშვილს შეეფარდა პატიმრობა.

‘‘პროცესის დასრულების შემდეგ, პოლიციის მიერ პატიმარი ჩაყვანილ იქნა სასამართლო შენობაში, პატიმართა დროებითი მოთავსების საკანში. კანონის შესაბამისად, ის იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. სწორედ ამ საკნიდან მოახერხა პატიმარმა დიმიტრი ხაჩიაშვილმა გაქცევა.

სასამართლო მოუწოდებს ყველას, რომ დაუზუსტებული და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან თავი შეიკავონ, რათა არ მოხდეს საზოგადოებისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება და სასამართლოს დისკრედიტაცია’’,-ნათქვამია გურჯაანის სასამართლოს განცხადებაში.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# დავით ლორთქიფანიძე: „მთავრობაშიც, აუცილებლად, მოხდება გადადგილებები, თუმცა ღარიბაშვილთან მიმართებაში ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა“

***„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს ДАВИТ ЛОРТКИПАНИДЗЕ ესაუბრა.***

**— „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის პოსტი ირაკლი კობახიძემ დაიკავა, რატომ, მაინც და მაინც, ის, ბატონო დათო? ფიქრობთ, სხვა გუნდიდან მოწვეული ადამიანი პარტიას აგიშენებთ? სად არიან ის ადამიანები, ვინც ქართულ ოცნებასთან ერთად ნაცების წინააღმდეგ იბრძვოდნენ?**

— ჯერ ერთი, ეს ადამიანი სხვა გუნდიდან არ მოსულა, ის, არც ერთი გუნდის წევრი არ ყოფილა. ირაკლი ძალიან განათლებული ახალგაზრდა კაცია. ის ძალიან კარგი სპეციალისტია თვითმართველობებისა, ამასთანავე არის კონსტიტუციონალისტიც.

**— პარტიული მუშაობის გამოცდილება, რომ არ აქვს?**

— მართალია, პარტიული მუშაობის გამოცდილება არ აქვს, მაგრამ მას აქვს დამჯდარი მუშაობის გამოცდილება. დღეს, პარტიას აღმასრულებელ მდივნად სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია საათობით, თუნდაც 24 საათიან რეჟიმში იჯდეს, ინფორმაციები აიღოს რაიონებიდან, შემდეგ ამ ინფორმაციების ანალიზი გააკეთოს და ამ ანალიზს მოაკლოს მოქმედებები. მე ვფიქრობ, რომ ირაკლი ამ ყველაფერს, ზოგადად მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს მშვენივრად გაართმევს. მას არაფერი აქვს ზურგს უკან ისეთი, რომლის გამოც ის ვინმესთან შეიძლება ვალდებულებებით იყოს დატვირთული, დარწმუნებული ვარ, სერიოზულად მიუდგება ამ საკითხს. მისი ამ პოსტზე მოსვლის შემდეგ ჩვენ გავედით რაიონებში, დეპუტატტა 4 კაციანი ჯგუფები (ორი დეპუტატი, ერთი ანალიტიკოსი და ერთი კოორდინატორი). 4-5 დღიანი გასვლები გვქონდა, შედგენილი გვქონდა კითხვარი, რომელიც ირაკლის მიერ იყო დამუშავებული, რაიონებში მოვახდინეთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესწავლა- შეფასება. შემდეგ ეს ინფორმაციები წარვადგინეთ ცენტრალურ ოფისში და ველოდებით, რომ თებერვლის თვეში იქნება ჩვენს მიერ წარდგენილი ყველა რეგიონის პრობლემატიკის განხილვა. ამ პროცესმა მთელი საქართველო მოიცვა და ვფიქრობ, რომ საინტერესო განხილვები იქნება. არ ვიცი ირაკლიმ ეს ნაბიჯი ექსკლუზიურად გადადგა თუ გენერალურ მდივანთან ერთად, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მოსვლის შემდეგ ეს საქმიანობა წამოვიწყეთ, რაც მისასალმებელია. ეს არ იქნება ერთჯერადი, შეხვედრები გაგრძელდება. ვფიქრობ, ეს შედეგს გამოიღებს. მე ამ პროცეს ახალი ხელმძღვანელის მოსვლას ვუკავშირებ. რაიონებს გამოცოცხლება დაეტყო, პარტია რომ გასაცოცხლებელია, ეს ცალსახაა.



ირაკლი კობახიძე

**— რა გახდა პარტიის აშენება, ბოლოს და ბოლოს, რით ვერ დაადგა საშველი...**

— ვფიქრობ, ეს გარდაუვალია პროცესია. ის ადამიანები, რომლებიც ტყვიაზე იყვნენ წასულები, თავი გაწირეს და ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის გვერდით დადგნენ დღეს სათანადოდ დაფასებულნი არ არიან, ამ ხალხს სჭირდება დაფასება. და ეს გასვლები იყო ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ არამარტო ვიზუალურად, არამედ უკვე ფიზიკურადაც შევეხეთ ამ ადამიანებს, მათთან ერთად რამდენიმე საათი ვისხედით, ჩავინიშნეთ ყველა ის პრობლემატიკა, რაც აქვთ, მოვაქციედ ერთ ინფორმაციულ ველში და შემდეგ ამ ინფორმაციებს განვიხილავთ. დაინიშნება განხილვის გრაფიკი და ამის მიხედვით მოხდება შემდგომ ყველა რაიონთან მიმართებაში ამის გაანალიზება. ეს ადამაინები, ჩვენი მომხრეები აუცილებლად იქნებიან ჩართულნი პროცესებში (ასეც უნდა იყოს). მე ჩემი სახელით შემიძლია ვთქვა, რომ იმ ხალხს, რასაც დავპირდი და ის, რასაც ისინი ამბობენ, ეს ინფორმაცია აუცილებლად მივა ცენტრამდე. ამ ინფორმაციას ჩვენ გავაჟღერებთ, დავსვამთ ამ საკითხებს, ოღონდ გადაწყვეტა უკვე ჩემს ძალებს აღემატება. თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს ჩაითვლება პოზიტივად და თუ არ იქნება მიღებული, არ დაიძვრება ეს ყინული, არ გალღვება, მაშინ ეს იქნება, არა მარტო პარტიისთვის ძალიან ცუდი, არამედ ქვეყნისთვისაც, რადგან ჩვენ ვართ პოლიტიკური გუნდი და პასუხისმგებლიანი პოლიტიკური გუნდი თავის გვერდში მდგომ ხალხს უნდა ექცეოდეს ისე, როგორც უნდა ექცეოდეს თავმოყვარე პოლიტიკური ძალა. ამის გადაწყვეტა პარტიის ლიდერების პრეროგატივაა. არ დაგიმალავთ, ერთ - ერთ რაიონში შეხვედრაზე რა მითხრეს. როდესაც შეხვედრაზე გეუბნებიან, რომ საკრებულოს თავჯდომარე არის ნაცების ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი, მისი მოადგილე კი, ნაცების ყოფილი გამგებელი და გეუბნებიან, გაგვაგებინეთ ეს ადამიანები ვინ არიან, რატომ უნდა იყვნენ ესენი და რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენო, რა უნდა ვუპასუხო მათ? ადამაინები, როცა ხედავენ, რომ საკრებულოს თავჯდომარე არის ნაციონალი, იქ უკვე ლაპარაკი ზედმეტია რამეზე, შენ რაღა უნდა აუხსნა მათ? არ დაგიმალავთ და ჩვენ ეს ანალიზი გავაკეთეთ ამ შეხვედრებზე და ახლა ველოდებით ამის განხილვას. ვიმეორებ, თებერვალში დაიწყება ეს განხილვები.

**—სამართლიანობის აღდგენის პროცესიც თებერვლიდან დაიწყებაო, განაცხადა, ყოფილმა პრემიერმა, რას ელით ამ მხრივ, კადრების წმენდას თუ იმ ადამაინების, წინა ხელისუფლების პირების, ვის მიმართაც არსებული პრეტენზიები ბოლომდე არ მიგიყვანიათ, დასჯას?**

— ბატონი ბიძინა რას გულისხმობდა ვერ გეტყვით, მაგრამ გეტყვით, მე როგორ გავიგე მისი ნათქვამი, ბოლოდან დავიწყებ. ის, ვინც შემჩნეულია დანაშაულებში, პასუხისმგებლობა მათზეა და ეს პასუხისმგებლობა ბოლომდე ვერ მივიდა, აი, ეს უნდა მივიდეს ბოლომდე, ყველამ უნდა აგოს პასუხი. აი, უფრო ეს პროცესი დაიწყება და არც სხვა პროცესი დარჩება, ასე ვთქვათ, რეაგირების გარეშე. დასამალი არ არის, რომ ძალოვან უწყებებში, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ძალიან ბევრი ძველი კადრი არის შენარჩუნებული. ადამაინები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს სიბინძურეებში არიან გარეულნი, უნდა დაისაჯონ, მინიმუმ სამსახურიდან უნდა წავიდეს ყველა, უკლებლივ ყველა.

**— ფიქრობთ, ეს პროცესი რეალურად დაიწყება?**

— დიახ, ჩვენ ჩვენი პოლიტიკური ლიდერები გვარწმუნებენ, რომ ეს ასე იქნება და მე არ მაქვს საფუძველი, რომ არ ვირწმუნო ეს.

**— ბევრს ვიხილავთ გისოსებს მიღმა?**

— კიდევ გეუბნებით, არავინ არის მოსურნე, რომ ადამაინები ციხეებში მოხვდნენ, მაგრამ ყველა დანაშაულს აქვს თავისი საზომი, ზოგი არის სისხლის სამართლის დანაშაული, ზოგი ადმინისტრაციული, მორალი ვფიქრობ, აქ მთავარია, ყველა თავის დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე იქნება დასჯილი. ის ადამიანები კი, რომლებიც მორალურად არ არიან მართალნი, უნდა იყვნენ გაკიცხულნი და სამსახურიდან გათავისუფლებულნი, დათხოვნილნი და თუ საჭიროა დაკავებულნიც. დიახ, დაიჭირონ კიდეც რა! სახელმწიფო ამისთვის არსებობს.

**— ივანიშვილიმა არ არის გამორიცხული ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში დადგესო, განიხილავთ ამ საკითხს კოალიციაში?**

— კოალიციაში ამ თემაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა. ჩვენ, ყველა ვთანხმდებით, რომ ბატონი ბიძინა არის ადამიანი, რომელიც ყოველგვარი მიკიბ - მოკიბვის გარეშე საუბრობს, რასაც ფიქრობს იმას ამბობს ხოლმე და მე მის აზრს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მე არაერთხელ დამიფიქსირებია შემდეგი - თუ პოლიტიკაში ხარ, პოლიტიკოსობაზე გაქვს პრეტენზია და გინდა, რომ შენი პოლიტიკური ბეგრაუნდი გააგრძელო, არჩევნებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყო, მაგრამ აქ ერთი მომენტია - ჩვენთან რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მექანიზმი კანონმდებლობით საკმაოდ მძიმეა, ეს არ არის ადვილი პროცესი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ იქნება ამის აუცილებლობა, არ გამოვრიცხავ, რომ დაინიშნოს კიდეც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ჩემი აზრით, ამით არც არაფერი დაშავდება ჩემი. 4 თებერვლიდან კოალიციაში დაიწყება მსჯელობა ყველა საკითხზე, თუმცა ამას ჩვენ საჯაროდ არ გამოვიტანთ.

**— უნდა ველოდოთ თუ არა სახელმწიფო სტრუქტურებში საკადრო ცვლილებებს, ასევე სამთავრობო ცვლილებებსაც, ამბობენ, ღარიბაშვილი მოსახსნელად არის გამზადებულიო...**

— სახელმწიფო სტრუქტურებში საკადრო ცვლილებებს ველი, ის პროცესები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ბუნებრივად მოიტანს საკადრო ცვლილებებს. მთავრობაშიც, აუცილებლად, მოხდება გადადგილებები. გავრცელებული ინფორმაცია ღარიბაშვილის მოხსნის შესახებ კი, არ მიმაჩნია სერიოზულად, სპეციალურად არის ეს თემა აწეული და ქართული ოცნების დასუსტებას ემსახურება. ეს თემა ნაცების აწეულია, ცდილობენ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. ვიმეორებ, ღარიბაშვილთან მიმართებაში ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა.

**— ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას დაარტყა. მისი ხელმძღვანელობით დაფუძნებული ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურის და კახა კოჟორიძის საქმიანობასთან დაკავშირებით კვლევაზე მუშაობს. „ჩვენ საინტერესო კვლევას დავდებთ მათზე. ძალიან ბევრი კითხვა გვაქვს, — აღნიშნა ივანიშვილმა, რამაც აშშ-ს ელჩის შეშფოთება გამოიწვია. რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი?**

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში პრესას, მასმედიას არანაირი საშიშროება არ ემუქრება, ეს რომ ასე ყოფილიყო აქამდე მოხდებოდა. უბრალოდ, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები თავის თავზე ბევრს იღებენ. აშშ-ს ელჩმა აღნიშნა, რომ ისინი პარტნიორულ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან და ამაში მე ცუდს ვერაფერს ვხედავ. ძალიან კარგია რომ ასეთ ურთიერთობაში არიან. ამბობენ, ამით დემოკრატიას საშიშროება დაემუქრებაო, მაგრამ იცით რა არის, თუ ამ ადამაინებს არ აქვთ შავი ლაქები, მაშინ რა პრობლემაა ვერ გავიგე ?! შენ თუ სუფთა გზით მიდიხარ და შენ თუ მიდიხარ იმ გზით, რომელიც შენი ქვეყნის გნვითარების საწინააღმდეგო არ არის, შენ არაფერი უნდა გაშინებდეს. ეს ადამაინები საკმაოდ კარგად ახერხებენ სხვისი უფლებების დაცვას და მე არ მგონია, რომ საკუთარი უფლებების დაცვა გაუჭირდეთ. არ ვიცი, რატომ დადგა საკითხი ასე, ეს ბატონმა ბიძინა უკეთ იცის. მთავრობაზე მეტი არასამთავრობოები რომ არიანო, აღნიშნა ბიძინამ, ასე რომ, თუ მათზე გვექნება მეტი და სწორი ინფორმაცია, ამით არაფერი დაშავდება. რა მოხდა მერე? საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე თუ მოიკითხეს მათი საქმიანობა, ამაში, სიმართლე გითხრათ, ტრაგედიას ვერ ვხედავ.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

# ვინ არიან ეს ასო-ები ანუ მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს დიდი ხანია ძირს უთხრიან?



„მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები რომ არიან, უფრო სწორად, პიროვნებები: ლომჯარია („სამართლიანი არჩევნები“), კოჟორიძე („საია-ს“ ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი) და გიგაური („საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“) — ჩვენ საინტერესო კვლევას დავდებთ მათზე. ძალიან ბევრი კითხვა გვაქვს. თვითონ მათზე გვაქვს კითხვები, რამდენადაც ტაბუ დაადეს რაღაც საკითხებს — არასამთავრობოებს ვერ შეეხებოდით, ასევე, ცდილობდნენ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი არ გაგვეკრიტიკებინა — ამის უფლება გვაქვს!“ — თქვა ბიძინა ივანიშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია რა კითხვები აქვს და ვინც მეტ-ნაკლებად გამგები იყო ამ ფრაზების, ყველა ახმაურდა. ადრესატები — ქვებუდნურად, მათი უცნაურად „კეთილისმყოფელი საქმიანობით“ თავმობეზრებული ხალხი კი მხიარულად.

უპირველესად ის ვიკითხოთ, რატომ გაალიზიანა ცალკეული პირები ექსპრემიერის სიტყვებმა?

ბატონ ივანიშვილსაც აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, მითუმეტეს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის რანგში და კიდევ უფრო მითუმეტეს, თუ ბოლო წლების მასმედიას გადავხედავთ — ასო-ების დამფინასებლის ინტერესებისა და საქმიანობის შესწავლას საზოგადოება ითხოვს და არა ერთი პირი ივანიშვილი. ბოლო-ბოლო, „გამჭვირვალობა“ რომ ჰქვია, ის ორგანიზაცია მაინც უნდა იყოს გამჭვირვალობაზე ორიენტირებული...

საქმეში სასწრაფოდ ჩაერთო აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი და განაცხადა, ივანიშვილი ყოველთვის გულახდილია, მისი მოსაზრება კი მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მაგრამ თავის მხრივ, „საია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან აშშ-ის საელჩოსიო“.

დედა, რა გაიახარა ქართველმა ხალხმა! — აშშ-ის პარტნიორები რომ არიან და არა საქართველოსი, ანუ აშშ-ის ინტერესებს რომ იცავენ საქართველოში საქართველოს საზიანოდ, ამაზე აქვთ დადასტურებული ეჭვი საქართველოს მოქალაქეებს და დაიწყო გადაძახილი:

„მაგარია ბიძო, საიდან შემოუარა? იცოდა სადაც უჭირდა ქვეყანას, საით უნდა მიემართა თავისი ჭარბი საზოგადოებრივი ავტორიტეტი, ზეჭარბი, მე ასე ვიტყოდი. ერთის მხრივ, ტელევიზია, ფილმები „ნაცებზე“, მეორეს მხრივ — არასამთავრობოები, რომლებიც უცხო ქვეყნის გრანტებზე ზიან. ბიძინა ახლა თვითონაც არასამთავრობოს წარმომადგენელია და სრული უფლება აქვს აკრიტიკოს როგორც არასამთავრობოები, ისე ხელისუფლება, ექსპერტები. ჩვენ, საზოგადოება, კი, დიდი ხანია ვაკრიტიკებთ ამ სამ არასამთავრობოს, მაგრამ აბა, ჩვენ მათ როგორ ავუმღვრევდით წყალს, ჩვენ ქვევით ვართ, ისინი — ზევით. მგლები არიან, მგლები!“

„აშშ-ის ელჩმა დაადასტურა, რომ კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარია და მათი არასამთავრობოები აშშ-ის ოფიციალური აგენტები არიან და ყოველ წელს ფინანსდებიან 30 მლნ დოლარით!“

„აგენტი — აგენტია, ვისიც უნდა იყოს, რუსის იქნება თუ ამერიკის, ორივე მოსაშორებელია!“


კახა კოჟორიძე

„ვინც აგენტებს გინიშნავს, ის არ უნდა მოიცილო?“

„ეგენი წლებია მილიონებით ფინანსდებიან უცხო ქვეყნიდან, უბრალო გლეხმა კი, საკარმიდამო ნაკვეთში მოწეული მოსავალი რომ თავის სარჩენად რუსეთში გაყიდოს, ერის მოღალატედ აცხადებენ, „ნაცებთან“ ერთად ეგენიც უნდა დამთავრდნენ!“

„ელჩის რეაქციამ ივანიშვილის კრიტიკულ შენიშვნაზე რიგი არასამთავრობოების მიმართ, დაადასტურა ამ ორგანიზაციების დაქვემდებარებული კავშირი აშშ-ის ხელისუფლებისადმი. ანუ ეს არასამთავრობოები ჩვენთვის არიან არა-სამთავრობოები, თორემ სხვისთვის ძალიანაც სამთავრობოები არიან. მოკლედ, ჩვენი ერთ-ერთი „დაუძინებელი მეგობარი“ აშშ მართავს ამ ტოქსიკურ სამეულს: „ნაცები“, „რესპები“ არასამთავრობოები!“

„ახლა კიდევ გიკვირთ „რესპუბლიკელები“ ვინ აირჩიაო?“

ახლა დაიწყება ისევ საქართველოსთვის მავნებელი, სხვადასხვა კუთხითა და ფორმით გამოვლენილი „არასამთავრობო აჯანყებები“, ანუ ის დროა, როცა ბატონი ივანიშვილის ნათქვამი უნდა დაიცვას ხალხმა, თუ უნდა რომ საკუთარი თავი დაიცვას და საქართველოს სასიკეთოდ დასრულდეს წამოწყებული საქმე!

რა გამჭვირვალობა, რომელი ახალგაზრდა იურისტები და სამართლიანი არჩევნები! მათი ხმა არავის გაუგია იმ ცხრა წლის მანძილზე, საქართველოში რომ ცოდვის კალო იყო დატრიალებული, თითქმის ყოველ მეორე ოჯახს პატიმარი, მოკლული, საპროცესო გარიგებით გამოშვებული, ცემისგან დაინვალიდებული და ა.შ გაუბედურებული რომ ჰყავდა ხელისუფლებისგან; მათი ხმა არავის გაუგია, როცა სისხლიანი რეჟიმის შემკვეთ-აღმასრულებლები ვერ ძღებოდნენ ცალკე — უდანაშაულო ადამიანების სისხლით, ცალკე — ადამიანებისა და ზოგადად, ქვეყნის ძარცვით; მათი ხმა არავის გაუგია როცა ფარსად ჩატარებული არჩევნების შედეგები იდებოდა, ისე უხმოდ ათეთრებდნენ ყველა სისხლის ლაქას. სამაგიეროდ, საქვეყნო საქმის კეთების ნაცვლად, დიდი მონდომებითა და შემართებით აკრიტიკებდნენ პატრიარქს; არ აძრწუნებდათ მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის დარბევა და ტაძრების ნგრევა, მაგრამ იცავდნენ და ახალისებდნენ ყველა არამართლმადიდებლის უბრალო დაჩივლებასა თუ ცალკეული სექტანტური ორგანიზაციის მხარგაშლას; ფეხზე ეკიდათ ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდები, მაგრამ მკერდით ეფარებოდნენ ქუჩაში გამოშლილ გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს — ყველაფერს რა ჩამოთვლის...

რაც ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს და ფაქტობრივად საკუთარ ნება-სურვილზე მოინდომეს საქართველოს გადაკეთება (ყოველ შემთხვევაში, ყველანაირად ცდილობდნენ და ში, პირუკუ, უფრო გაძლიერდნენ, კიდევ უფრო მოღონიერდნენ და ლამის არის, მინისტრებიც კი მათ დაგვინიშნონ. მე ვგულისხმობ ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელიც არის განაყარი „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ახლა უკვე რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი „თავისუფლების ინსტიტუტი“ გვიტევს ყველა მხრიდან, ეკრანიდან, გაზეთის ფურცლებიდან, სამთავრობო ტრიბუნებიდან, პარლამენტიდან და ა.შ

ჩემთვის დავაფიქსირე, რომ ეს ძალა კი არ გაჩერდა და კი არ მიიმალა, არამედ, პირიქით, წინა პლანზე გამოვიდა და ახალი გაქანებით ცდილობს იმ მიზნების განხორციელებას, რაც ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებას და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.

ჩემის აზრით, დღევანდელი დღე არის დასაბამი და დასაწყისი იმისა, რომ ჩვენ პირდაპირ და გულწრფელად ვთქვათ, ამ ძალების პარპაშს არ მოვითმენთ,


ნინო ლომჯარია

ცდილობენ), საჯაროდ და პირველმა, „საერთო გაზეთის“ რედაქტორმა, ბატონმა ვახტან ხარჩილავამ ამოიღო ხმა. ტაშმა იქუხა დარბაზში საზოგადოება „ლაზარეს“ დამფუძნებელ კრებაზე თეატრის მოღვაწეთა კავშირში (მსახიობის სახლი), როდესაც ის თქვა პოეტმა, რასაც სხვაც ბევრი ფიქრობდა და მიზეზთა გამო თქმისგან თავს იკავებდა.

**ვახტანგ ხარჩილავა** (**ამონარიდი გამოსვლიდან**): — „ჩემდა გასაკვირად და გასაოცრად (ალბათ, აქვს ამას თავისი მიზეზები), 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც გვეგონა, რომ ჩვენი გამარჯვების შემდეგ ის პრობლემები, რაც ქართველი ხალხის წინაშე იდგა და რასაც ჩვენ, თითოეული თქვენთაგანი და მთლიანად ქართველი ხალხი ეწინააღმდეგებოდა ამ 12 წლის განმავლობაში, მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სწორედ ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ სვლაეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ!

ნამდვილად არაფერი არ გვჭირს ჩუგოშვილების, ჯანეზაშვილების და მსგავსი ვილაცების ჭკუის სასწავლებელი! სამარცხვინო რამ არის როდესაც ერი ამას ითმენს და კიდევ უარესი, მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი რომ მათ მდაბლად უხრის თავს. ეს სამარცხვინო ამბავია და სწორედ დღევანდელი დღე არის დასტური იმისა, რომ ჩვენ ამას არ შევეგუებით!

ერთი რამ უნდა ვთქვათ — „არასამთავრობო ორგანიზაცია“ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. რეალურად, ეს არის ვილაცების მიერ კარგად დაფინანსებული, მძლავრი სტრუქტურის მქონე რაღაც, აგენტურული ქსელის მსგავსი რამ. ჩვენ ვართ გაჩუმებულები, თითქოს, რაღაც არასრულფასოვნების კომპლესით ვართ შეპყრობილები და როდესაც რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაცია (რომლის სათაო ოფისი საქართ-

ველოს საზღვრებს გარეთაა) რაღაცას გვეუბნება, ჩვენ პასუხს ვერ ვცემთ. კი, რაღაცას ვამბობთ, მაგრამ არ ჩანს ის საჭირო ხმა, ერის ხმა, რომელიც ხმას ჩააკმედინებს და ჩააწყვეტინებს აი, ასეთ „ვაი, ჭკუის“ დამრიგებლებს!“

სხვათაშორის, „საია“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის იყო 1 ოქტომბრამდე (თავმჯდომარე – თ. ჩუგოშვილი), რომლებმაც ხელი არ მოაწერეს მემორანდუმს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიან და ევროსაბჭოს ეგიდით სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვდნენ – „საია-ს“ მოტივი ასეთი იყო, არ გვაქვს შესწავლილი მათი საქმეებიო. საპასუხოდ საქართველოს სასჯელაღსრულების ადგილებში მყოფმა პოლიტპატიმრებმა გაავრცელეს განცხადება, სადაც გამოთქვამდნენ გაკვირვებას „საია-ს“ მისამართით,



ეკა გიგაური

რომელმაც ბოლო წლებში 3,5 მილიონამდე გრანტი მიიღო და ამ ხნის განმავლობაში არ შეისწავლა 200-მდე პატიმრის საქმე; რომ წინა ხელისუფლების დროს „საია“ მაქსიმალურად ცდილობდა თავი აერიდებინა პოლიტპატიმრების პრობლემის არსებობის დაფიქსირებისგან; რომ იმჟამადაც სააკაშვილის ბნელი საქმეების გამთეთრებლად წარმოჩინდა – განცხადებას ხელს აწერდა 32 პოლიტპატიმარი.

სადავოა, რომ კორუფცია და გრანტები არის სერიოზული ინსტრუმენტი უცხო ქვეყნების დაზვერვის ხელში, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება არასამთავრობო სექტორის გავლით ხელისუფლებაში მოსული ძალების თავისი გავლენის აგენტებად ჩამოყალიბება? რომ ეს თითქოს სრულიად ლეგალური გრანტების სისტემაა რომელიც ნჯო-ების მეშვეობით კვებავს ლეგალურ აგენტურას საქართველოში და ყველა პოსტსაბჭოთა (არა მხოლოდ) ქვეყნებში?

შოთა გლურჯიძე (ფბ-იდან): – „ნჯო ბაგა-ბაღის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტი ცოლ-ქმარი ამ გზის გავლის შემდეგ „რესპუბლიკური პარტიის“ სათავეში ვიხილეთ. ეს პარტია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა უშიშროებამ ლოიალურად „დაუშვა“ ახლა გვევლინება „ქართული ოცნების“ წარმმართველ ძალად (საინტერესოა, რომ პარტიის დამფუძნებლები ლევან რამიშვილთან და გიგა ბოკერიასთან ერთად ნჯო „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამფუძნებლებიც არიან) დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს კი კომპრომატებისა და კორუფციის მეშვეობით მართავენ. ეს ყოველივე, ჩემი აზრით, მეტად დასაფიქრებელია უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით!!!

ნაძირალების რევანში აქაც მოსალოდნელია!!!“

სხვათაშორის, ვრცელდებოდა ხმა, ჯერჯერობით დავით უსუფაშვილის ავტორიტეტი აკავებთ „რესპუბლიკელებს“, თორემ ცალკე კოალიციად გარდაუვლად ჩამოყალიბდება „ნაციონალების“, „რესპუბლიკელების“ „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ (ესენი ვიღას დაჰკარგვია!) ერთობაო; მეორეს მხრივ, ირაკლი ალასანია-ნიკა რურუა-დავით ბაქრაძის ერთობაო...

ხალხს არ გაჰკვირვებია – რატომაც ვერა, განა მუდამ ერთად არ იყვნენ და ერთი ხის განაყარი არ არიანო? არასამთავრობო სექტორის სახეები, აბსოლუტურად ყველანი, ე.წ „ვარდების რევოლუციის“ თანამონაწილენი არიან (რა ეკითხებოდათ მათ რევოლუციასთან?). რაც შეეხება კონკრეტულ პირებს, უნიკალური მაგალითია ლევან ბერძენიშვილი, რომელიც „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერიც იყო და ამავდროულად, მიხეილ სააკაშვილთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ თანადამფუძნებელიც. „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“



ირაკლი ვაჭარაძე

მხოლოდ მაშინ გაიმიჯნენ (ესეც დროებით), როდესაც აჭარა ვარშალომიძეს ჩააბარა სააკაშვილმა და არა ბერძენიშვილებს, თორემ მანამდე ერთად იყვნენ და „ნაც-მოძრაობის“ სიაშიც ბრძანდებოდნენ...



დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი

ახლა, როცა ბატონმა ივანიშვილმა არასამთავრობოებისკენ გადაიქნია შოლტი, ყველას უპირველესად ბატონი უსუფაშვილის აზრი აინტერესებდა, რადგან ერთი, რომ პარლამენტის თავმჯდომარეა, მაგრამ უმთავრესი, პარლამენტის თამჯდომარისთვის „საია-ს“ წევრობის მოწმობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამშობლოს სამსახურში ყოფნა.

ვინ წარმოადგენს „საია-ს“, საიდან და როდის გაჩნდა საქართველოში.

„საია“ 1994 წელს დაფუძნდა და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და ასევე პირველი თავმჯდომარე 1997 წლამდე იურისტი, საჯარო პოლიტიკის მაგისტრი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე 2005 წლიდან და 2012 წლის 21 ოქტომბრიდან საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილია...

„საია-ს“ პირველი თავმჯდომარე, ბატონი უსუფაშვილი 1997-1999 და 2002-2004 წლებში მისმა მეუღლემ, დღეს საპარლამენტო უმრავლესობისა და „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ქალბატონმა თინა ხიდაშელმა (2004-2005 წწ ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მმართველი საბჭოს წევრი) შეცვალა, ხსენებული საზოგადოება კი, ვისი ფრთის ქვეშ იყო შეყუჟული და ვინ კვებავდა პირდაფჩენილს, ჯორჯ სოროსისა და ქალბატონი თინა ხიდაშელის გარდა ბევრმა სხვამაც იცის. ანუ, ასე ვთქვათ, ერთი „უწყინარი ოჯახური პოლიტ-ბიზნესია“...

თამარ ჩუგოშვილი 2009 წლიდან გახლდათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მდივანი, 2010 წლის 23 ნოემბრიდან კი „საია-ს“ გამგეობამ აირჩია „საია-ს“ თავმჯდომარედ, შემდეგ კი უცბად პრემიერ ივანიშვილის მრჩეველი გახდა...

ვინ ურჩია და ვის, უცნობია, მაგრამ ფაქტია, შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარ კანდიდატად „საია-ს“ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და „საია-ს“ გამგეობის წევრი თამარ კორძაია წარმოადგინა.

(თამარ კორძაიას კანდიდატურის წამოყენებას „პრაიმტაიმის“ პრეს-კლუბში ყოფილი პოლიტპატიმრის, გიორგი გაბედავას განცხადება დაერთო, კორძაია „ეჭვმიტანილია“ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოსურნეობაშიო და მისი პარლამენტში შესვლა დაუშვებლად მიაჩნდა)

**თვალსა და ხელსშუა ძალზე უცნაური სურათი გამოიკვეთა, „საია“, შესაბამისად „რესპუბლიკური პარტია“, ვიღაცას საქართველოს უფროსად დაუნიშნავს... ცხადია, „საიელი“ კოჟორიძის სახით პრეზიდენტის უფროსადაც კი...**

პრეზიდენტის მეგობრები მისივე ნათქვამიდან ვიცით, გიგი თევზაძე გნებავთ, თემურ იაკობაშვილი თუ გიგა ბოკერია და ახლა კოჟორიძეც იქა ჰყავს, ის კოჟორიძე, რომელმაც მას შემდეგ დაადასტურა სასტუმრო „მერიოტში“ მე-2 სართულზე გიგა ბოკერიასთან და სასტუმრო „რედისონის“ ბარში დავით ბაქრაძესთან შეხვედრა, რაც „ჭორიკანა“ ჟურნალისტებმა წაასწრეს. რატომ დაიარებოდა სასტუმროებში „ბობოლა ნაციონალებთან“ „საია-ს“ შეფი შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიასთან შეხვედრამდე, გაურკვევლი დარჩა, მაგრამ ის მაინც გაირკვა, რომ საერთო ინტერესს ემსახურებოდნენ.

ასეა თუ ისე, ახლა სახეზეა წარმოუდგენელი რეალობა, რომ თურმე 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ხალხი ნულოვანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკური პარტიისა“ და მისი ფილიალი ასო-ების ოცნებების ახდენაზე ოცნებობდა და „ქართული ოცნება“ მხოლოდ კოდური სახელი იყო...

აი, აქედან დაიწყო ახლა ბატონმა ივანიშვილმა, აბურდული ძაფის გორგალიდან ის პირველი წვერი ამოიღო, რომელმაც გორგალი უნდა გახსნას.

ვრცელი აღშფოთება გამოთქვა ზემოთ უკვე ნახსენებმა ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველომ“, მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირა თავდასხმები არასათავრობო ორგანიზაციებზე, ივანიშვილი კი ფაქტობრივად, აანონსებს ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების მაკომპრომატირებელი ინფორმაციის გავრცელებასო და ა.შ თუმცა იმედს გამოთქვამენ, რომ საზოგადოება ერთიანი იქნება ამ პრაქტიკასთან ბრძოლაში.

რომელი საზოგადოების იმედი აქვთ, არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ ის საზოგადოება, რომელსაც ხალხი ჰქვია, სწორედაც რომ ერთ-ერთ მოთხოვნად აღნიშნულ საკითხს აყენებს წლებია უკვე! ისე კი, იმ სამ ასო-სთან ერთად ეს ფონდი რატომ არ გაახსენდა ივანიშვილს, რომელსაც „ღია“ ჰქვია და რეალურად ისიც დახურული არის?

რუსეთის ამგვარი გადაწყვეტილება ვაშინგტონისთვის ლოყაში გარტყმად შეაფასეს თვით ამერიკულ პრესაში. აღსანიშნავია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განაცხადი რომ ის მზადაა გააგრძელოს თანამშრომლობა უშაIდ-თან ე.წ მესამე რიგის ქვეყნებში, სადაც მწვავედ დგას ჰუმანიტარული დახმარების აუცილებლობა... ახლა, ვინმე კობერიძე თვლის რომ რუსე-



თამარ კორძაია

თი ლპება? არა, კობერიძე ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ იქედნეს მწვანე კვერცხად შერაცხულ საკუთარ მეუღლეს წუხს, კიდევ – გრანტმეგობრებს, უპირველესად კი ისედაც ჩამოლაბორანტებულ საკუთარ თავს...

სანამ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა და ოფიციალურად აუკრძალავდა მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სააგენტოს საეჭვოდ მიჩნეულ საქმიანობას, საქართველოში უკვე დიდი ხნის წინ იყო დაწყებული ამაზე საუბარი, მაგრამ მიზეზთა გამო ხმამაღლა ლაპარაკს რატომღაც ისინიც ერიდებოდნენ, ვისაც ყველაზე მეტად აწუხებდა ეს ამბავი; ვისაც არ ერიდებოდა თქმა – ან სათქმელ ადგილს ვერ პოულობდა, ან თუ იპოვიდა, თუნდაც უკვე ახალი ხელისუფლების დროს, ყველანაირი უკადრებელი ხერხით ისე ბლოკავდნენ, როგორც „საერთო გაზეთსა“ და მის რედაქტორს და აი, ბატონმა ივანიშვილმაც თქვა, ის რაც სათქმელი იყო, მის სიტყვას კი, მიზეზთა გამო, სულ სხვა წონა აქვს...

**გიორგი ჩხეიძე**

**მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელის ლევან კოჭლოშვილის განცხადებით, იური ვაზაგაშვილის მკვლელობას ტერაქტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს და არ გამორიცხავს, რომ ამგვარი ქმედება კვლავ განმეორდეს, რომლის სავარაუდო სამიზნე ლადო ბედუკაძე შეიძლება აღმოჩნდეს.**



# ლევა კოჭლოშვილი:

# არ გამოვრიცხავ, რომ იური ვაზაგაშვილის შემდეგ მორიგი სამიზნე ლადო ბედუკაძე იყოს...

## არსებობს ინფორმაცია, რომ კორტებთა ჩახოცილი ბიჭები ჩვენების მისაცემად გენპროკურატურაში მიდიოდნენ

**ლევან კოჭლოშვილი:** „სამძიმარს ვუცხადებ არამარტო ბატონი იურის ოჯახს, არამედ მთელ საქართველოს, რადგან ეს ტრაგედიაა ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ელემენტარულად სამართლიანობის განცდის გრძნობა არ დაუკარგავს. მიმაჩნია, რომ იური ვაზაგაშვილი იყო ფლაგმანი სამართლიანობის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში. მისი მკვლელობა საზარელი ფაქტია, ძალიან მძიმეა მისი შეფასება, მაგრამ ობიექტურად უნდა შევაფასოთ, რათა სწორად გავაანალიზოთ დღეს არსებული რეალობა. ბატონი იურის მკვლელობის ფაქტს ტერაქტად იმიტომ მივიჩნევ, რომ ეს იყო სწორად შერჩეული სამიზნე, კარგად დაგეგმილი და პროფესიონალურად შესრულებული მკვლელობა, რომლის მიზანიც სავარაუდოდ, ქვეყანაში სამოქალაქო არეულობის გამოწვევაა. სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახოცილი უდანაშაულო ადამიანების სახელებს, იური ვაზაგაშვილის სახელიც შეემატა. რომელ უგუნურ წიაღშიც შეიძლებოდა დაბადებულიყო ეს ბინძური აზრი, ყველას კარგად მოეხსენება და მეც პირდაპირ ვიტყვი, რადგან მოფერების და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის დრო აღარ არის, ეს არის ნაციონალების ინტერესების გასატარებლად გაკეთებული საქმე. სწორედ ნაციონალების ინტერესებშია, რომ ეს საქმე არ გაიხსნას და ყველაფერი დღევანდელ მთავრობას დაბრალდეს, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა იქნება პრეცედენტისა და ანალოგის შექმნა, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს ხელისუფლების იმიჯზე. გაიხსენეთ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, მაშინდელმა მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა შეაზანზარა პირველად სააკაშვილის ხელისუფლება, ახლა იური ვაზაგაშვილის საქმით უნდათ ანალოგიური პრეცედენტის შექმნა. გათვლა იყო იმაზეც, რომ საზოგადოებაში გაჩნდეს შიშისა და დაუცველობის განცდა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა „რუსთავი-2“ აქტიურ პროპაგანდას ეწევა, ქვეყანაში კრიმინალმა იმატა, ვიღაცეებს ბანდიტები აუთოებენო და ა.შ.

ვისაც იური ვაზაგაშვილის შვილის საფლავზე აფეთქება მოუვიდა აზრად, ასეთი აზრები კვლავ მოუვა, შემდეგი სამიზნე ალბათ იმ კრიტერიუმით იქნება შერჩეული, რომ ვინც ჩვენ დაგვიპირისპირდა და პოლიტიკურად გავანადგურა, ვგულისხმობ ხელისუფლებიდან ჩამოცილებას, არავინ დარჩეს დაუსჯელი, იმ დროსაც კი, როდესაც ხელისუფლების სათავეში არ ვართ. ვფიქრობ, ნაციონალებს ამ გზავნილის გაკეთება უნდოდათ და დღესაც უნდათ. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამ პრინციპით შემდეგი სამიზნე შეიძლება ლადო ბედუკაძე გახდეს, ადამიანი, რომლის მიერ ციხიდან გამოტანილმა ვიდეოკადრებმა მნიშვნელოვნად განაპირობა 2012 წლის არჩევნებში ნაციონალების დამარცხება. იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ ლადოს ვესაუბრე და მასაც გავუზიარე ჩემი ვარაუდი. ჩვენი სამართალდამცავები ცხადია, ჩემზე კარგად იცნობენ საქმის არსს და ხვდებიან, რა გაგრძელება შეიძლება მოყვეს ბატონი იურის მკვლელობას, ამიტომ ისინი უფრო მოტივირებული იყვნენ, რომ ეს დანაშაული აუცილებლად გაიხსნას, გამორიცხულია, რომ მათ ყურადღება მოადუნონ და ეს საქმე ჩაიფარცხოს.

**- ლევან, არაერთხელ ითქვა, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობაშიც იმ ყოფილი სამართალდამცავების ხელი ურევია, რომლებიც მისი ვაჟის მკვლელობის საქმეში ფიგურირებენ. ნუთუ ასეთი უჭკუოები არიან ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ პირველი ეჭვმიტანილები თავად იქნებოდნენ?**

- მათ ესეც კარგად ჰქონდათ გათვლილი, სწორედ ის უნდათ, რომ სისხლისმღვრელი ბუას როლი კვლავ აღიდგინონ და ამ დაშინების პოლიტიკით, გარკვეული სახის სათავისოდ დადებითი შედეგები მიიღონ. დღევანდელი რეალობაც გვიჩვენებს, რომ ნაციონალები ყველაფერზე წამსვლელები არიან. არ მინდა საზოგადოება შევაშინო, მაგრამ ყველაფერი ლოგიკურად უნდა გავაანალიზოთ. დააკვირდით რა ხდება, ჯერ ბატონი იური მოკლეს, ახლა ასე ვთქვათ, შეურაცხოფილი პოლიციელების, პატრულების „დამცველებად“ მოგვევლინნენ, ვითომ მათზე ზრუნავენ და პოლიციელის ღირსებას იცავენ, ვგულისხმობ ფარული ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნებას. ჩემი ინფორმაციით, არსებობს ნაცმოძრაობის აქტივისტთა ჯგუფი, რომლებიც ვიდეოკამერებით და სხვა ჩამწერებით აღჭურვილნი დადიან, ცდილობენ ყველა და ყველაფერი გადაიღონ, მერე რა საკითხის წინა პლანზე წამოწევაც მოუნდება ნაცმოძრაობას, იმ ვიდეომასალებს გამოაქვეყნებენ. ამ ნაცაქტივისტებს კოორდინირებას, ბინძური წარმონაქმნი „თავისუფალი ზონა“ უკეთებს. მე გამართლებულად მივიჩნევ შს ყოფილი მინისტრის ლექსო ჭიკაიძის გადაწყვეტილებას გადადგომასთან დაკავშირებით, მაგრამ აქ მეორე მხარეცაა, ბატონი იურის მკვლელობის შემდეგ შსს-დან მინისტრის დონეზე დაიწყო კადრების გადინება. სწორედ ამის შემდეგ იწყება ნაციონალების მხრიდან პოლიციელების ღირსების „დაცვა“. ხსენებული ვიდეომასალების გამოქვეყნებას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, კერძოდ, კიდევ უფრო მასიურად რომ მომხდარიყო, ამ უწყებიდან კადრების გადინება. ჩვენ წინა ინტერვიუში უკვე ვისაუბრეთ, თუ რატომ ჭირდებათ ნაცებს ქართული ძალოვანი სტრუქტურებიდან პროფესიონალი კადრების წასვლა, მათ ვიზირებას უკეთებენ უკრაინაში, სადაც საომარ პროცესებში რთავენ. სამწუხაროდ მეორე ქართველი ჯარისკაციც დაიღუპა უკრაინაში, რომელიც ასევე ქართული შეიარაღებული ძალების ყოფილი კადრი იყო, ისიც ხელოვნურად ჩამოაშორეს ძალოვან სტრუქტურას და გაუშვეს უკრაინაში. შსს-დან წასულ კადრებთან დაკავშირებითაც იგივე მოხდება, მათაც გადაამზადებენ, დაუკმაყოფილებენ მატერიალურ მოთხოვნილებას, ნაციონალებს ეს არ გაუჭირდებათ, რადგან ქართველი ხალხისთვის მილიარდობით თანხა აქვთ მოპარული, გადააპორტირებენ უკრაინაში, ხოლო შემდეგ მოხდება მათი უკან დაბრუნება, როგორც ბინძური საქმეების შემოქმედი პირების.

იური ვაზაგაშვილი გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე შეხვდა ბიძინა ივანიშვილს და თუ მის მიერ დადანაშაულებული პირები უკვე გათავისუფლებულნი იყვნენ თანამდებობიდან, მაშინ ბატონ იურის აღარ ექნებოდა რეალური საფუძველი, რომ ეთქვა, ჩემი შვილის მკვლელები შსს-ში მუშაობენო. რაც შეეხება 64-კაციან სიას, იქ სხვა უწყების თანამშრომლებიც არიან მოხსენიებული. თანაც სპეცოპერაციაში მონაწილეთაგან, გააზრებულად მხოლოდ ხელმძღვანელებს თუ ეცოდინებოდათ რაზე მიდიოდნენ, სპეცრაზმელებს მხოლოდ დავალებას აძლევენ, მათ არასდროს აყენებენ საქმის კურსში, რეალურად ვის ლიკვიდაციას ახდენენ. რაც შეეხება შურისძიებას, იური ვაზაგაშვილი გამიზნულად მოკლეს, რასთანაც ჩემი აზრით, შურისძიება ბმაში ვერ მოვა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი პოლიტიკური დესტაბილიზაციის წინა მოსამზადებელ პროცესებს ემსხვერპლა. დღეს საზოგადოებას ყველაზე მეტი პრეტენზია სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაჭიანურების გამო აქვს, ამ დროს კლავენ ადამიანს, რომელიც აქტიურად ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას, ცხადია, ეს უფრო გაამძაფრებს საზოგადოების მოთხოვნას, რაც შეიძლება უმართავ პროცესებში გადაიზარდოს. ასე რომ, მკვლელებმა, როგორც იტყვიან ათიანში მოარტყეს. სხვათა შორის, პოლიტიკური ვითარების გამწვავებას ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაც გამოიწვევს. მოგეხსენებათ, ნაციონალებს ძალიან სერიოზული ფინანსური ინტერესები აქვთ საქართველოში, იგივე ცეზარ ჩოჩელს, რომლის მიმართაც რამდენიმე ბრალდებით იყო საქმე აღძრული, თუმცა დღესდღეობით უცნობია რა ეტაპზეა გამოძიება.



მოკლედ რომ ვთქვათ, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა, ნაციონალების მხრიდან ახალი პოლიტიკური ეპოქის შექმნის მცდელობა იყო, ამას თუ დაემატა ლადო ბედუკაძის მიმართ თუნდაც საფრთხის შექმნის მცდელობა, ეს უკვე საყოველთაო მღელვარებას გამოიწვევს, ყოველ შემთხვევაში სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის საკითხი ხომ მაინც დადგება. როცა ძალოვანი სტრუქტურები კრიზისულ მდგომარეობაშია, ქვეყანაში უმართავი პროცესები აქტიურ ფაზაში შედის. გარდა ამისა, ხედავთ რა სიტუაციაა ჩვენს სამეზობლოში, რუსეთ-უკრაინას შორის საომარი ვითარებაა, გააქტიურებულია მუსულმანური სამყარო, ეს ხელოვნურად დაწეული ფასი ნავთობზე და ა.შ., რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკურ ვითარებაზე. არ მომერიდება იმის თქმა, იური ვაზაგაშვილი გლობალური პოლიტიკის რაღაც მიმართულებას შეეწირა.

**- კერძო საუბარში მითხარით, რომ ბატონი იურის მკვლელი უკვე უკრაინაშია გა-**

8 gv.



# დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# როდის გვექნება მორალური უფლება, საქართველოშიც ვთქვათ:

# ადამიანი – ეს ამაყად ჟღერს!

გვესაუბრება უფლებადამცველი **დიმა ლორთქიფანიძე:**

**– ბატონო დიმა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო ადამიანზე ზრუნვის ნაცვლად, არსებული კანონებით მასზე ძალადობს. რასთან გვაქვს საქმე, ხომ არ არის ეს დიდი სისტემური ხარვეზი, რასაც მხოლოდ თანამდებობის პირების ცვლა ვერ გამოასწორებს?**

– სახელმწიფო და სამართალი განუყოფელი ცნებებია. როცა სახელმწიფოსა და სამართალს შორის სიმბიოზი არაა, ყოველთვის თავს იჩენს სისტემური დიდი ლაქები, რაზეც თქვენ, კითხვაში ყურადღება გაამახვილეთ და რომლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიც 70-იანი წლების იტალიური მაფია კოზანოსტრაა. მაფია სწორედ, ინტერესთა გავლენისა და სფეროების მიხედვით ყალიბდება, მასში ჩართულნი არიან მმართველი პოლიტიკური გუნდის, ელიტის, დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოს – სასამართლოსა და ბიზნესის წარმომადგენლები. ანალოგიური რამ, საქართველოში, უკვე მრავალი წელია ხდება. უბრალოდ, ჩვენ, იტალიურ მაფიასთან პარალელებს ვერ გავავლებთ, ვინაიდან ეს გასული საუკუნის ისტორიას ჩაბარებულ მითად მიგვაჩნია. არადა, ეს ყველაფერი, საქართველოში, ზედმიწევნით ზუსტადაა პროექცირებული. ანუ, იური ვაზაგაშვილისა და მანამდე გახმაურებული არაერთი მკვლელობა, სამართალდამცავების მხრიდან, დანაშაულის გახსნაზე ორიენტირებული არაა. ამ შემთხვევაში, სისტემური დანაშაული სწორედ ისაა, რომ პასიურობით, ინერტულობით ვიღაც ყოველთვისაა დაინტერესებული, სისტემა არ იცვლება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო, დამოუკიდებლობის აღდგენიდან – 1991 წლის 9 აპრილიდან დღემდე, სამართლებრივ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა, რადგან მუდმივად, გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესშია. ფაქტია, სისტემური მმართველობა **პუტჩიდან** მოყოლებული დღემდე ნარჩუნდება. სხვათა შორის, ეს მმართველობა, შევარდნაძისეული ხელწერაა. დღეს, უსამართლობამ კულმინაციას მიაღწია. ქვეყანაში უსამართლობის ტრიუმფია, რომლის იქეთ მხოლოდ უფსკრული და სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოშლის რეალური საფრთხეა. სახელმწიფო, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს – სასამართლოს, ჯარს, საზღვრებს არ ფლობს, სუროგატია. მოგეხსენებათ, ქვეყნის საზღვრების 46% დემარკირებული არაა, სასამართლო სისტემა კი, დღეის მდგომარეობით, ჯერ ისევ კუბლაშვილის ხელშია, რომელმაც 200 პოლიტიკური პატიმარი შვა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, სამართლიანობის აღდგენა დღევანდელ ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ. მისი უმოქმედობა როგორც დანაშაული, უფრო მძიმედ უნდა შევაფასოთ, ვიდრე ის დანაშაულებრივი ქმედებები, რასაც წინამორბედი ხელისუფლება სჩადიოდა. დანაშაულის დაფარვა და მასში თანამონაწილე პირების შეწყნარება დღეს, მმართველი ელიტის უმოქმედოდ მყოფ ჩინოვნიკებსა და პოლიტიკოსებს დანაშაულის თანამონაწილეებს ხდის. საზოგადოებას უჭირს ამის გაცნობიერება, რადგან ის ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, რომელიც ამაზე ყურადღებას უნდა ამახვილებდეს, დაქსაქსულია, იდეოლოგიურად გამტკიცებული არაა, არც სამართლებრივი პრეტენზიის წაყენების მორალური ძალა და პრინციპი გააჩნია. შედეგად, საზოგადოებაც ყოველთვის ძლიერისკენ იხრება. ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ მიუხედავად ეკლექტურობისა, უმოქმედობისა, საზოგადოების თვალში მაინც ერთადერთ დასაყრდენ ძალად რჩება. ბატონი ბიძინა ივანიშვილი, იმ კერპად რჩება, რომელმაც თუნდაც ჩამქრალი, მბჟუტავი იმედი უნდა გააცოცხლოს. სხვა მხსნელი საზოგადოებას, ჯერჯერობით, ვერ წარმოუდგენია.

როცა ერთი ცენტრის ჰეგემონიაა, იგი შეიძლება ეცადოს, მეორე ცენტრის ჩახშობის მიზნით, შენი ქვეყნის ტერიტორია დაპირისპირების პოლიგონად გამოიყენოს და შენი ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის თუნდაც გენოციდი და ქვეყნის ტერიტორიაზე დატრიალებული ქარცეცხლი იმით გაამართლოს, რომ მან მეორე პოლიტიკური ცენტრის აღმოცენების სახით ტირანია უნდა ჩაახშოს. ვგულისხმობ, დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების გარემოებებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზღვრები დემარკირებული არაა. როცა ევროკავშირში გაწევრიანებაზე, ნატოში მიღება-არმიღებაზეა საუბარი, არადემარკირებული საზღვრების მქონე სახელმწიფოს სადმე მიღება, ნონსესია. ახლახან, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ თქვა: იმედს ვიტოვებთ, რომ ქართველი ხალხი ნატოში შესვლაზე ოცნებას მომავალშიც გააგრძელებსო. ეს შეურაცხყოფაა. თუ ღირსება გაგვაჩნია, უნდა მივხვდეთ: ნატოზე ოცნება ნიშნავს, რომ ნატოს წევრი სახელმწიფო ვერასოდეს გავხდებით. სამაგიეროდ, ჩვენი ოცნებით ნატო ყოველთვის ისარგებლებს, რათა დასავლეთმა საკუთარი ინტერესები განახორციელოს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დაპირისპირების ობიექტი არ უნდა გახდეს, ოკუპანტთან პირდაპირი მოლაპარაკებების გზით უნდა დავდოთ შედეგი, რათა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფასი განისაზღვროს. უნდა გვქონდეს უნარი, ძალა, რომ რუსებს პირისპირ ვესაუბროთ. ანდრეი ილარიონოვი, პუტინის წინააღმდეგ, მწვავე კრიტიკით გამოირჩევა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მან თქვა: მითი, ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ რუსეთი როგორც სახელმწფო, ჩამოიშლება და იმის ძალა და უნარი არ ექნება, თავის სამხედრო პოლიტიკური პოტენციალი დღევანდელ მსოფლიოში საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოიყენოს. ამ ფონზე, ჩვენი პრო-ნატოელი პოლიტიკოსების შეძახილები ქვეყნის ტერიტორიაზე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგებაზე, ღია პროვოკაციას და რუსეთისთვის პირდაპირ მოწოდებას ჰგავს – ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, სამხედრო ექსპანსია, კიდევ უფრო გააღრმავე, კიდევ უფრო მეტი მავთულხლართი გააბი, რადგან ჩვენ შენს წინააღმდეგ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს ვითხოვთ. ესაა ღია ტექსტია. ამის მერე, რუსეთმა, ჯერ მავთულხლართი გააბა, მერე სამხედრო-პოლიტიკური დოკუმენტალური კავშირ-ურთიერთობა გააფორმა ჯერ აფხაზეთთან და ახლა ე.წ. სამხრეთოსეთთანაც ამზადებს სამოკავშირეო ხელშეკრულებას. თქვენს კითხვას დავუბრუნდები: ემზარ კვიციანისგან გავიგეთ, რომ თურმე კოდორის ხეობა, რომელიც კბილებამდე შეიარაღებული ქართული ჯარით იყო სავსე, რამდენიმე აფხაზმა აიღო; ათასობით ერთეული შეიარაღება, ტაოტიან ქაღალდში გახვეული, მტერს გადაეცა. მათ, ასევე, ათეულობით ჩვენი ტანკი და ჯავშან-ტექნიკა ჩაუვარდათ ხელთ; გორი მარადიორებისთვის საჯიჯგნად დატოვეს; პირტიტველა ბიჭები კარალეთში და ერგნეთში პირდაპირ რეზერვიდან საზარბაზნე ხორცად იქნენ მიშვებულნი; ეს სიღრმისეულ ანალიზს და წინა ხელისუფლების წინააღმდეგ, 2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს, რაზეც ახალი ხელისუფლება პრინციპულად დუმს როგორც თანამონაწილე. ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში თევზივით პირში წყლის ჩაგუბებას არ ვაპირებთ. ამ საკითხებს წამოვწევთ.

**– სახელმწიფო ხალხს უნდა ემსახურებოდეს, თუმცა ჩვენთან პირიქითაა, ხალხი ემსახურება ჩინოვნიკებს. სახეზეა სოციალური უთანასწორობა. როგორ მოვარგოთ სახელმწიფო ადამიანს?**

– ძალიან აქტუალური შეკითხვაა, რაც კლასიკურად შეიძლება ჩაითვალოს. ათწლეულები გადის და ეს კითხვა ისევ დღის წესრიგშია – როგორ გამოვიდეთ მდგომარეობიდან? ჩინოვნიკის მაღალ ხელფასს შემდეგი არგუმენტით ხსნიან – ფული რომ არ მოიპაროს იმიტომაა საჭიროო. ადამიანს, რომელსაც ხელი მოპარვაზე მიუწვდება, მაღალი ხელფასი ამის წინაღობად არ გამოადგება. დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც ამის არაერთი ფაქტი არსებობს. თუნდაც, ტენდერებთან დაკავშირებული კორუფცია. ტენდერის ორგანიზატორებს დაბალი ხელფასები აქვთ? – რა თქმა უნდა, არა. მაგრამ დამატებით კიდევ უფრო მეტი თანხის მიღებაზე უარს არ ამბობენ. მთავარი კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, პროვინციალიზმის კლანჭებიდან თავი ვერ დავიძვრინეთ, ვერ მოვიყვანეთ ისეთი ხელისუფლება, რომელიც მართლა შეძლებს იმ ქონებრივი დეკლარაციის ფარგლებში დარჩეს, რაც სამსახურის დაწყებამდე ჰქონდა. სამსახური სახარბიელო და მაცდუნებელი ფაქტორი არ უნდა იყოს. სამშობლოს უნდა ემსახურო და მომავალ თაობებს თავი იმით დაამახსოვრო, რომ უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის კრიზისიდან თავდასაღწევად ყველაფერი გააკეთო. აქ პირიქითაა, რაც უფრო ღრმაა კრიზისი, წყალი მით უფრო იმღვრევა და ფულის კეთებისთვის უფრო



8 gv.

6 gv.

**დასული. მოდით, ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ.**

- როგორც უკვე გითხარით, ეს მკვლელობა მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული. აუცილებლად უნდა გამოვეხმაურო ირაკლი სესიაშვილის განცხადებას, რომ მკვლელი შეიძლება გასული იყოს ქვეყნიდან, რასაც საზოგადოების ნაწილში ძალზე ცუდი რეზონანსი მოყვა. მე სავსებით ვეთანხმები ამ ვერსიას, სულ რამდენიმე მეტრშია უკონტროლო ტერიტორია, მას სრულად ვერც რუსები და დე-ფაქტო სეპარატისტული ხელისუფლება აკონტროლებენ, ამ დროს კლავ ისეთ ფიგურას, როგორიცაა იური ვაზაგაშვილი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმას ცდილობ, რომ გაერიდო იქაურობას, ამ შემთხვევაში ყველაზე ხელსაყრელი უკონტროლო ტერიტორიაა. ძალიან მარტივია ამ ტერიტორიიდან ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ უკრაინაში გადასვლა. უკრაინაში იმიტომ, რომ თუ იქ საომარ პროცესებში ჩაებმები, უკრაინის მოქალაქეობას იღებ და უკრაინის ხელისუფლებას მორალური ვალდებულება აქვს, რომ ადამიანი, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იღებს იარაღს და მის მხარდასაჭერად იბრძვის, საკუთარ ტერიტორიაზე დაცული ყავდეს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ნაცმოძრაობას დიდი გავლენა აქვს უკრაინის ხელისუფლებაზე, აქედან გამომ-


ირაკლი ფირცხალავა

დინარე, მკვლელის კვალი უკრაინაში უნდა ვეძებოთ. ამიტომაა ჩემთვის რეალური ირაკლი სესიაშვილის ვერსია.“

„საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, აფეთქების წინა ღამეს, სოფელ ყარაფილაში რამდენიმე საათით გაითიშა დენი, რამდენად უკავშირდება სასაფლაოზე მომხდარ სისხლიან ინციდენტს ეს სავარაუდო ფაქტი, დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ გამოძიებამ ალბათ ამ ვერსიაზეც უნდა იმუშაოს. იური ვაზაგაშვილთან არაერთხელ ჩამიწერია საგაზეთო ინტერვიუ, კერძო საუბარში ხშირად უთქვამს, რომ შსს-დან ჰქონდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ პოლიციას სულ სხვა პირის (ალექსანდრე ხუბულოვის) ინტერესი ჰქონდა, ზურა შემთხვევით გახდა ხსენებული სისხლიანი სპეცოპერაციის მსხვერპლი, რადგან ხუბულოვი მის ავტომანქანაში იჯდა. სამართალდამცავების მიერ გაჟღერებული ოფიციალური ვერსიით, ირაკლი ფირცხალავამ იძია შური ხუბულოვზე, თუმცა საეჭვოა ფირცხალავას დონეზე გადამწყდარიყო მასშტაბური სპეცოპერაციის ჩატარება, კვალი ცხადია, უფრო ზემოთ მიდის და იმედია სიმართლე ბოლომდე გაირკვევა. მერაბიშვილის პოლიციის ვერსიით, თურმე კორტებთან ჩაცხრილული ბიჭები ვიღაცის დასაყაჩაღებლად მიდიოდნენ, ვინ იყო ეს დასაყაჩაღებელი ობიექტი, რატომლაც არ გაუხმაურებიათ.

**ლევან კოჭლოშვილი:** „სიმართლე გითხრათ, დენის გათიშვის შესახებ არ ვფლობ ინფორმაციას, მაგრამ ეს თემა ძალზე აქტუალური იქნება და რატომ – სოფელ ყარაფილასკენ მიმავალ გზაზე, ყოველ შემთხვევაში ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მაინც, დამონტაჟებული იქნება ვიდეოთვალები და შესაბამისად ვიდეოჩანაწერების გაშიფვრა მოხდებოდა. თუ ჩვენ დავუშვებთ იმ ვერსიას, რომ მკვლელი წინა ღამეს ჩამოვიდა, რათა ზუსტად გაეთვალათ რა, სად და როგორ დაემონტაჟებინა, მას აუცილებლად ჭირდებოდა დაცვის მექანიზმად, რომ მისი ავტომანქანა არ დაფიქსირებულიყო ვიდეოკონტროლის კამერით. საკმარისი იყო ელექტროენერგიის სამი საათით გათიშვა, რომ მისი ავტომაქანის იდენტიფიცირება შეუძლებელი გამხდარიყო, მით უმეტეს თუ ღამით მოძრაობდა. სოფელში დიდი ალბათობით, დამნახავი არავინ იქნებოდა. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი მაღალპროფესიულ დონეზეა შესრულებული, ორი აზრი არ არსებობს, რომ მკვლელს ვიღაც ეხმარებოდა ძალოვანი უწყებიდან, თუნდაც დენის გათიშვა იქნებოდა თუ სხვა სახით. ერთი კაცი ასეთ საქმეს ვერ დაგეგმავს და ვერ გააკეთებს. გასაგებია, რომ მთავარი დამკვეთი უკრაინაში ზის, მაგრამ მას ადგილზეც ყავდა დამხმარეები, ინფომაციას ხომ ვიღაც აწვდიდა იური ვაზაგაშვილის გადაადგილებასთან დაკავშირებით, მე არ გამოვრიცხავ, რომ ინფორმატორი ბატონი იურის საახლობლო წრიდან იყოს, რომელიც ზუსტ, კონკრეტულ ინფორმაციას აწვდიდა.

რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ ეს ბიჭები გენპროკურატურაში მიდიოდნენ ჩვენების მისაცემად, ეს ვერსია რეალობასთან შეიძლება ახლოს იყოს. გაიხსენეთ კობა დავითაშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადება, რატომ დაიჭირეთ ის პირი, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილთან მიდიოდა ვანო მერაბიშვილის შავბნელი საქმეების შესახებ მასალების მისაწოდებლადო. ეს ფაქტი ნამდვილად მოხდა, იმ პირს ადგილამდე არ მიაღწევინეს, მა-


ლადო ბედუკაძე

# არ გამოვრიცხავ, რომ იური ვაზაგაშვილის შემდეგ მორიგი სამიზნე ლადო ბედუკაძე იყოს...

ნამდე მოხდა მისი აყვანა. აქედან გამომდინარე, დიდი ეჭვები შეიძლება არსებობდეს, რომ ეს ბიჭები მართლაც გენპროკურატურაში მიდიოდნენ, არ გამოვრიცხავ, რომ ისინი მართლაც იყვნენ ისეთი ინფორმაციის მატარებლები, რომელთაც გამომზეურება არ ეწერა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ხელისუფლების სათავეში იყვნენ მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილის და ვანო მერაბიშვილისნაირი ნაძირლები. ვაზაგაშვილების საქმეში ძალზე ბევრი შავბნელი ინფორმაციაა, რამაც ლამის მთელი ოჯახი შეიწიროს.

დასასრულ მინდა ვთქვა, დესტაბილიზაციის ნიშნები ჩანასახშივე დროულად უნდა იქნეს აღკვეთილი, გახმაურებული, რეზონანსული საქმეები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გახსნილი და გამოძიებული, რადგან საზოგადოებაში ემოციური მუხტი პიკზეა. ძალიან კარგია, რომ ბიზნესმენებს აღარ ატერორებენ, პოლიცია ხალხს აღარ არბევს, საპატიმროებში აღარ ხდება პატიმრების მასიური ცემა-წამება, რადგან დღეს ნაცრეჟიმზე გაცილებით დემოკრატიული ხელისუფლება გვყავს, ზედმეტად დემოკრატიული, რადგან ნაცმოძრაობის ბევრი ელიტარი, რომელიც დანაშაულშია შემჩნეული, დღემდე გაუსამართლებელია. თუ გვინდა, რომ ეს ვითარება შენარჩუნდეს, უფრო მეტიც, ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შევძლოთ, ყველა უკანონობაზე უნდა მოხდეს დროული რეაგირება.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# როდის გვექნება მორალური უფლება, საქართველოშიც ვთქვათ: ადამიანი – ეს ამაყად ჟღერს!

7 gv.

ხელსაყრელი პირობები იქმნება. გული მწყდება, რომ ახლა იმ ხელისუფლებაზე მიწევს საუბარი, რომლის მოყვანის პროცესში მეც აქტიურად ვიყავი ჩართული და ეჭვადაც არ მქონდა რომ უარესს გააკეთებდნენ თუნდაც სახელფასო პოლიტიკის კუთხით, რამაც ყველა დროის რეკორდი მოხსნა. მარტო ერთ დეპარტამენტში რამოდენიმე პირზე, ერთ თვეში, თითოეულზე 39 ათასი ლარი სახელფასო დანამატი გაიცა. გამოსავალი ისაა, რომ დროა ჭკუა საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ, სხვისაზე არასდროს გვისწავლია და იქნებ საკუთარზე მაინც ვისწავლოთ. იმაზე მაინც ვიქონიოთ წარმოდგენა, რომ კერპების შექმნა არავისგან შეიძლება, ეს ცოდვა და დანაშაულია ღვთის წინაშე, ასე ქვეყნის კეთილდღეობას საშველი არასდროს დაადგება.

**– პრემიები ახსენეთ და საინტერესოა, განა რისთვის იღებენ პრემიებს – ქვეყანა ააყვავეს, ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესეს თუ სოციალური?**

– ეს ნონსესია. რასაც ახლა თქვენ შეეხეთ, ძალიან სერიოზული თემაა. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია მსოფლიო სტატისტიკა მოვიშველიოთ – ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 42% ხელფასებზე, პრემიებზე და სახელფასო დანამატებზე მოდის. მსგავს პრეცენდენტს მსოფლიოში ვერსად ნახავთ. რატომ კეთდება ეს? – იმიტომ კი არა რომ ხელისუფლებაში ბევრი „ჭამე ნოდარია“, არამედ იმიტომ, რომ ამით სახელმწიფო აპარატის შენახვა და ყველა მასთან დაკავშირებული პირის და ოჯახის წევრების გარანტირებულ ელექტორალურ მასად შექმნის ფორმულაა შემუშავებული, რამაც ხელისუფალთათვის მოჩვენებითი სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს, ამიტომაც ეტრფის ყველა ხელისუფლებაში მოსვლას – მათ სოციალური, ასევე, ხელშეუხებლობის გარანტიები უჩნდებათ. ნეპოტიზმის ის ხარისხი რაც დღევანდელ ხელისუფლებაშია, წარმოუდგენელი რამაა – დედა-შვილი, და-ძმა, ცოლის ძმები და ა.შ. კოლექტიურად არიან სახელისუფლო მარქაფაში ჩართულნი. მითუმეტეს, გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე, ეს კლანური ფორმირების გაძლიერებას ემსახურება. ასევე, ემსახურება იმას, რომ ტენდერებით საბიუჯეტო სახსრები, მათ ჯიბეებში ძალიან ადვილად გადმოიქაჩოს და ხვალ-ზეგ ახალი ელიტა მივიღოთ, რომელიც ისევ გაუშვებს შვილებს სორბონაში, კემბრიჯში და ა.შ. ამ ტიპის ინვესტიციებით კი ამ თანხის გათეთრება მოხდება და ახალ საზოგადოებრივ ელიტას შექმნიან. ეს ჩანაფიქრი საფუძვლად ედო შევარდნაძის, სააკაშვილის მმართველობას, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ 50 წელი წასვლას არ აპირებდა. ანალოგიური ჩანაფიქრით მოქმედებს დღევანდელი ხელისუფლება იმ ნეპოტიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, რამაც მათი პოლიტიკური ხელისუფლების გახანგრძლივების ძლიერი და სტაბილური დასაყრდენი უნდა უზრუნველყოს. ხოლო ყველა დანარჩენი – განსხვავებული აზრის, იდეოლოგიის მატარებლები მათ მსახურებაში, მორჩილებაში უნდა ვიყოთ. ესაა ჩვენი ბედკრული საქართველოს დღევანდელი მწარე, შავი რეალობა.

**– როგორ შევცვალოთ რეალობა. თუნდაც, გადასახედია თუ არა სისხლის, სამოქალაქო კოდექსები, რომლებიც ადამიანზე კი არა, პირიქით, მის დათრგუნვაზეა ორიენტირებული?**

– ამიტომაცაა საჭირო ეროვნული ძალების კონსოლიდაცია. უნდა ჩამოყალიბდეს მთავარი დებულებების იმგვარი ღერძი, რამაც ქვეყნის წინაშე არსებული მძიმე კრიზისების დაძლევა უნდა უზრუნველყოს. ანუ ეროვნული უსაფრთხოების რეალური კონცეფცია უნდა დაიწეროს. თქვენ სისხლის სამართლის კანონმდებლობა და რამდენიმე კანონი ახსენეთ. გეტყვით, რომ ეს იმ დიდი მოცემულობის მხოლოდ ერთი სეგმენტი უნდა იყოს, რომლის გამოსწორების წინაშეც ვდგავართ. პირველ რიგში, ესაა საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ჰიბრიდული, უპრეცენდენტოა მისდამი დამამცირებელი მოპყრობის თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუცია დაცვას საჭიროებს. დღეს, მას მისი ხალხისგან, ვისთვისაც თითქოს იწერებოდა, ადვოკატირება სჭირდება. იგი მხოლოდ რამოდენიმე წლის მანძილზე – 2004-დან 2010 წლის მანძილზე 21-ჯერ იქმნა სახეცვლილი, რომლის რეფორმა დღესაც გრძელდება და მას საბოლოო სახე არ მიუღია. კონსტიტუციის ჭრა-კერვა იმ თარგზე ხდებოდა, რომელიც ერთ კონკრეტულ ადამიანს უნდა მორგებოდა. ეს სააკაშვილმა დაიწყო, მაგრამ შესანიშნავად გაიმემკვიდრა დღევანდელმა ხელისუფალმა. უსუფაშვილი, რომელიც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეა არაფრით არ ჩქარობს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას, რომელიც საარჩევნო სისტემის რეფორმირების გზით უზრუნველყოფს ამ კრიზისებიდან გამოსვლის დაწყებას. კომისია უმოქმედოა, მათი მიზანია ძველი საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარებით სახელისუფლებო გუნდისთვის ძალაუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება მოხდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

M K

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№3, იანვარი, 2015 წ.

*საქართველოს აქვს იმის რესურსი, რომ ლარის გამყარებას შეუწყოს ხელი და ეკონომიკურად გამართულ ქვეყნადაც იქცეს, თუმცა ამისთვის მთავრობის სწორად გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებაა საჭირო, აცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე* **ჰამლეტ გეგია.**




## ჰამლეტ გეგია:

# ჩვენ გვაქვს შანსი, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრეს ქვეყნად ვაქციოთ

## საქართველო ტრილიონნახევარი დოლარის სიმდიდრეს ფლობს

### „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

- ქართული საზოგადოების დაკვეთა მის მიერვე არჩეული მთავრობის მიმართ ძალიან მარტივია - უსაფრთხოება, ეკონომიკური პრობლემების, დასაქმებისა და სიდუხჭირის დაძლევა, სოციალური სამართლიანობის აღდგენა და ისეთი სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში ხელშეწყობა, რომელიც ნებისმიერი მის მიერვე დემოკრატიული წესებით არჩეული მთავრობის ალტერნატივაც იქნება და მონიტორინგიც. დღეს, მიუხედავად ურთულესი პრობლემებისა, რომელიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს არა მარტო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ მისი უსაფრთხოება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, უკრაინაში სერიოზული სამხედრო ოპერციები გრძელდება და ევროკავშირმა რუსეთს უნდობლობა გამოუცხადა, სერიოზული ეკონომიკური სანქციები დაუწესა და წევრობაც შეუჩერა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საქართველოსაც სერიოზულ გამოწვევებს უქმნის და საფრთხის შემცვლელია, რადგან ისტორიულად ისეთმა ქვეყანამ როგორიც რუსეთია, თუ კედელთან მიაყენებ და პოლიტიკური და ეკონომიკური ლავირების საშუალებას აღარ მისცემ, არ არის გამორიცხული, რომ მან უკუშედეგი გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, თუ რუსეთს დასაკარგი არაფერი არ ექნება, რა თქმა უნდა, არა მარტო ევროპის, უკრაინის, არამედ საქართველოსთვისაც დამატებითი საფრთხის შემცვლელი იქნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის მიმართ არ უნდა განხორციელდეს გარკვეული ეკონომიკური, სამართლებრივი, ნებისმიერი მშვიდობიანი ფორმით ზემოქმედება ცივილური მსოფლიოს მხრიდან, მაგრამ იგი უნდა იყოს სწორად გათვლილი და არავითარ შემთხვევაში გადამეტებული. რუსეთისთვის საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თავისუფალი ეკონომიკური სივრცის მშენებლობის გათვალისწინებით მისთვის ურთულესი ეკონომიკური და საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის წინაპირობაა. განსაკუთრებით დღეს, როცა უკრაინასთან მიმართებაში აწარმოებს ცივილური ქვეყნებისათვის მიუღებელ პოლიტიკას და სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეიძლება გახდეს უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტის მოგვარების მოდელი, რომელშიც დაინტერესებული იქნებიან უკრაინისა და რუსეთის მოსახლეობასთან ერთად - საერთაშორისო საზოგადოებაც. ამის გადაწყვეტა საქართველოსთან მიმართებაში კი რუსეთის ხელისუფლებას უმოკლეს ვადებში შეუძლია. ჩემის აზრით, საქართველოს ხელისუფლებას ამ ურთულეს პერიოდში ეძლევა რეალური შანსი, გაითვალისწინოს საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების დინამიკა, ასევე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და მისცეს რუსეთის ხელისუფლებას საშუალება საქართველოსთან უსერიოზულესი პრობლემების გადაწყვეტის ფორმატში, მსოფლიოს დაანახოს, რომ იგი მზადაა მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის და სამხედრო კონფლიქტების ეკონომიკური და დიპლომატიური მექანიზმებით გადაწყვეტისათვის. რუსეთის ხელისუფლება დღეს დგას ურთულესი არჩევანის წინაშე, მან უნდა აირჩიოს ან ჩინეთიზაცია, ან თვითიზოლაცია ან ევროპიზაცია. ევროპიზაცია კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან უშუალოდ არის დაკავშირებული და ასევე აღსანიშნავია, რომ თვითონ ეს პროცესი რუსეთის თვითმყოფადობას, კულტურას და ეკონომიკის განვითარებას საფრთხეს არ შეუქმნის. **რუსეთი დღეს საქართველოს ანექსიაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ, პირიქით - ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის თვალსაზრისით შექმნას ისტორიული პრეცედენტი, მეზობელ ერებს შორის მეგობრული, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, რაც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითაც არის მიღებული. რუსეთს ომი, განსაკუთრებით მეზობლებთან, არ ჭირდება, პირიქით, რადგანაც იგი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში და მის განვითარებას მშვიდობა და სტაბილურობა სჭირდება.**

### სოციალური უსაფრთხოება

რაც შეეხება სოციალურ უსაფრთხოებას, სამწუხაროდ, იგი არ არის მარტო განპირობებული საერთაშორისო ურთულესი მდგომარეობით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის შიდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. იმისათვის, რომ უმოკლეს ვადებში მდგომარეობა გამოვასწოროთ, რაც საზოგადოების და მთავრობის შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრაგმატიზმი. დონ კიხოტივით ქარის წისქვილებს არ უნდა ვებრძოლოთ. აუცილებელია გავმიჯნოთ ობიექტურად დამოუკიდებელი გარემოებები, აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ჩვენს საზოგადოებას გავუჩინოთ და დავუსაბუთოდ მომავლის იმედი და ფაქტიურად ხელი შევუწყოთ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში, სიღარიბის ზღვარზე მყოფ ჩვენს მოქალაქეებს, ნებისმიერი საზოგადოებისთვის უდიდესი სენის სიღარიბისა და სიღატაკის დაძლევას. როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა, ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა: „ქართველები სიღარიბეს არასოდეს არ უნდა შევურიგდეთ“. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. ვიდრე ადამიანს განსჯი, სამართლის ძებნა საკუთარი თავიდან უნდა დაიწყო. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება, მოსახლეობა სცოდავს, რომ ისტორიულად ვერ გაუფრთხილდნენ და ვერ უფრთხილდებიან იმ სამოთხეს და უფლის საჩუქარს, რომელიც ისტორიულად ჩვენს ერს ერგო და მის შენარჩუნებას უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. თუ ჩვენი საზოგადოება, ყოველივე ჩვენთაგანი არ გამოფხიზლდება და რეალურად არ შეხედავს და არ გაათვითცნობიერებს, თუ რა გვიშლის ხელს, ფეხზე დავდგეთ, შედეგი იქნება ისეთი, როგორიც გვაქვს და შეიძლება უარესიც.

### საქართველო ტრილიონნახევარი დოლარის სიმდიდრეს ფლობს

მცნება „იმედი“ მარტო იმედი არ არის, თუ მას რეალური საფუძველი არ გააჩნია. როდესაც ჩვენ ვსვამთ კითხვას - რა ფენომენი აქვს საქართველოს ისეთი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მის ხალხს გაჭირვებიდან გამოიყვანს და მართლაც გაბრწყინდება თუ არა საქართველო? რა არის ამის საფუძველი? ნებისმიერი ანალიზი და მსჯელობა იწყება აქსიომატიკური შეთანხმებებიდან. ჩემი მოსაზრებით, სამეცნიერო კვლევებიდან, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველო პოტენციურად ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ერთ სულ მოსახლეზე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 4 მილიონს არ აჭარბებს მოსახლეობის რაოდენობა. **დამტკიცებულია საერთა-**

10 gv. ➔

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

9 gv.

**შორისო და ჩვენი ექსპერტების კვლევებით, რომ საქართველოს წიაღისეულის სიმდიდრე საერთაშორისო ფასებზე დაბალი გაანგარიშებითაც კი ტრილიონ ნახევარ დოლარის სიმდიდრეს ფლობს. მისი კაპიტალიზაციის-საერთაშორისო ექსპერტების შეფასების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ეს პოტენციური სიმდიდრე რეალურ ფასიან აქტივებად ვაქციოთ,** შევქმნათ სახელმწიფოს მხარდაჭერითა და ძალისხმევით სააქციო საზოგადოებები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობის დიდი ნაწილი. მეორე - მარტო ის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რაც საქართველოს გააჩნია რომ გამოვიყენოთ (გავითვალისწინოთ კავკასიაში შექმნილი პრობლემები, მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებები), მისი ამოქმედების შემთხვევაში ამონაგები არანაკლები იქნება, ვიდრე ჩვენი ბუნებრივი რესურსების ამოქმედების შემთხვევაში და მესამე - საქართველო თავისი ფაუნით მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი ქვეყანაა და მე ეს არაერთხელ მითქვამს. ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა მარტო ქართველების სიზარმაცეზე, არა მარტო არამოქალაქეობრივ პოზიციებზე, დაქსაქსულობაზე, არამედ მის თვითმყოფადობაზე, ინდივიდუალურ თვისებებზე, კულტურაზე, უცხო ერების მიმართ განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობაზე, პატივისცემაზე. ხალხური ანდაზა ,,სტუმარი ღვთისაა", მარტო ქართველებისა და ძველი შუმერების ისტორიულ წყაროებში გვხვდება. ამ საკითხების გაშლა საკმაოდ დიდ დროს წაგვართმევს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ჩვენს მოსახლეობას ჩვენი მთავრობა, მეცნიერები, ექსპერტები გავაგებინებთ და დავუმტკიცებთ, რომ ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის პატრონები ვართ და მზად ვართ ერმაც და ბერმაც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ვმართოთ ქვეყანა, შედეგიც არ დააყოვნებს. ამისთვის კი საჭიროა შესაძლებლობის რეალიზაცია. მოსახლეობას უნდა გავუჩინოთ დამატებითი შემოსავალი, როგორც არის რიგ ქვეყნებში, მაშინ მოსახლეობას მარტო იმედი კი არ გაუჩნდება, არამედ თვითონ გახდება აქტიური მშენებელი ,,ახალი საქართველოსი" და თუ ეს დღემდე ასე არ მოხდა, ამაში ჩვენ ვართ დამნაშავეები, ყოველივე ჩვენთაგანი. საზოგადოებამ ვერ შევძელით ისეთი მთავრობის არჩევა, რომელიც არა მხოლოდ გააერთიანებს ერს და აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ აამოქმედებს იმ რესურსებს, რომელზედაც დღეს მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. ყველაფერი ეს შესაძლებელია ხალხის ერთსულოვნებისა და მთავრობის პოლიტიკური ნების, სიღარიბის დაძლევის, ეროვნული ბიზნესის - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით. საქართველოს ,,ეკონომიკური ნახტომის" გაკეთება, ქართული ეკონომიკური სასწაულის მოხდენა რეალურია. მე ამაზეც არაერთხელ მისაუბრია. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ზემოთქმულში, დიდი სიამოვნებით გავუწევ ოპონირებას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა საქართველოში სოციალური სამართლიანობის არა მარტო აღდგენა, არამედ მისი დაცვაა, არა კონსტიტუციური თვალსაზრისით, არამედ რეალურად, როგორც მთავრობის, ასევე საზოგადოების მხრიდან. ეს ჩვენი მოქალაქეების პოზიცია უნდა გახდეს. რაც შეეხება ერთი მილიარდის გამოყოფას და დახმარებას ბიუჯეტის მხრიდან ყოფილი მთავრობის მიერ უკანონოდ, გამოძალვით, დაშინებით, პროვოკაციებით წართმეული ქონების ზარალის ანაზღაურების მიზნით მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს ქართული ეროვნული წარმოების განვითარებას, მაგრამ ისმის კითხვა, ეს ხომ ბიუჯეტის ფულია, რომელსაც დასაქმებული ადამიანების გადასახადებით ვავსებთ, მაშინ როდესაც არსებობს მეორე მხარეც - ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი დღეს კერძო ფირმების და პირების ხელშია, რომლებიც დღესაც განაგრძნობენ ბიზნესში მოღვაწეობას და თუ სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, რეალურად, ეს არა ბიუჯეტიდან, არამედ იმ ადამიანების უკანონოდ მითვისებული ქონების ამოღებით უნდა დაწყებულიყო თავის დროზე.



# ჩვენ გვაქვს შანსი, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრეს ქვეყნად ვაქციოთ

### ბიძინა ივანიშვილის ფენომენი

უპირველეს ყოვლისა მე ყურადღებას მივაქცევდი იმას რომ, საერთოდ ქართველებმა უნდა ვისწავლოთ ამ რთულ მდგომარეობაშიც პოზიტივის დანახვა, აღმოჩენა და მისი გათავისება. მე ძალიან მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია ის, რომ ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას და მოქალაქეებს მოუწოდებს, გააქტიურდნენ, გამოიჩინონ მტკიცე, შეუვალი მოქალაქეობრივი პოზიცია, განახორციელონ ეფექტური სამთავრობო მონიტორინგი კონსტრუქციულობიდან გამომდინარე. ვფიქრობ, რომ თვითონ ბიძინა ივანიშვილმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს სამოქალაქო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას და ხელშეწყობას, რომლის ძრავი, რა თქმა უნდა, აქტიურია მოქალაქე და მისი მოქმედების ორგანიზაციული ფორმები - სამოქალაქო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, პოლიტიკური ინსტიტუტები, პროფესიული მოძრაობები და სხვა. **ამისათვის საჭიროა საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილმა, თუნდაც სიტყვიერად წაახალისოს საზოგადოება, რათა შეიქმნას საზოგადოებრივი წარმომადგენლობითი ფონდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის სექტრის წარმოჩენასა და მის დემოკრატიულ განვითარებას.** ამ თვალსაზრისით ხელი შეეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, პოლიტიკური ინსტიტუტების ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, სადაც არ იქნება მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნებებისგან მართვადი და დამოკიდებული, ექსკლუზიური მფლობელობის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია საშუალებები. ყოველივე ეს კი დააბალანსებს და განავითარებს საზოგადოების პლურალიზმს და დემოკრატიულ- მოქალაქეობრივ აზროვნებას.

### საიდან დავიწყოთ და როდის?

რაც შეეხება კონკრეტულად გაწერილ პროგრამას - დღეებში, თვეებში, წლების მიხედვით არ არსებობს, გარდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფორმატისა, რომელსაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ და ეს ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად და გამარჯვებად მიმაჩნია, სადაც გაწერილია, რა ეტაპები უნდა გაიაროს საქართველომ, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი, ჩვენი გათვითცნობიერებული მოქალაქეებითა და მოსახლეობით. თუმცა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ ამ ხელშეკრულების განმარტებები და მნიშვნელობები მედია საშუალებებით ნაკლებად შუქდება და ჩვენი აუდიტორია განებივრებული არ არის მისი შინაარსით, რომელიც ძალიან საინტერესოა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვიდრე ჩვენ ევროკავშირამდე მივალთ და ასოცირების ხელშეკრულების რესურსების ათვისებას დავიწყებთ, გარკვეული გზა და დრო არის საჭირო. ნათქვამია, ,,ვიდრე პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გააძრესო", ამ სიბრძნიდან გამომდინარე დღეს საკითხი დგას არა იმაზე, თუ რა იქნება 5-10 და ათეული წლების განმავლობაში, არამედ იმაზე, რა უნდა გავაკეთოთ დღეს, **ხვალ რომ უარესი არ მოხდეს. კიდევ ერთხელ და მრავალჯერ ვიტყვი - ყველაფერი იწყება და მთავრდება ჩვენი მოქალაქეების აქტიურობიდან გამომდინარე და მთავარი კონკრეტული მოკლევადიანი ეკონომიკური პროგრამების და საზოგადოებრივი მიზნების თანხვედრით, არა მარტო გაჭირვებული ადამიანების დახმარებით და საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობით, არამედ ლარის გამყარებითაც. ლარი დაიბადა საქართველოს ისტორიის ურთულეს პერიოდში და ჩვენი სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის სიმბოლო და ღირსებაა.**

ლარის ვარდნის პროცესი და გონივრული ზღვარის დაწესება, რა თქმა უნდა, საერთაშორისო სავალუტო ბაზართან არის დაკავშირებული, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს და შეიძლება გადამწყვეტიც შიდა ბაზარზე ფასების ზრდის შეჩერებას ლართან მიმართებაში. მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა, ექსპერტებმა, მედიამ და ბიზნესმენებმა, ვისაც შეუძლია ამ პროცესზე გავლენის მოხდენა, ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა არ მოხდეს ლარის დევალვაცია და საზოგადოების დესტაბილიზაცია.

მოამზადა **დათო ქაჟუთიამ**

# გურამ პეტრიაშვილი

* * *

*,,ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა*
*ეს არის ერთი სული ორ სხეულში".*
*კოკა გაწერელია*

## ორ სხეულში განფენილ იმ სულს ვუძღვნი

დავითის ლაშქარს ჩამორჩენილი
დაეხეტები ქართლის მინდვრებში,
ცოდვილთ ხანდისხან შენი ხმაც გვესმის
მარადიულში გვიხმობ სიზმრებში.

ნატყვიარი გჭირს მარჯვენა მკლავზე,
მკერდიდან წვეთავს იარა სისხლით,
ისევ იქ დგახარ, სადაც იდექი,
უკან არ იხევ არცერთი მისხლით.

წმინდისა ნინოს ჯვარს ჰპატრონობდი
მთელი სიცოცხლე საით სადამდე,
შენს ნაკვალევზე ია ამოდის
დარიალიდან დარუბანდამდე.

მტერს ზაფრავს შენი მართალი ხმალი,
კვლავაც რომ ძალგიძს, მძლავრად აღმართო,
ჩვენო ოცნებავ, შუქისმფრქვეველო,
ქართული სულის დიდო აღმართო...

## თელავური იასამნები

*თამაზ მეტრეველის ხსოვნას*

პარიზის ცენტრში ეიფელის
კოშკის მახლობლად
ტრანსეროვნული გადალახა თაყამ სამნები,
და თუმც ვერც ისე, ყვავილებს
რომ ეკადრებოდათ,
მაინც გაყიდა თელავური იასამნები.
ზოგმა იმ კოშკზე აიტანა ჩვენი ყვავილი,
ზოგმა მონმარტრზე გაატარა
მისი სურნელი,
ზოგმა წაიღო პარიზის შორ გარეუბანში
და ყველამ იგრძნო, რომ სენი სჭირთ,
განუკურნელი:
მათს გონებაში ინთებიან უცხო სიტყვები,
მათი მზერა კი სულ დაეძებს უცხო
მწვერვალებს
და მოელიან პარიზელი ლამაზმანები
ჯერაც არნახულ იანვარებს
და თებერვალებს.
მე მგონი, ვიცი, რაც უშველის
ამ სენს უცნაურს:
უნდა აიღოს მატარებლის ყველამ ბილეთი
და წამოვიდნენ... და თელავი
იხილონ ღამით
მისი ჰაერის სიგრილითა და სირბილეთი.
შემდეგ ყველანი ნადიკვარზე უნდა ავიდნენ
ლოყებზე იგრძნონ საოცარნი ნელნი სიონი,
მერე კი დილას დაელოდონ და დაინახონ
სხივმოფენილი იდუმალი კავკასიონი.

* * *

ვაგლახ! დამთავრდა ჩვენი რომანი,
თვალთა ელვა და გულთა კრთომანი.
დაგვრჩალა მხოლოდ უნდო ალერსი
და ერთმანეთზე ხშირნი წყრომანი.

რა საბრალოა ტრფობის ცხედარი,
ძირს დაცემული ტურფა მხედარი,
აღარც ღვთისაგან არაა შველა
და აღარც ვინმე ქვეყნად მწედ არი.

მზე გამიშავდა და მაზრობს ყინვა.
ვდგავარ და ძვირფას ნაშთებს დავბლავი
და არის ახლა მთელი სამყარო
მხოლოდღა ჩვენი ტრფობის საფლავი.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

**ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში**



## დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-01

### ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის – „დავითიანის“ გაგებისათვის (გაგრძელება)

ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობა“, ზეპირი გზით გავრცელებული ხალხში ეკლესიური სამყაროდან, თანდათან, საქართველოს მეფეთა ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველთან მიმსგავსებული სულიერ-სათნოებრივი გაგებიდან და თავისი საიდუმლო მესიანისტური შინაარსიდან, იქცა თავისივე შინაარსის პრიმიტიულ ვერსიად: ქართველ მეფეთა ხორციელი და გენეტიკური შთამომავლობის გაგებად ბიბლიური დავითისაგან. რამდენადაც მათეს სახარებისეული, და ე. ი. კანონიკური გადმოცემით იესო ქრისტე და დავით წინასწარმეტყველი ერთ გენეალოგიურ ხაზს წარმოადგენდნენ, ქართველ ბაგრატიონთა გამოცხადებით ბიბლიური დავითის შთამომავლებად, ქართველი მეფენი ფიქრობდნენ, რომ ამით, ამგვარი შარავანდედით, მათ თავიანთი ღვთაებრივი წარმომავლობა ჰქონდათ დადასტურებული და ამავდროულად მოპოვებული ჰქონდათ ქრისტესთან ნათესაობის პატივიც . ჩვენ ვფიქრობთ, რომ დავით აღმაშენებელმა, ავტორმა თავისი აღმსარებლური საგალობლისამ, თავისი დამოკიდებულების აღიარებით ისრაელის დიდთა მეფეთადმი, პასუხი გასცა ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ წოდებასაც. ბიბლიურ მეფეთა აღიარება მისაბაძ მაგალითებად მან, საქართველოს მეფემ, თავისი სიჭაბუკის ცოდვად შეაფასა და მოინანია, როგორც კაცობრიობის დიდმა წარმომადგენელმა:

„ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა ურჯულოთა...

(და) ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მათ მეფეთა - ისრაელი“ - აცხადებს იგი, ავტორი ქრისტიანული მსოფლიოს ერთერთი ბრწყინვალე შედევრისა: „გალობანისა სინანულისანის“.

**დავით აღმაშენებელმა, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორთაგან ქართველთა მეფეთათვის პატივად მინიჭებული ბიზანტიის სარდლობა, ანუ კუროპალატობა უარყო და საქართველოს მომავალი „ახალ ათენში“ და „მეორე იერუსალიმში“ დაინახა, რომელმაც თავისი ქვეყანა ახალი ქრისტიანული მსოფლიოს წინამძღოლ ქვეყნად გაიაზრა, ბუნებრივია, ძველ მსოფლიოზე მაღლა დადგა და „დავითიანობა“, ანუ ებრაული რწმენა, რომლითაც ახალი საკაცობრიო მისიის წარმომადგენელი უსათუოდ ებრაელთა დიდი მეფის, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი უნდა ყოფილიყო, თავისი პრინციპებიდან მოხსნა.**

„დავითიანობა“ უკვე არც მისთვის და არც მისი ერისათვის არაფერში აღარ იყო საჭირო. მის ხედვაში ეს თავად კაცობრიობისათვის იყო უკვე განვლილი საფეხური . დავით აღმაშენებელი უკვე ახალ ათენზე და მეორე იერუსალემზე ფიქრობდა, ადამიანური გონითი შემეცნებისა და რწმენითობის ახალ საკაცობრიო რეალობაზე, რომელიც საქართველოში უნდა გამოვლენილიყო და, ალბათ, ტიპიურად უნდა მივიჩნიოთ დავით აღმაშენებლის ის ერთადერთი, ჩვენამდე მოღწეული წერილიც, შიო მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული მისგან, რომელსაც ის ხელს აწერს, როგორც მეფე, ყველა ბაგრატიონი მეფისაგან განსხვავებით: ყოველგვარი „დავითიანობისა“ და „იესიან- დავითიან- სოლომონიანობის“ გარეშედ.

ამრიგად, ისევე, როგორც ქრისტეს მიმართ, ქართველ ბაგრატიონთა მიმართაც, „დავითიანობა“ ეპოქის შესაბამისი კრიტერიუმების შედეგად, თავის დროზე, დავით აღმაშენებლის წინარე საუკუნეებში, ჩამოყალიბდა როგორც ტიტული, მინიჭებული „ახალი საღმრთო ერის“ წარმომადგენელ მეფეთა მიმართ და სწორედ ამ „საღმრთოობის“, როგორც ქრისტეს მიკუთვნებულობის მესიანისტურმა დანიშნულებამ განაპირობა ეს „დავითიანობა“, ანუ წოდება იმ ტახტის მფლობელთათვის, რომელნიც თავიანთი პიროვნული სიმბოლურობით იტევდნენ მთელი ქართველი ერის მნიშვნელობას. რომ ეს ტიტული ეროვნული მნიშვნელობისა იყო, დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ „დავითიანებად“ იწოდებიან მხოლოდ ქართველი ბაგრატიონები და არ იწოდებიან სომხეთის ბაგრატიონი მეფენი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ქართველი ბაგრატიონებიცა და სომეხი ბაგრატიონებიც ერთი გენეტიკური ძირისანნი არიან წარმომავლობით და ამას ორთავე ხალხის ისტორიოგრაფია აღიარებს: ქართულიცა და სომხურიც.

თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგი, რომელიც მიმართულია ახალი, ებრაულ- მასონური, იგივ სიონისტური მსოფლიო იმპერიის შექმნისაკენ, და რომელიც უკვე წოდებულია „შეთქმულებად კაცობრიობის წინააღმდეგ“, დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგი, რომელიც ამავდროულად არის რევანში ქრისტიანობაზე და ქრისტიანულ მსოფლიოზე, ჩვენს წინაშე სვამს ერთ გარდუვალ კითხვას: როგორ უნდა წარმართოს თავისი არსებობა იმ ერმა, რომელიც თავისი უფალივით ჯვარცმული, „ახალი საღმრთო ერის“ ღვთივბოძებული მისიით, ქრისტესშემდგომი 21-ე საუკუნის მძვინვარე პოლიტიკურ ქარტეხილებში, ვალდებულია გადაეფაროს ქრისტიანობის მომავალსაც და კაცობრიობის სიცოცხლესაც ერთდროულად?! ანუ წინ აღუდგეს შეთქმულებას კაცობრიობისა და მისი უდიადესი ქომაგის, იესო ქრისტეს წინააღმდეგ? თუ რაოდენ საბედისწერო გზაჯვარედინზე უწევს დღეს ყოფნა ჩვენს ერსა და ქვეყანას, და რაოდენ საბედისწეროდ საფრთხილოა მისგან სადღეისო გადაწყვეტილებების მიღება, მისთვისაც და კაცობრიობისათვისაც, ამაზე უკვე თავად დაფიქრდეს ქართველი ერი და თავად განსაჯოს მკითხველმაც, როგორი მძიმე და საბედისწერო ჯვარი აქვს საქართველოს დღეს, უფლის კურთხევით, უფლისა, კაცობრიობისა და საკუთარი ვინაობის წინაშე.




### დასკვნებთან მისასვლელად

წინამდებარე გამოკვლევის საწყისში მოგახსენეთ, რომ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის - „დავითიანი“-ს ისტორიოსოფიული ახსნა ჩვენ გვაინტერესებდა სრულიად თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური პროცესების ჭრილში, მსოფლიოს ახალი წესრიგის წარმმართველი ძალებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ურთიერთმიმართების ჭრილში. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ განუყრელად არიან ისინი დაკავშირებულნი ერთმანეთთან, როგორ გრძელდება მსოფლიოს ბიბლიური ისტორია მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე იმპულსებში და რომ ფაქტიურად დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას, როგორც მსოფლიო ისტორიის შედეგს, ყველაზე მეტად, ყველაზე მძაფრად მივყავართ კაცობრიობის ისტორიის იმ დაფარულ სიღრმეებთან, რომელთა გაცხადებაც ჩვენივე ქვეყნის, საქართველოს, და ჩვენივე ხალხის ფენომენალურ ვინაობაზე გადის. ჩვენ მივადექით თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი ძალის, როგორც მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტი ძალისა და საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ურთიერთ მიმართების

**წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.**

12 gv.

11 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

პრობლემას. ჩვენ მივადექით ქართველი ხალხისა და ებრაელი ხალხის ისტორიულ - სიღრმეთა ურთიერთმიმართების პრობლემას, დღევანდელ რეალობაში ასახულს. ეს ლამის კაცობრიული ისტორიის ტოლი დიდი ქართული რასა შემონახული და გადარჩენილი ხუთ მილიონიანი ქართველი ერის სიცოცხლით, თავისი დიდი საკაცობრიო მისიით, ანთებული მოყვასის სიყვარულით, ისევე შეუმეცნებლად დგას დღეს მსოფლიოს პლიტიკურ მეკობრეთაგან დაყაჩაღების საფრთხის ქვეშ, როგორც ოთხი ათასეული წლის წინ, კაცობრიული სიბრძნის მფლობელი შუამდინარელი ქალდეველი ქურუმები იყვნენ - არაბეთის უდაბნოდან მოხიზნული პატარა მომთაბარე ებრაული თემისაგან. 1500 წელი უმალავდნენ ებრაელები მსოფლიოს, რომ ისინი, თავისი წმინდა წერილით, რითაც ჩვენი ცივილიზაციის სადავეებს დაეპატრონენ, ქალდეველი ქურუმების, ქართველთა შუამდინარელი წინაპრების ინტელექტუალური მძარცველები იყვნენ. ევროპელმა მეცნიერებმა, არქეოლოგებმა, ღვთიური ბედისწერით, მიწიდან ამოიღეს ეს საიდუმლო: ებრაელთაგან ქალდეველი ქურუმების გაძარცვისა, მაგრამ ქალდეველთა გადარჩენილი მოდგმა, ერად და ქვეყნად შენახული ქართველი ხალხი, როგორც უფლის მიერ გადამალული უფლისწული და ერთადერთი მემკვიდრე ქალდეველთა მსოფლიო ტახტისა, და მსოფლიო ტაძრის, მიუნათებელი დარჩათ ისტორიის ფოთლებში.

ქრისტეს შემდგომი მე-20-ე საუკუნის დსასრულისა და 21-ე საუკუნის პირველი ათეულის ისტორიაში, უკანასკნელი 25 წლის გრძლიობაში, **საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსულმა და თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მაძიებელმა ქართველმა ხალხმა რუსეთის იმპერატორის მიერ გაუქმებული საქართველოს სამეფო ტახტის აღდგინებაზე დაიწყო ფიქრი. მოკრძალებით. დროისა და ხალხის მოთხოვნების გათვალისწინებით და უკანასკნელი სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა გათვალისწინებით. და სრულიად მოულოდნელად ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში ამ პატარა ქართული მონარქისტული მოძრაობის პარალელურად, საქართველოს სამეფო ტახტის მისათვისებლად, ამოქმედებულია ებრაულ-მასონური მონარქისტული მოძრაობაც.** პირველი, ანუ ქართული მონარქისტული მოძრაობა ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლობას, მისი ისტორიული სამეფო ტიტულის, ,,დავითიანობის'' გამო, დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად წოდებულობას, მიიჩნევს სულიერ - სათნოებრივი მნიშვნელობის შემცველად, ხოლო მეორე, ანუ ებრაულ-მასონური, რომელსაც საქართველოს მთელი მასონური ხელისუფლება უმაგრებს ძირს- ბაგრატიონთა სამეფო ტიტულს, ,, დავითიანობას'' ეჭიდება, უფრო სწორად, ებღაუჭება დავით წინასწარმტყველის შთამომავლობის ხორციელი მნიშვნელობით. და აქ საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტად ორი საკაცობრიო მისია ეჯახება ერთმანეთს, ორი რჩული ერის: ძველი აღთქმის , ანუ იეღოვას რჩეული ერისა და ახალი აღთქმის,ანუ ქრისტეს რჩეული ერის: ქართველი ერისა და ებრაელი ერის. საქართველოს ხელისუფლება, რომელიც შესდგება მსოფლიოს ახალი წესრიგის დამფუძნებელთაგან წარმოგზავნილი პოლიტიკური დესანტებისაგან, არმცოდნე საკუთარი ქვეყნისა და უმეცარი საკუთარი ხალხის საკაცობრიო სულიერი მისიისა,, ყველაფერს აკეთებს სიონისტურ-მასონური მოძრაობის ინტერესების დასაცავად და ასახდენად, და რაც



მთავარია, აიძულებს საქართველოს ეკლესიას, დადგეს საქართველოს ხელისუფლების გვერდით. **შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის, მალტის მასონური ორდენის კავალრის მიერ, მისი გაპრეზიდენტებისთანავე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეიცვალა ხუთჯვრიანი დროშით, აღიარებულია იერუსალიმის სამეფო დროშად. ე.ი. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ისე რომ არაფერი უკითხავს ქართველი ხალხისათვის, იერუსალიმის სამფოდ ცნობილი დროშა გამოუცხადებია საქართველოს დროშად.** ამ საკითხზე, როგორც შევიტყვე, არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული ცნობილ სამართალმცოდნეს, ავთანდილ კახნიაშვილს. ერთი წუთით წიაღსვლა გავაკეთოთ ამავე პრეზიდენტის მიერ გატარებულ განათლების რეფორმაზე. ეს შეკითხვა მე რეფორმის საწყისშივე დავსვი, კავკასიის არხზე, დავით აქუბარდიასთან საუბრის დროს: თუ საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა ქრისტიანული მრწამსის ხელისუფალთა შემოტანილია, და მათთვის ხუთი ჯვარი იმასვე ნიშნავს, რასაც - საქართველოს პატრიარქისთვის, და ე. ი. საქართველოს მთელი მართლმადიდებლური სამწყსოსათვის, როგორღა არის შესაძლებელი, ასეთი გაგების ხელისუფლების მიერ გატარებული განათლების სახელმწიფო რეფორმა დაიწყოს ქრისტეს შეწირულ წმინდანთა ცხოვრების აღმწერი თხზულებების გამოცხადებით მკვდარ ტექსტებად, რომლებიც ცხოვრების გზის არანაირ კითხვაზე პასუხს არ სცემენ და იმსახურებენ ამოყრილ იქნან საგანმანათლებლო პროგრამებიდან. ამას დავუმატოთ კიდევ ერთი გარემოება: მოგეხსენებათ, რომ საქართველოს წმინდანთა შორის წმინდა გიორგი თითქმის ყველაზე დიდი თაყვანისცემით არის შემოსილი. როდესაც მიხეილ სააკაშვილმა უდიდესი აჩემებით, თავისუფლების მოედანზე, გველეშაპთან მებრძოლი, ცხენზე ამხედრებული რაინდის სკულპტურული კომპოზიცია დადგა, ერთხელაც არ უხსენებია წმინდა გიორგი. გარკვევით განაცხადა: ეს არისო ზოგადად კე-



თილისა და ბოროტის ბრძოლის ქანდაკება და ასეთადაც აკურთხებინა მის უწმინდესობას, საქართველოს პატრიარქს- ილია მეორეს. ეს საქართველოს ახალი, ანუ ხუთჯვრიანი დროშა ისევე არ გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების ქრისტიანულ სულისკვეთებას, როგორც ტამპლიერთა ისტორიული ორდენის სახელწოდება: ,,ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები და სოლომონის ტაძრელები'' არ გამოხატავს ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცების სულისკვეთებას და წარმოადგენს მხოლოდ ნიღაბს ,,სოლომონის ტაძრელების'' დასაცავს, ქრისტიანული მსოფლიოს თვალის ასახვევად შექმნილს, მისგან, ანუ ქრისტიანული მსოფლიოსაგან საჭირო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება და საქართველოს ეკლესია სხვადასხვა მსოფლმხედველობის ენაზე ლაპარაკობდნენ და სხვადასხვა შინაარსებს დებდნენ საქართველოს სახელმწიფო დროშის სიმბოლიკაში, საქართველოს ხელისუფლებამ მაინც მოახერხა საქართველოს მწყემსმთავრის დაჯერება იმაში, რომ ხელისუფლების მიერ ოფიციალურად რეგისტრირებული, აბსურდული ,,ქართველ ტამპლიერთა'' ორდენი მართლმადიდებელ რაინდთა ორდენი შეიძლებოდა ყოფილიყო და კურთხეულიყო კიდეც საქართველოს პატრიარქის მიერ, როგორც ქრისტეს მხდრობაც და ქართველ ბაგრატიონთა, ამასთან ,,ღირსეულ დავითიანთა მხედრობაც''. ამგვარი ცბიერებით, საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესია ააცდინა საკუთარ, ქართველი ერის საკაცობრიო სულიერ მისიას და ჩააყენა სიონისტური ინტერესების მეტაძრეთა, იგივ ტამპლიერთა, ანუ ,,სოლომონის ტაძრელთა'' სამსახურში.

ჩვენ შევეცადეთ საქართველოს დღევანდელი რეალობის ჩასაწვდომი და მისაწვდომი სურათიდან ამოგვეწია და გაგვეცხადებინა ის მონაკვეთები და შტრიხები, რომლებიც ააშკარავებენ საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს სულიერი წინამძღოლის - მართლმადიდებლური ეკლესიის - სათავეებშივე ჩახშობასა და გაუქმებას ქართველი ერის სულიერი მისიის. იქიდან გამომდინარედ, რომ საქართველო უკვე ოკუპირებულია სიონისტური ძალების მიერ, ცნობილი სიონისტის ჯორჯ სოროსის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი მმართველობის გზით, იქიდან გამომდინარედ, რომ ე.წ. დამოუკიდებელი საქართველოს დღევანდელ სახელმწიფო მანქანას უკვე ფლობს, დღევანდელი სახელმწიფოებრივი მანქანა უკვე ეკუთვნის იმ ძალას, რომელიც ერთიანად მთელი კაცობრიობის წინაალმდეგ არის მიმართული , პატივაყრილობა ქართველი ერისა საკუთარ ქვეყანაში აღარავის აკვირვებს. ქართველი ერის ღირსების დაცვის მექანიზმი აღარ არსებობს. ის მანქანა, რომელიც ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს უცხო ძალის ხელშია. ამ ძალას ქართველი ერი, როგორც ერთიანი მთელი, არ აინტერესებს. უფრო მეტი: მას არ აწყობს არც ქართველი ერის არსებობა და არც მისი ღირსების დაცვის ამოცანად დასახვა. პირიქით: მას აწყობს დაშლა ამ ეროვნული მთელისა და განდევნა იმ ტერიტორიიდან, რომელიც მისი ისტორიული კუთვნილებაა. ეს ძალა უკვე გაცნობიერებულია, როგორც ,,მსოფლიოს ახალი წესრიგი'' და როგორც ,,შეთქმულება კაცობრიობის წინაალმდეგ''. უკვე არსებობს ჩვენი საზოგადოებისთვისაც კარგად ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, დოქტორ ჯონ კოლემანის მიერ მსოფლიოსთვის გასაგებ და აკადემიურ ენაზე დაწერილი წიგნი დღევანდელი მსოფლიოს მართვის შესახებ იატაკქვეშეთიდან. ეს გახლავთ წიგნი ამჟამად მოქმედი და მსოფლიოს ახალი წესრიგის დამამყარებელი ორგანიზაციის შესახებ, როგორც ,,მსოფლიოს საიდუმლო მთავრობის'', რომლის სახელწოდებაც, როგორ ჩანს, დაწესებული მისი პერსონალური შემადგენლობიდან გამომდინარედ, და ცნობილია, როგორც ,,სამასთა კომიტეტი''. დოქტორი ჯონ კოლემანი ათვალსაჩინოებს დღევანდელ მსოფლიო მმართველობას, როგორც კაცობრიობის წინაალმდეგ მიმართული შეთქმულების მიმდინარე პროცესებს. ასევე, უკვე არსებობს პატრიკ ბიუკენენის, ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსისა და პოლიტოლოგის, 90-იან წლებში აშშ-ების პრეზიდენტობის კანდიდატის, ,,ამერიკის სინდისად'' წოდებული კაცის წიგნი: ,,დასავლეთის სიკვდილი'' (2002 წ.), რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევრის მთელ მანძილზე გატარებული კულტურული რევოლუცია ამერიკის შეერთებული შტატებისა. - ამ რევოლუციამ, წერს ავტორი, - მოახდინა დექრისტიანიზაცია ამერიკისა და ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ქრისტიანული ქვეყანა წაიყვანა ანტიქრისტეს გზით. ავტორისეული მძვინვარე შეფასებით, **ამ კულტურულმა რევოლუციამ ამერიკის შეერთებული შტატები მოისროლა ეთიკურ კანალიზაციაში. ევროკავშირი, როგორც გაერთიანება, რომელიც არც სახელმწიფოა და არც ორგანიზაცია, ახალი ასპარეზია იმავე ,,კულტურული რევოლუციის'' შემომქმედი ავტორებისა და ორგანიზატორებისა, რომელთაც ,,კულტურული რევოლუცია'' გადმოიტანეს ევროპაში და ამჯერად ,,ეთიკურ კანალიზაციაში'' ეწევიან თავად ევროპის გადასროლას.** პატრიკ ბიუკენენმა ჩვენზე უკეთესად იცის მაასტრიხტის შეთანხმება, რომლითაც იურიდიულ არსებობას იწყებს ევროკავშირი, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, 1992 წელს. ევროკავშირის შექმნა პატრიკ ბიუკენენისათვის არ ნიშნავს ევროპის აღდგომას მკვდრეთით და ევროპის იდეოლოგიურ წარმართვას ქრისტიანული ევროპის განვითა-

რების გზით. მისი წიგნი- „დასავლეთის სიკვდილი“- იწერება სწორედ ევროკავშირის შექმნის კვალდაკვალ, რაც იმაზედ მოწმობს, რომ პატრიკ ბიუკენენისთვის ევროკავშირის შექმნა, როგორც დასავლეთის პერსპექტივა, ნიშნავს არა ევროპული ღირებულებების აღორძინებას და განვითარებას, არამედ დასავლეთისეულ სიკვდილში ყოფნას. საჭიროდ და ძალზედ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, **მსოფლიოს ახალი წესრიგის დასახასიათებლად, აღნიშნულთან ერთად, მოვიხსენიო მესამე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ჩემთვის ცნობილ ამ უახლეს წყაროთაგან: ეს გახლავთ, თავად მასონური მოძრაობის აღსარება კრემლში, ანუ ცნობილი მასონის, „ზეკაცად“ წოდებული ევგენი კაზიმიროვიჩ გორდეევის აღსარება, წარმოთქმული საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის დაშლის წინ,** როცა უკვე ეს დაშლა კარზეა მომდგარი და გარდუვალია სიონისტური პერესტროიკის გამარჯვება.. მასონი „ზეკაცის“ აღსარება, ძალზედ ნიშნეულია, რომ წარმოთქმულია პირდაპირ კრემლში, ბრძოლაში გამარჯვებული კაცის მუქარით, რომ ველარასოდეს ეღირსებაო მსოფლიო, ძალაუფლების დაბრუნებას მათგან: მსოფლიოს მასონურ-სიონისტური ძალისაგან. აღმსარებელი დაუფარავად აცხადებს ავტორობას საბჭოთა სივრცეში გატარებული „პერესტროიკისას“, რომლითაც მათ წარმატებით დაშალეს მსოფლიოს უზარმაზარი სახელმწიფო: ... Í àì í åï ëî õî óäàëî ñü ñ âàì è î÷åðåäíàÿ èãðà â ïåðåñòðîéêó, ãëàñíîñòü, äåìîêðàòèþ ...

... Ó íàñ åñòü ïðåêðàñíûå ñïîñîáû âûâîäèòü èç ñòðîÿ âàøèõ áîðöîâ ñàìîé æå ôî-ëîé...

თუ დავაკვირდებით, საქართველოში საკმაოდ წარმატებით მუშაობს ეს მეთოდი ქართველი ხალხის ინტერესების დამცველთა თავიდან მოშორებისა ქართველი ხალხისავე ხელით.

აღმსარებლის ამ ორი სტრიქონიდანაც ნათელია, რომ იგი წარმოადგენს შიგ საჭოთა სახელმწიფოში გამყარებულ ძალას. გაგაოცებთ მისი, ღმერთთან შეტოქებული - სატანისებური ქედმაღლობა და წარმოუდგენელი ზიზღი ხალხების მიმართ. კიდევ მოვიხმობ რამდენიმე ფრაგმენტს:

„...ჩვენ სიკეთეზე უფრო ძლიერი და ალმატებული აგრესიულები ვართ, და ჩვენი დამარცხება შეუძლებელია... ჩვენ კიდევ ათასობით რევოლუციებს მოგიწყობთ და ათასობით „პერესტროიკას“. თქვენ სამუდამოდ გამყოფვებთ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, მაგრამ ვერასოდეს მოიპოვებთ მას...თქვენი სიჩლუნგე უსაზღვროა... თქვენი უმეცრება - გასაოცარი! ჩვენი ახალი ლოზუნგი, „პერესტროკა!“, რომელიც ნიშნავს რევოლუციას ზემოდან, თქვენს უმეცრებაზეა დამყარებული. მე გელაპარაკებით ღიად, არა იმიტომ, რომ თავხედი ვარ, არამედ იმიტომ, რომ არ მეშინია. ჩემს უკან უზარმაზარი ძალა დგას: ÊÏ ÑÑ, ÊÃÁ, Ì ÂÄ, ...ყოველგვარი უზენაესი საბჭოები... ჩვენს დაკრულზე ცეკვავენ პრეზიდენტები და ასრულებენ ჩვენს ნებას, აკეთებენ იმას, რაც ჩვენ გვსურს..

ჩვენ არაფრად გვიღირს თქვენი შიმშილი, თქვენი სიღატაკე, თქვენი ავადმყოფობა... არაფრად გვიღირს მოგწამლოთ ერთმანეთის სამტროდ, ისე რომ ლანძღვით გამოღრნათ ერთმანეთი...

ძალაუფლებას ჩვენ ყოველთვის მოგვცემთ თქვენ თვითონ. ასეა ჩაფიქრებული და ასეა დაგეგმილი!



არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება ჩვენი დამარცხებისა სამუდამოდ. მაგრამ თქვენ ვერასოდეს შესძლებთ ამ საშუალების გამოყენებას, რადგან მხოლოდ გენიოსის ბოროტებას შეუძლია მივიდეს იქამდე. სიკეთეს ამის გაკეთება არ შეუძლია!“ (ვსარგებლობ ინტერნეტში განთავსებული ტექსტით: Ãî ðäååâ Åâãåíèé Êàçèì èðî âè÷ - "Èñ-ïî âåäü Ñâåðõ÷åëî âåêà", 1991).

დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ნელნელა ნათელი ხდება, რომ მსოფლიოს ახალი წესრიგი, მისი რაობა, როგორც განხორციელება შეთქმულებისა კაცობრიობის წინააღმდეგ, თავისი საწყისიერი ეტაპით, ერთდროულად, ცალკეული ადამიანისა და საბოლოოდ მთელი კაცობრიობის გამოთაყვანებაში იკითხება, კაცობრიობის ცნობიერებაში აღბეჭდილ ღირებულებათა აღრევისა და ქაოტურ მდგომარეობაში მოყვანის გზით. ამ გამოთაყვანებული კაცობრიობის ორგანულ ნაწილად გვესახება საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივი რეალობა, რომელშიც სამწუხაროდ, ძალაუნებურად, ჩართულია ქართული ეკლესია. საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს მეთაურობით, შესძლო საქართველოს ეკლესიისთვის თავს მოეხვია ჯერ ბაგრატიონთა ხელოვნური ქორწინება, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არავითარი ლეგიტიმაციისათვის არ იყო საჭირო, და მხოლოდ მასონური ორიენტაციის დავით ბატონიშვილის შემოყვანას ემსახურებოდა. საქართველოს ხელისუფლებამ შესძლო საქართველოს ეკლესიისთვის თავს მოეხვია ანტიდისკრიმინაციული, ანუ ერთსქესიანთა ქორწინების კანონი, რომელიც საქართვლოს ხელისუფლებას ესაჭიროება საქართველოს გასაწევრიანებლად ევროკავშირში, რომელზეც საქართველოს მოსახლეობას არანაირი რეალური წარმოდგენა არა აქვს. ფაქტია, რომ ევროკავშირის „ხელისუფლებას“ გამოთაყვანებული სახელმწიფოები მიაჩნია მზად ევროკავშირში მისაღებად. საქართველოს ხელისუფლებამ აგრეთვე შესძლო, საქართველოს პატრიარქს, ბიჭვინთისა და აფხაზეთის მიტროპოლიტს განაცხადებინოს, რომ საქართველოს ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში.

გაგიგონიათ? ქრისტიანული ეკლესია, რომელიც ქადაგებს: „მარჯვენაში რომ გაგარტყავენ, მარცხენა უნდა მიუშვირო“, მსოფლიოს ყველაზე აგრესიულ სამხედრო ორგანიზაციაში გასწევრიანებლად მიუძღოდეს თავის ქვეყანას, და იმ ორგანიზაციას და ქვეყნის ხელისუფლებას ამისი არ რცხვენოდეს?! საზოგადოებამ ხომ შესანიშნავად იცის, რომ ეს გაცხადებები ხელისუფლებისაგან თავსმოხვეული განცხადებებია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ამ განცხადებებზე ეკლესიას , თავისი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, მოხსნილი აქვს. უსათუოდ ისმის კითხვა: რამდენად ლეგიტიმურია ან საქართველოს პატრიარქის განცხადება ხალხის სახელით, ან საერთოდ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელმოწერები, როდესაც არ არსებობს ქართველი ხალხის მხარდაჭერის დოკუმენტები ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაზე? **თუ ზვიად გამსახურდიას მიაჩნდა საჭიროდ, რომ საჭოთა კავშირიდან გამოსვლა უდიდესი ისტორიული აქტი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში და სახალხო რეფერენდუმით უნდა დადასტურებულიყო, რატომ არ არის დიდი ისტორიული ფაქტი საბჭოთა კავშირიდან გამოსული ხალხის ევროკავშირში შესვლისა და რატო არ უნდა იყოს ეს დადასტურებული სახალხო რეფერენდუმით, თუ ეს შესვლა სამართლებრივად არის გამართული?** ევროკავშირში და ნატოში საქართველოს ხელისუფლება და საქართველოს ეკლესია წევრიანდბა , თუ საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელიც ქართველი ხალხის გარეშე არ არსებობს? ხოლო თუ ეს ევროკავშირი და ნატო ქართველი ხალხის თანხმობის ამსახველ დოკუმენტს არ საჭიროებს საქართველოს გაწევრიანებაზე მათ სისტემებში, მაშინ ისინი არაცივილური, ამასთან არადემოკრატიული, ან აშკარად ყალბად დემოკრატიული და ავანტიურისტული ორგანიზაციები ყოფილან! ქართველი ხალხის ოფიციალური თანხმობის დოკუმენტის, ანუ რეფერენდუმის გარეშე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელმოწერებიც და

საქართველოს პატრიარქის განაცხადებიც, თუ ისინი თავის მხრივ უკვე გარანტირებულად არ ემყარებიან დოკუმენტურად დადასტურებულ ნებას ქართველი ხალხისას, არალეგიტიმურად უნდა იყოს მიჩნეული ნატო- ევროკავშირში, როგორც სამართლებრივად მოწესრიგებულ და გამართულ ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის.

საქართველოს ხელისუფლება სრულ ინფორმაციულ უმეცრებაში ამყოფებს ქართველ ხალხს, რომელსაც ზომბირებას უკეთებს უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ერთადერთი მიზნით; ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებით. სხვა იდეა საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს. მისთვის ჩვენ, ქართველი ხალხი ამისთვის დავიბადეთ და ამისთვის ვარსებობთ, რომ შევიდეთ ევროკავშირში და ნატოში. საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც 22 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა საქართველოს მოქალაქეების უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით, ანუ ქართველი ხალხის უზრუნველყოფით საარსებო და სასიცოცხლო უფლებით, პოლიტიკური ისტერიით დგამს ნაბიჯებს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებისათვის: ისიც კი არ ახსოვს საქართველოს სახელისუფლებო გონებას, რომ იმისათვის, რომ ევროკავშირის ან ნატოს წევრი იყოს შენი ქვეყანა და შენი ხალხი, ამისათვის ის ჯერ უნდა იყოს, უნდა არსებობდეს, ამისათვის მას, შენ ქვეყანას და შენ ხალხს არსებობა უნდა უზრუნველყოფილი ჰქონდეს. ჯერ არსებობის მოწესრიგებაა საჭირო და მერე არსებულის გაწევრიანების მოწესრიგება ნებიმიერ ორგანიზაციაში. ჩვენ ამას ვქადაგებთ უკვე წლების განმავლობაში უდაბნოსა შინა., თუმცა საკითხავია ისიც: რამდენად არის იგი, თავად ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება გარკვეული იმ მსოფლიო ორგანიზაციებსა და იმ მსოფლიო რეალობათა პერსპექტივაში, რომლისკენაც საქართველო და ქართველი ხალხი მიჰყავს?! და არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კითხვა: რამდენად არის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კომპეტენტური ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედის გადაწყვეტაში? რამდენადა აქვს მას მოპოვებული მორალური უფლება ქართველი ერის წინამძღოლობისა და ქართველი ერის ბედის წარმართვის? ამ ხელისუფლების არსებობა იმ სახით, როგორითაც ის არსებობს, ხომ უამრავ პირობითობაზეა დამყარებული? უამრავ იძულებით დათმობაზე ქართველი ხალხის მხრიდან?!

ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლესთან დაკავშირებით, ქართველმა ხალხმა საოცარი განმარტება მიიღო სასულიერო აკადემიის რექტორის, ჩვენგან დიდად პატივცემული მამა გიორგი ზვიადაძისაგან : საქართველოს პატრიარქის ეპისტოლე არ არისო საქართველოს პატრიარქის პირადი წერილი ხალხისადმი. რომ არსებობსო მთელი მექანიზმი პატრიარქის ეპისტოლეს შექმნის. ამ მექანიზმის დამსახურებისა და ღვაწლის შესაფასებლად, მოგეხსენებათ, მამა გიორგის დასჭირდა საქართველოს პატრიარქის თანაშემწექალბატონის დამსახურებისა და ღვაწლის აღიარება საქართველოს ეკლესიის წინაშე. ჩვენ ამ მექანიზმს ბიბლიური ტერმინი მივუსადაგეთ: „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმის, რომელშიც „მარდოქაი“ სიმბოლურად სახელმწიფოს და მის საგანგებო სამსახურებს ნიშნავს.

საქართველოს პატრიარქი, რომელიც დღენიადაგ მოგვიწოდებს ანალიტიკური აზროვნებისაკენ, სამწუხაროდ არ მოგვიწოდებს საქართველოს ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ნაბიჯის ანალიზისაკენ, როგორიც არის გაწევრიანება „ევროკავშირში“ და „ნატო“-ში და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ნებდება საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი პოზიციების უარყოფაში. სადაო სიტუაციებში, ეკლესია, ჩვენს თვალწინ, ყოველგვარი განმარტების გარეშე გადადის ხელისუფლების მხარეს, რითაც ადუნებს ქართველი ხალხისა და ქართული საზოგადოებრიობის საბრძოლო მუხტს ეროვნული ინტერესების დაცვისას და აჩვევს შემგუებლობას ეროვნული ღირსების შეურაცხოფისადმი ხელისუფლების მხრიდან. გამოდის რომ ეკლესია გადადის იმ ხელისუფლების მხარეს, რომელიც არაფერს არ ეკითხება ქართველ ხალხს: ასეთ დროს ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციაში მყოფი საქართველოს ეკლესია და საქართველოს ხელისუფლება რჩებიან განცალკევებულად ქართველი ხალხისაგან, რჩებიან დინების სხვადასხვა მხარეს. საქართველო კი, როგორც ქვეყანა, არც საქართველოს მომენტალური ხელისუფლების პირველი პირების პირადი საკუთრებაა, არც „ჯორჯ სოროსის“ და არც ვირტუალური „მეფის“. თუ გავიხსენებთ, ბიბლიაში საერო სამეფო ხელისუფლება მყარდება ხალხის მოთხოვნით, თანაც სასულიერო მმართველობის შეცვლა ხდება სამეფო ძალაუფლებით. სწორედ ამ პროცესის წარმომადგენელია ებრაელთა ცნობილი მეფე და მეფსალმუნე დავითი, რომელიც ისრაელიანთა სამეფო მმართველობაზე გადასვლის შემდეგ, პირველივე მეფის ტახტს იკავებს ღვთის განგებით. დავითი მეორე მეფეა ებრაელი ხალხისა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# ქართველი „მოცარტინა“


ელისო ბოლქვაძე

***პარიზში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ პიანისტსა და საერთაშორისო საქველმოქმედო პროექტების ორგანიზატორს ელისო ბოლქვაძეს, ქართველ ხელოვანთაგან პირველს, ახლახან „იუნესკოს მშვიდობის არტისტის“ წოდება მიენიჭა. საზეიმო ცერემონია პარიზში გაიმართა და ეს საპატიო ჯილდო ქალბატონ ელისოს იუნესკოს გენერალურმა მდივანმა ირინა ბოკოვამ გადასცა. იუნესკოს მშვიდობის ელჩის ტიტული სხვადასხვა დროს მინიჭებული აქვთ საქვეყნოდ ცნობილ ხელოვანებსა და საზოგადო მოღვაწეებს: პლასიდო დომინგოს, ანჯელინა ჯოლის, ვლადიმერ სპივაკოვს, ხუაკინ კორტესს, შირლი ბეისს, სელინ დიონს, მარკუს მილერს...***

* * *

უყვარს ბავშვობის გახსენება – არაჩვეულებრივი გარემო, მამის სამეგობრო, ის თაობა, რომელსაც სამოციანელებს ეძახდნენ, XX საუკუნის სამოციანელებს. მოსალხენად რომ შეიკრიბებოდნენ, პატარა ელისოს მაგიდაზე შემოსვამდნენ და ამღერებდნენ. ოთხი წლიდან დაიწყო დაკვრა. როცა მუსიკით დაინტერესდა, შინ პიანინო არ ჰქონდა და მეზობლებთან დადიოდა სამეცადინოდ. მოგვიანებით დედამ ფული ისესხა, შვილს ინსტრუმენტი უყიდა და დღედაღამ ამეცადინებდა. ნიჭიერთა ათწლედში გამართულ კონცერტებზე მამის სამეგობრო, ყველა ერთად, მის მხარდასაჭერად დადიოდა. ტარიელ ჭანტურიამ, მოცარტის დიდი სიყვარულის გამო, პატარა ვირტუოზს „მოცარტინა“ შეარქვა. გურამ ფანჯიკიძემ კი 1975 წლის 7 ნოემბერს, ელისოს დაბადების დღეზე, 7 წლის რომ გახდა, წერილი დაწერა, კონვერტში ჩადო და მშობლებს უთხრა, 17 წლის რომ გახდება, მაშინ გახსენითო. დათქმული პირობა შეასრულეს და 10 წლის შემდეგ წაიკითხეს ეს წერილი:

**„მე, გურამ ფანჯიკიძე, დღეს ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით, რომ სულ მალე გავხდებით ჩვენი ელისო ბოლქვაძის ტრიუმფის მოწმე. მე ეს მჯერა, როგორც ხვალინდელი დღე. როცა ელისოს დააბნევს და გაახარებს მქუხარე აპლოდისმენტები, გაიხსენეთ, რომ მე ვიწინასწარმეტყველე მისი მსოფლიო დონის მომავალი“.**

ვიდრე ეს წინასწარმეტყველება ახდებოდა და მუსიკალური ელიტა მართლაც ტაშით „დააბნევდა და გაახარებდა“, მანამდე მამის მეგობრებმა ნოდარ დუმბაძის თაოსნობით ჩამოაყალიბეს „როიალისტების პარტია“, რომლის მთავარი მიზანი მომავალი დიდი მუსიკოსისთვის როიალის შეძენა იყო; უფრო სწორად შოვნა, რადგან ელისომ ბავშვობა ისეთ ქვეყანაში გაატარა, სადაც როიალის შოვნას და მისი ყიდვის უფლების მიღებას სამი წელი დასჭირდა. რომ არა ეს მონდომება და მიზანსწრაფულობა, შესაძლოა, მომავალში „როიალის ლედად“ წოდებული ქართველი მუსიკოს-შემსრულებლის კარიერა ასეთი ზეალმავალი და ელვისებური არ ყოფილიყო.

ელისოს მუსიკალური ნიჭი ძალიან პატარა ასაკში აღმოაჩინეს და მშობლებმა – ზაურ ბოლქვაძემ (ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი, პოეტი) და ნანა დარჩიამ („ჟურნალ „საუნჯის“ რედაქტორი, მთარგმნელი) ყველაფერი გააკეთეს, რომ ერთადერთი შვილის მომავლისთვის ხელი მაქსიმალურად შეეწყოთ.

**„ჩემი ოჯახისა და ოჯახის მეგობრებისთვის ლამის ამომავალი ვარსკვლავი ვიყავი. ძნელია, როცა ყველა და ყველაფერი შენ გარშემო ტრიალებს, როცა ჩნდება რეალური საშიშროება, გამოუსწორებელ ეგოისტად ჩამოყალიბდე. ტაში და ოვაცია არც სახლში მაკლდა და არც სახლს გარეთ, ამ ოვაციებსა და აღფრთოვანებას ჩემზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია – უბრალოდ მეტი სტიმული იყო, ჩემი საქმე უკეთ რომ მეკეთებინა“.**

მუსიკალურ ათწლედში გაიმართა მისი სოლო-კონცერტი, ათწლედში სწავლის პერიოდშივე ბევრ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და წარმატებებსაც მიაღწია, ხანდახან მასზე ბევრად უფროს კონკურსანტებთან ერთად გამოდიოდა. ამ საკონკურსო გარემომ დაანახვა და აგრძნობინა, რომ კონკურენცია შიშს კი არა, მეტ ჟინს ჰმატებდა, ახალი ბარიერების გადასალახად განაწყობდა, მტკიცე ხასიათს უყალიბებდა.

ახალგაზრდა პიანისტის კარიერა ახალი კონკურსებითა და კონცერტებით ივსებოდა. ამერიკაშიც იყო ბიჭების კონკურსად წოდებულ ვან კლაიბერნის საერთაშორისო კონკურსზე და იქაც დიდ წარმატებას მიაღწია, კრიტიკოსთა და პიანისტთა აღმატებული შეფასებები დაიმსახურა. კლაიბერნი, რომელიც იშვიათად თუ გაიმეტებდა საქებარ სიტყვებს მუსიკოსებზე, ასე აფასებდა ელისო ბოლქვაძეს: **„ბრწყინვალე პიანისტია. შესანიშნავი მუსიკალური გამომსახველობით, გასაოცარი ექსპრესიულობითა და დამატყვევებელი მანერით. მას დიდი მომავალი ელოდება. მისი ვარსკვლავი ამობრწყინდება და მთელი მსოფლიოს ყველა საკონცერტო დარბაზი მხოლოდ მას დაუკრავს ტაშს“.**





ელისო ბოლქვაძე – იუნესკოს მშვიდობის ელჩი

ელისო ბოლქვაძის შესრულებამ აღაფრთოვანა ჟიურის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი წევრი ჯონ ლილი, რომელმაც 22 წლის პიანისტს 22 თეთრი ვარდი უძღვნა, მოგვიანებით კი ამერიკაში საგასტროლოდ მიიწვია. ელისომ კონცერტებით შემოიარა ამერიკის საუკეთესო დარბაზები, 15 კონცერტი გამართა. მანამდე კი ჰქონდა წარმატებული კონცერტი ჯანსუღ კახიძის ორკესტრთან ერთად, რომლის ჩაწერაც მოხერხდა. სწორედ ამ ჩანაწერში მიღებული ჰონორარით გადაწყვიტა უცხოეთში გამგზავრება, რადგან ამერიკული ტურნედან დაბრუნებულმა **„როიალიდან და გაჩახჩახებული საკონცერტო დარბაზებიდან ნავთქურასთან“** გადაინაცვლა.

**„ვხვდებოდი, რომ ასე, ნელნელა, მოვკვდებოდი – არა მარტო როგორც მუსიკოსი, მართლა მოვკვდებოდი ფიზიკურად. ჩემი შემოქმედება დეგრადაციისკენ მიექანებოდა, უკვე დეპრესიაც მეწყებოდა, არარეალიზებულ შემოქმედ ადამიანზე უბედური ამ ქვეყნად არავინაა – შინაგანად ინგრევი და ეს განცდა ჯანმრთელობასაც გინგრევს“.**

ეს მოჯადოებული წრე გაარღვია და საფრანგეთში მარგარეტ ლონგის კონკურსზე გაემგზავრა. თურქეთის გავლით ჩააღწია პარიზამდე, რადგან იმ დროს თბილისიდან პირდაპირი რეისები ევროპის არც ერთი ქვეყანისკენ არ იყო. ბედმა დიდი სიურპრიზი და საჩუქარი მოუმზადა:

**„ამ კონკურსისთვის ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი, ზუსტად ვიცოდი, ინტუიციით ვგრძნობდი, რომ აქ რაღაც უნდა მომხდარიყო, ისეთი რამ, რაც ჩემთვის გადამწყვეტი იქნებოდა. პირველი ტურის შემდეგ „გაცხრილულ“ 45 კონკურსანტს შორის მოვხვდი და დავმშვიდდი. მეორე ნომრად მოცარტის სონატა უნდა შემესრულებინა. ისეთი მისტიკური რამ მოხდა ჩემში, რომ მე მოცარტსა და დარბაზს შორის ერთგვარ გამტარად გადავიქეცი, სხვა სივრცეში, სხვა განზომილებაში გადავედი, იქ, სადაც არ არსებობს რეალობა, ვიყავი მხოლოდ მუსიკასთან. ეს იმდენად შესამჩნევი იყო, რომ დაკვრა რომ დავასრულე, ჟიურის ათივე წევრი ფეხზე დამდგარი ტაშს მიკრავდა... მივხვდი, რომ თბილისში, ნავთქურასთან დაბრუნება აღარასოდეს აღარ მომიწევდა... იმ**

დღეს შევხვდი ჩემი ცხოვრების მაესტროს — მიშელ სონის, რომელმაც ჩემს შესრულებას „ინტელექტუალური აკორდები“ უწოდა. იგი ყოველთვის ესწრება კონკურსებს და საინტერესო მუსიკოსებს არჩევს, რომ შემდეგ ვენაში, თავის სტუდიაში წაიყვანოს, საკუთარი მეთოდით ამეცადინოს და მათ მომავალზეც იზრუნოს“.

საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა — ცნობილ მუსიკოსთან, კომპოზიტორთან და ფსიქოლოგიის დოქტორთან შეხვედრამ ელისო ბოლქვაძე, როგორც პიანისტი და პიროვნება, ძირფესვიანად შეცვალა. სონიმ ახალგაზრდა პიანისტებისთვის უნიკალური მეთოდი შეიმუშავა და ანმარი შინდლერთან ერთად დაარსებულ „ვილა შინდლერში“ მუსიკოსებზე გამოსცადა. სწორედ აქ აღმოჩნდა ელისო ბოლქვაძე, სადაც რამდენიმე წელი გაატარა და იმ ხნის განმავლობაში კონცერტებზე არ გამოდიოდა — მისი მოვალეობა იყო მეცადინეობა, კითხვა, სეირნობა, ცხოვრებით ტკბობა...

**„მიშელ სონის დაფუძნებულ მუსიკალურ სასწავლებელში სულ სხვა ინფორმაცია შემოვიდა ჩემში, დიდი ძვრა მოხდა ჩემს ფსიქიკაში, მენტალიტეტში. მიშელ სონი მუშაობს ხელოვანის პერსონის გათავისუფლებაზე და ბოლოს აღმოაჩენ, რომ სულ სხვა ადამიანად იქეცი. ის, რაც ჩემში დაფარული იყო, საუკეთესო გზით განვავითარე...“**





სამი წლის თავზე მიხვდა, რომ მზად იყო, ამ არარეალური სამყაროდან რეალურ სამყაროში დაბრუნებულიყო და... პარიზში დაბრუნდა.

**„ყველას თავისი პარიზი აქვს. ეს გენიალური ქალაქია, გენიალური სულით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობ ამ სულის სუნთქვას. ბავშვობის მეგობრები — ჰიუგოს, დიუმას, ბალზაკის გმირები იქ მართლა ცოცხლდებიან. ეს ქალაქი ამოუწურავი ბედნიერებაა. ყოველთვის კარგ ხასიათზე ვდგები, როცა პარიზს ვუყურებ და ვფიქრობ: ღმერთო, რამ შექმნა ამდენი, ერთად!“**

ფიქრობს, რომ ბედი წარმატების თითქმის 70 პროცენტია, თუმცა იმაშიც დარწმუნებულია, რომ თითოეული ადამიანი თავის ბედს თვითონვე ქმნის.

**„ნიჭი ცალკე არაფერია, თუ არ ახლავს დიდი შრომა და განვითარება. კარგად რომ დაუკრა, ენერგეტიკა გადასცე, ამას მუშაობა სჭირდება, შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა მნიშვნელოვანია, ხანდახან საკუთარ თავსაც უნდა აჯობო. ეს არ იყო ბრმა შემთხვევა. ეს იყო წლების განმავლობაში ჩემი და ჩემი მშობლების მიერ გაწეული დიდი შრომის კანონზომიერი შედეგი...“**

ცალკე თემაა საქველმოქმედო საქმიანობა, რისი მაგალითი „მისი ცხოვრების მაესტრო“ მიშელ სონი აღმოჩნდა, რომელმაც 2001 წელს დააფუძნა თავისივე სახელობის საერთაშორისო ფონდი „SOS Talent“. ფონდის მიზანი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების ხელშეწყობაა და მის მიერ ორგანიზებული კონცერტები მრავალჯერ გადაიცა პირდაპირი ეთერით MEZZO-ზე. მიშელ სონი ფიქრობს, რომ მუსიკის შესწავლა უნდა შეეძლოთ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ბავშვობაში დაკვრა არ უსწავლიათ. ისინი მუსიკოსები ვერ გახდებიან, მაგრამ მუსიკით უდიდეს სულიერ სიამოვნებას მიიღებენ და თანაც, ფორტეპიანო ერთადერთი ინსტრუმენტია, რომლის დაკვრისას მთელი სხეული და გონება ერთობლივად მონაწილეობს.

რამდენიმე წლის განმავლობაში ელისო ბოლქვაძეს მიშელის სკოლაში საქართველოდან ახალგაზრდა მუსიკოსები და ბავშვები მიჰყავდა იმისათვის, რომ მათი ნიჭი არ დაკარგულიყო, მათაც მისცემოდათ საშუალება, განვითარებულიყვნენ, სიახლეებს ზიარებოდნენ, მუსიკის სამყაროში ადგილი დაემკვიდრებინათ. ამ თავდაუზოგავი უანგარო გარჯის სანაცვლოდ უმადურთაგან ისეთი ტკივილის გადატანა მოუხდა, ყველაფრისთვის თავის დანებებას აპირებდა.

**„მეგონა სიკეთეს ვაკეთებდი და არავინ რომ არ დაინახა და საპირისპიროდ შემომიტრიალდა, ყველაზე გული გამიტყდა. ვინმესთვის რამის გაკეთების სურვილი დავკარგე და თავს ცუდად ვგრძნობდი. ამაზე ერთ ბერს დაველაპარაკე, რომელმაც მითხრა, თავად სიკეთის კეთება უნდა დაისახო მიზნად, შედეგი შენი საქმე არ არის, ეს მხოლოდ უფალმა იცის. თუ იმიტომ აკეთებ, რომ ვინმემ დაგიფასოს, თავისი არსით უკვე აღარ არის სიკეთე, ანგარებაა და ანგარება კი ბოროტისაგან მოდისო... და გავაგრძელე ჩემი საქმე“.**

იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა შემოქმედისთვის ხელის შეშველება — თვითონაც ხომ „SOS Talents“-ის პირველი სტიპენდიატია. ამიტომაც დააარსა საქართველოში საქველმოქმედო ფონდი „ლირა“, რომლის მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტების აღმოჩენა და ხელშეწყობა — მათ გზა უნდა გაუკვალოს მსმენელამდე, ფართო აუდიტორიამდე, რადგან საკუთარ თავზე გამოსცადა ამ გზის სირთულე.

ელისო ბოლქვაძის ძალისხმევითა და ფონდ „ლირას“ მეშვეობით, პარიზმა უკვე გაიცნო ორი ნიჭიერი ქართველი შემსრულებელი — ბარბარე თათარაძე და ილია ლომთათიძე, რომლებიც მონაწილეობდნენ ელისეს მინდვრებზე, მარსელ დასოს სასახლეში 2013 წლის დეკემბერში გამართულ კონცერტში. ეს საღამო მიშელ სონის საერთაშორისო ფონდ „შOS Talent~-თან თანამშრომლობით დაიგეგმა. მოგვიანებით, მათი კონცერტები შვეიცარიაშიც გაიმართა.

**„პატარა ტალანტებს პირველად რამდენიმე წლის წინ მოვუსმინე — მაშინ პატარები იყვნენ — 5 და 7 წლის. მას შემდეგ ვცდილობ მათ გამოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე. სასიხარულოა, რომ კონცერტში ქართველი ტალანტების მონაწილეობით კიდევ ერთხელ გაიჟღერა საქართველოს სახელმა და ელიტარული საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. სამწუხაროდ, პიანისტ ბავშვებს ამ ეტაპზე საქართველოში დიდი პერსპექტივები არ გააჩნიათ. არადა, თუკი დასაწყისშივე არ დადგებიან სწორ გზაზე, მერე რთული იქნება მათს განვითარებაზე ზრუნვა“.**



ფონდი აფინანსებს მოსმენებს, კონცერტებს. თვითონ ელისო ბოლქვაძეც მართავს კონცერტებს, რომ შემოსული თანხით ფონდი გააძლიეროს, მუშაობის მასშტაბი გააფართოოს.

ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი Music Fest ელისო ბოლქვაძის დაარსებულია, იგი ამ ფესტივალის არტდირექტორია. უკვე მეორედ გაიმართა კონცერტები, მასტერკლასები, რომლებშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდა მუსიკოსები მონაწილეობდნენ.

* * *

ელისო ბოლქვაძე მაღალანაზღაურებადი პიანისტი და სახელოვნები კომპანია IMG Artists-ის წევრია, რომელშიც გაერთიანებული არიან მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები. სერიოზული კონტრაქტები აქვს, საკონცერტო ტურნეებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობს და ევროპის, ამერიკისა თუ იაპონიის პრესტიჟულ დარბაზებში იმდენ კონცერტს მართავს, რომ შემოსავლით უზრუნველად ცხოვრებაც შეძლოს და საქველმოქმედო საქმიანობაც. იგი ერთადერთი ქართველი პიანისტია, რომლის კონცერტებს რეგულარულად უთმობს ეთერს მუსიკალური არხი Mezzo.



ენატრება საქართველო, რომელიც მისთვის, უპირველეს ყოვლისა, სულია, სითბოა იმ ადამიანებისა, რომლებიც ბავშვობიდან თან დაჰყვებიან. **„ჩვენ სხვა ცივილიზაციის, სხვა ფასეულობების ხალხი ვართ, სხვა მენტალიტეტი გვაქვს. ისეთი თვისებებით გამოვირჩევით, რაც არც ერთ სხვა ერს არ გააჩნია. შინაგანი ხარისხი გვაქვს, ქართული გენი სერიოზული გენია“,** — ამბობს ელისო ბოლქვაძე, რომელსაც სჯერა — დადგება დრო, როცა ყველანი ბედნიერად ვიცხოვრებთ, ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, როცა შრომა დაფასდება, ხალხი დაწყნარდება... მანამდე კი ყველაფერს აკეთებს, რომ ხელი შეუწყოს განსაკუთრებული ქართული კულტურის წარმოჩენას მთელს მსოფლიოში.

**ელზა ნაბახტეველი**

# რატომ იკეტება აჭარის სოფლებში შობის ღამეს ტაძრები და რა ეროვნების იქნება თაობა, რომელსაც აჭარის სოფლებში ჩვენი მეზობლები ყურანს და თურქულს ასწავლიან?!

სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა, სხვადასხვა სქესის, ასაკის, მსოფლმხედველბის ადამიანებთან, მაგრამ თუ საუბარი საქართველოზე ან ქართველებზე ჩამოვარდება - უმეტესად რატომღაც ყველა ერთი და იმავეს ყვება დამაჯერებელი ტონით და მცოდნე გამომეტყველებით - ქართველები როგორ გავიხრწენით, როგორ ვარცხვენთ ერს საზღვარგარეთ, როგორ არ ვუფრთხილდებით ერთმანეთს, როგორ ვაბინძურებთ ჩვენი ქალაქის ქუჩებს, როგორ ვამტკიცებთ, რომ ყველაფერი ვიცით და არაფერი ვიცით, როგორ ვმრუშობთ გართობისთვის და არა ერის გამრავლებისთვის, როგორ ვქურდობთ, პატივს არ ვცემთ ოჯახს, როგორ ვსვამთ სუფრასთან განსხვავებული სასმისებით ქალების სადღეგრძელოს და მერე გამომთვრალნი როგორ ვაგინებთ ცოლს, რომელმაც კომუნალურის გადასახადების თანხა მოგვთხოვა... შემდეგ პარალელს აკეთებენ - როგორ ცხოვრობენ ევროპაში, ან ამერიკაში, ან რუსეთში, გააჩნია რომელი პრო-ს მატარებელი შემხვდება... ეს ყველაფერი ნათქვამია უკვე და ყველამ ზეპირად ვიცით, არ არის ჩემი სტატია ამ თემაზე, მაგრამ მაინტერესებს, თუ ყველანი ასე მცოდნენი ვართ, თუ ყველანი ვხედავთ, რა ხდება ირგვლივ, როგორც ვცხოვრობთ და რითი ვსუნთქავთ, თუ ყველა ნერვიულობს ქალაქში დაყრილ ნაგავზე და ქუჩაში დარჩენილ უპატრონი ბავშვებზე, გაბახებულ და შეურაცყოფილ მანდილოსნებზე, უკაცრავად და მაშინ ვინ ქურდობს, ვინ მრუშობს, ვინ აბინძურებს... ? ჩვენი მეზობელი, ბიძაშვილი, ქუჩის მეორე მხარეს მაღაზიის გამყიდველი, ჩვენი შვილის კლასელის მამა, თანამშრომელი, სიდედრი ან სიძე (ორივე ცუდი ნათესავია მაინც ჩვენთვის) და ასე შემდეგ, ოღონდ ჩვენ არა... ბოდიშით, მაგრამ ვითავხედებ და გეტყვით რომ ცდებით, ჩვენ, მე და შენ, შენ და მე, ჩვენ ყველა ერთად და ცალ-ცალკე ვცხოვრობთ ზუსტად ასე, და თუ არ ვცხოვრობთ, მაინც ჩვენ - ისევ დავკონკრეტდები და მე და შენ და შენ და მე - ვართ დამნაშავენი, რადგან ჩვენი უმოქმედობით ვცოდავთ.

ბოლო ორი წელია ახალ წელს და შობას ქობულეთში ვხვდები, ნათლული მყავს ქობულეთის ერთ-ერთ სოფელში. იმ სოფელში ტაძარი არ იყო, სოფელმა თავისი სახსრებით ააშენა. ძალიან ლამაზი, მუდამ მოვლილი ეზოთი და პატარა გალავნით შემოსაზღვრულ ეკლესია თავისი მრევლი ყავს. არც ისე ღარიბი სოფელია, მრევლი არაფერს იშურებს ტაძრისთვის და არ ვიცი რა შეიძლება იყოს მამაოსთვის მორწმუნე, მარხულ მრევლზე უფრო დიდი ბედნიერება. არ დაგავიწყდეთ რომ ეს აჭარაში ხდება, იქ სადაც, ბოლო წლებში, თითქმის ყველა სოფელში მუსლიმანმა თურქებმა ყურანის მსწავლელთა სკოლები გახსნეს, პატარებს ასწავლიან ყურანს, ლოცვებს, თურქულს და ყველა მოსწავლეს, ყველა მოსწავლის ოჯახს ფინანსურად ეხმარებიან გარკვეულწილად. ბავშებს სადილებს ახვედრებენ, (პატარებს უთქვამთ ისეთ გემრიელს კერძებს გვახვედრებენ, როგორსაც სახლშიც ვერ გვიმზადებენო) სასწავლებლად შემდეგ თურქეთში უშვებენ, სწავლის ფულს, საცხოვრებელ თანხას სრულად უფინანსებენ... მერე რა? არა, მართლა, მერე რა? ჩემი მასპინძლის მეზობელი, ისტორიკოსი, მართლმადიდებელი და ზემოთხსენებული ტაძრის მრევლი დანანებით დასძენდა ხოლმე - ქართველებს და თურქებს შორის არჩევანის საჭიროება რომ დაუდგეთ ამ ბავშვებს, როგორ გგონიათ, ვის მხარეს დადგებიანო? - რა თქმა უნდა, ეს რიტორიკული კითხვა იყო და პასუხი არც ერთს გაგვიცია, რადგან პასუხი ერთი იყო და ნათელი. თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი სტატია არც ამ თემაზეა, რადგან 21-ე საუკუნეა და ვიცი, რომ არჩევანის საშუალების შეზღუდვა დაუშვებელია. (თუმცა, ვენაცვალე ჩემს გურულებს, რომლებსაც საუკუნეებია ურწმუნოებს ემახიან და ამ დროს ზუსტად ისინი ნაჯახებით და ცელებით დადგნენ და ტაძრის გვერდით მეჩეთი აშენების უფლება არავის მისცეს) მაგრამ არჩევანიც არის და არჩევანიც - რაც ვაკეთებთ ჩვენ, მართლმადიდებლები? შარშან ამ სოფელში საშობაო წირვა არ ჩატარდა, მღველმა თქვა დიდ ტაძარში სჭირდებათ ღვთისმსახურებაში დახმარებაო... მრევლიდან რამდენიმემ საყვედური შეკადრა, როგორ შეიძლება ასეთ სოფლებში, სადაც თურქები ამდენს აკეთებენ, თითოეული ბავშვის, მოზარდის გადმოსაბირებლად, წირვა არ ჩატარდესო... იფიქრეს ამ თემაზე ღვთისმსახურებმა და წელს, ისევ დიდ ტაძარში წაბრძანდა მამაო, ავტობუსი გამოიყო მრევლისთვისო დაიბარა, 23-საათზე მოვა ტაძართან, აქ შეიკრიბეთ და ეკლესიაში მოგიყვანთო... ვინ გამიზომა ტაძრის სიდიდე? ვინ დამიკანონა რომელ ეკლესიაში უნდა გადავიწერო პირჯვარი და რომელში ვერა,







რადგან დაკეტილია? ან რა გაგვიჭირდა საიმისოდ, რას აკეთებს სემინარია, რატომ გვაკლია დიდ ტაძარში ღვთისმსახურებისას მღვდლები და რატომ არ შეიძლება ყველა ტაძარი ღია იყოს შობის წმინდა ღამეს? ავტობუსიო?! და ვისაც არ შეუძლია ტაძარში გამთენიამდე, ანუ წირვის დასრულებამდე გაჩერება და არც ტაქსის ფული აქვს შემდეგ უკან დასაბრუნებლად, რა გააკეთოს? სად მოილოცოს? ავადმყოფ, ლოგინად მყოფ ადამიანს ხომ შეიძლება შობის ღამის მოახლოება თავისი ტაძრის ზარებმა ამცნონ? ამისთვის ააშენა სოფელმა ტაძარი? როგორ, როცა რომელიმე სოფლის მაცხოვრებელი შვილს ნათლავს, რას აკეთებს - დიდ ტაძარში მიდის და იქ ნათლავს? ან ჯვარს სხვაგან იწერს? ან სახლის საკურთხებლად სხვა მამაო მოყავს? სად არის ურთიერთპატივისცემა, სად არის ბრძოლა, პატიოსანი, მართლმადიდებლური ბრძოლა იმისათვის რომ მომავალი თაობა არ გათურქდეს, არ გამუსლიმანდეს...

საიდუმლო არავისთვისაა, რომ ბათუმში, ყველა კუთხეში თურქული დაწესებულებებია გახსნილი, თურქული სამშენებლო კომპანიები, თურქული ავიახაზები, კვების ობიექტები და ასე შემდეგ, უთვალავი და თვალით ხილული, მაგრამ როგორც გავიგე, ბოლო წლებში ძალიან ბევრი თურქი მომლოგინე ჩამოდის ბათუმში მშობიარობის წინა დღეებში, აქ მშობიარობს და შემდეგ უკან ბრუნდება. რატომ? დაზღვევა არ უვარგა თურქეთში, ბათუმში უკეთესი სამშობიაროა, თუ ექიმები გვყას ბევრად კვალიფიციურნი? არსებობს ვარაუდი, რომ უნდათ ბავშვი საქართველოს მოქალაქედ დააფიქსირონ, რათა მომავალში ამ ბავშვს ხმის უფლება ჰქონდეს. როგორც იურისტმა განმიმარტა, დაბადების ადგილი არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი ავტონომიურად საქართველოს მოქალაქე ხდება, თუმცა, იმ შემთხვევაში თუ მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობას, ბევრად მარტივად მიიღებენ, რადგან ქართული დაბადების მოწმობა ექნებათ.

შევაჯამოთ - რას მივიღებთ ათეულ ან ორ ათეულ წელში? თაობას, რომლებსაც თურქები დაეხმარნენ ფინანსურად, ასწავლეს ყურანი, თურქული, მოაწყვეს თავიანთ უმაღლეს სასწავლებელში და თაობას, რომელიც თურქეთში გაიზარდა და დიდი შანსია საქართველოს პირადობის მოწმობა ჰქონდეთ. ჩვენ რას ვაკეთებთ ამ დროს? ტაძარს ვკეტავთ, საპატრიარქო სკოლები ფასიანია და ხშირ შემთხვევაში მაღალი გადასახადებით. ჩვენ მოქალაქეები რას ვაკეთებ? სად გვცალია, დავდივართ და ვთათხავთ ერთმანეთს შეწუხებული სახით და თუ მართლა ესეთი ცუდი ერი ვართ, თუ მართლა ასე გადავჯიშდით, დაე, მოხდეს რაც მოსახდენია? მე ვიყო კარგად, თორემ ჩემს მეზობლებს ჯანდაბამდე გზა ჰქონია? მთავარია მერსედესი არ იყიდოს, რომ წნევამ არ ამიწიოს? დასტურ შემიძლია ვთქვა, თუ ეხლა არ ვიმოქმედებთ, თუ ასე გაგრძელდა, მთლიანად მთელი თაობა თუ არა, რამდენიმე ათეულ წელში, თაობის ნაწილი მაინც გათურქდება. ათეული წლის მერე დედალი ვის აინტერესებს, მთავარია დღეს გვქონდეს კვერცხი? არა და არა, ათეული წელი ძალიან მალე გავა, და შეიძლება ეგ შემონახული კვერცხებიც ზედ მიგიყოლონ თურქებმა... მე რას ვაკეთებ? შემეძლო თითოეული სოფელი ჩამომევლო, თითოეული ოჯახის კარზე მიმეკაკუნებინა და ზუსტი ციფრით მეთქვა რამდენი ბავშვი სწავლობს დღეს თურქულს და იზრდება ყურანზე, როგორ ეხმარება თითოეულ ასეთ ბავშვს თურქი კეთილისმსურველი მეზობელი, ამ ბავშვებიდან რა პროცენტია გაჭირვებული მოსახლეობიდან და რითი და როგორ იტყუებენ მათ მუსლიმანობისაკენ. რამდენი მოზარდი გაგზავნეს თურქეთში სწავლის გასაგრძელებლად... მაგრამ სამწუხაროდ, ეს კვლევა ფინანსებთან არის დაკავშირებული და ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელიც მსგავს „სისულელეებზე“ ფულს არ გადაყრის...

**თამუნა კუშელავა**

# როდის შეწყდება ჯეკი მფატრავების პარპაში საქართველოში და როდის გამოიძიებენ ასობით გაუხსნელ მკვლელობას?!



ზვიად გამსახურდია



მერაბ კოსტავა



ზურაბ ჭავჭავაძე



გურამ შარაძე

1991 წლის 26 მაისიდან, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა, 2012 წლამდე, ქართველი ერისთვის არის ტრაგიზმით სავსე 20 წელიწადი, რომელიც სავსეა პოლიტიკური დაპირისპირებებით, გახმაურებული გაუხსნელი მკვლელობების კასკადით.

საიდუმლო მკვლელობების დასაწყისი სერიები ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პირველ პერიოდს დაემთხვა. დღემდე გამოუძიებელია შევარდნაძის მთავრობის წევრის **სოლიკო ხაბეიშვილის** მოულოდნელი მკვლელობა, რომელიც მისი სახლის სადარბაზოსთან მოხდა.

გამოძიება მაშინვე დაიწყეს, მკვლელობის სავარაუდო შემსრულებლებიც დააკავეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს. დღემდე უცნობი რჩება სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის როგორც დამკვეთის ვინაობა, ასევე მკვლელობის ნამდვილი მიზეზიც.

ამ შემთხვევიდან 1 წლით ადრე კვლავ საიდუმლო ვითარებაში გამოასალმეს სიცოცხლეს გენერალი **გია გულუა,** ტერაქტი მოუწყვეს და ასევე საკუთარ სახლთან ჩაცხრილეს **გია ჭანტურია** და მისი მძღოლი **გია ბარამია**.

მანამდე ჯერ კიდევ 1988 წელს საკმაოდ საეჭვო ვითარებაში მომხდარ ავტოკატასტროფაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი **მერაბ კოსტავა** გარდაიცვალა. ამ ავტოავარიის შედეგად სასტიკად დაშავებული „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი **ზურაბ ჭავჭავაძე** საავადმყოფოში გარდაიცვალა.

1994 წლის 5 იანვარს საქართველომ თავზარდამცემი ამბავი შეიტყო. საქართველოს პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** გარდაცვალება ოფიციალურად ეუწყა.

მისი გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა არაერთი სამთავრობო და არა სამთავრობო საგამოძიებო ჯგუფები, კომისიები, თუმცა დღემდე არ არის დადგენილი – მოკლეს თუ თავი მოიკლა პრეზიდენტმა.

თუმცა მანამდე, ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ გარდაცვალებამდე საქართველოში სისხლისმღვრელი, ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მიდიოდა გააფთრებული და დაუნდობელი საიდუმლო და არასაიდუმლო ხოცვა-ჟლეტა ქართველებისა ქართველთა ხელით. იმ ხანებში უსასტიკესი მეთოდებით მიმდინარეობდა ე. წ. „ზვიადისტთა“ დევნა. სამხედრო შენაერთ „მხედრიონის“ მიერ მოკლული, ნაწამები, დასახიჩრებული იქნა არაერთი ჩვენი თანამემამულე. უსასტიკეს მკვლელობათა შორის გავიხსენებ მხატვარ **ვახტანგ ნოდიას** მკვლელობას, რომელსაც ჯერ ის მკლავი მოაჭრეს, რომლითაც გამსახურდია დახატა და შემდეგ წამებით ამოხადეს სული.

ამ საშინელი სასაკლაოს მომწყობ-ინიციატორთა გვარები და სახელები დღემდე არ არის ცნობილი და სასამართლო პროცესი, რომელიც კრიმინალ-მკვლელთა ბანდების დასასჯელად სამართლებრივ სახელმწიფოში წესით უნდა გამართულიყო, დღემდე არ შემდგარა და იმ უსასტიკესი დღეების მომწყობებს ეს საშინელი ცოდვა, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ხახვივით შერჩათ.

2002 წელს შევარდნაძის მთავრობის უშიშროების საბჭოს მდივანი **ნუგზარ საჯაია** საკუთარ კაბინეტში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მისი სიკვდილი თვითმკვლელობად შეფასდა, თუმცა მერე ბევრი მასთან დაახლოებული პირი და მისი თანამშრომლებიც აცხადებდნენ, რომ ნუგზარ საჯაია არ იყო ის კაცი, თავი რომ მოეკლა.

ნუგზარ საჯაიას გარდაცვალებაც ბურუსითაა მოცული. ძიებამ სიკვდილის ზუსტი ვერსია ვერ გამოკვეთა.

თუმცა მაშინ არავინ იცოდა, რომ რამდენიმე თვეში დადგებოდა 2003 წელი, რომელიც გაუგონრად სისხლისმღვრელი იქნებოდა მთელი საქართველოსთვის.

2003 წლის 23 ნოემბერს კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რომელსაც ლამაზი და უწყინარი სახელი „ვარდების რევოლუცია“ დაარქვეს მისმა შემოქმედებმა.

საინტერესო კი უფრო ის არის, რომ 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეები დღესაც პოლიტიკას წარმართავენ საქართველოში და მეტიც, კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას ლამობენ. ზოგი მათგანი, პრინციპში, აქ არის, ხელისუფლებაში და ამის მიზეზი ისაა, ყველაფერს თავისი სახელი რომ არ დაერქვა და ადამიანების სისხლში ხელგასვრილები რომ არ დაისაჯნენ.

მორალი და მორალისტობა, დღესდღეობით სუსტი ადამიანების პრეროგატივად ითვლება, თუმცა ხანდახან მორალი აუცილებლად წამოყოფს თავს, ამიტომ მორალური კუთხითაც რომ შევხედოთ, უნდა ვთქვათ, რა სინდისით ცდილობენ კვლავ შეძვრნენ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ და მიშას ყოფილი თანამებრძოლები და მხარდამჭერები, სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილენი, საკითხავი აი, ეს არის.

სააკაშვილის რეჟიმის პირველი მსხვერპლი ყვარლის რაიონში ერთ-ერთი ოჯახი გახდა; მექორწილეებს გამარჯვებით თავში ავარდნილი, გალაღებული ნაციონალები სამხედრო „ბეტეერით“დაეჯახნენ და ახალშეუღლებული ცოლ-ქმარი მანქანაში დალეწეს.




ვახტანგ ნოდია

თუმცა მათ პირველ დიდ გმირობად მაინც 2004 წლის 12 მარტი ითვლება. **გიგა ბოკერია, გიგი ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დათა ახალაია** წინ წარუძღვნენ 3000-კაციან სპეცრაზმს და სამხიდიანი სატვირთოებით გლდანის მართლმადიდებლური ტაძრის კარიშელეწეს. სცემეს მღვდლები და ღამენათევი მორწმუნე მრევლი.

ამასობაში მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან ნულოვანი ტოლერანტობის ბრანება გასცა, რასაც მისი თანაგუნდელები, ანუ ყოფილი შევარდნაძისტები, მისი გამოზრდილები და „ნამხედრიონალები“, ტაშის კვრით და არფრთოვანებით შეხვდნენ და შედეგიც დადგა:

**2003 წლიდან მოკლულთა სია:**

გიორგი ინასარიძე
ოთარ გველუკაშვილი
ანტონ უგულავა
დიკო ბარქაია
ზაზა ფანქველაძე
ევგენი აფრასიძე
ომეხ აფრასიძე
ხვიჩა კვირიკაშვილი
ალექსანდრე გომაშვილი
ბუტა რობაქიძე
მურთაზ ქარდავა
თემურ ხუფენია
სულხან ლომიძე
ნესტორ ესებუა
გია ოკუჯავა
თემურ ცეკვავა
თამაზ კურკუმელი
ალექსანდრე თაბაგარი
ხვიჩა მელაძე
გიორგი კვირიკაშვილი
გიორგი მანჯავიძე
ლევან გულუა
რევაზ სარჯველაძე
მურმან გიორგაძე
რომან სურმანიძე
მარად ართმელიძე
ვლადიმერ ხოშტარია
აკაკი კორკოტაშვილი
ავთო გუმაშვილი
ვახო გუმაშვილი
ვახტანგ მარგოშვილი
რევაზ ცალანი
სანდრო გირგვლიანი
გია თელია
ჯემალ ჩაფიძე

**7 პატიმარი მოკლეს 2006 წელს**

ჯემალ ჩაფიძე
ზვიად ბაბუხადია
ბუთხურ კიზირია
ვალერი ბენდელიანი
ზურაბ ვაზაგაშვილი
ალექსანდრე ხუბულოვი
მიხეილ ბერძენიშვილი
გელა ცინდელიანი
ხვიჩა კოკაია
ვალერი ფხალაძე
მიხეილ კირაკოსიანი
გიგა ჩარბაძე
ალექსანდრე ხოსიტაშვილი
ოლეგ მუსიძე
ჯუმბერ ნაგერვაძე
თენგიზ გოგია
როლანდ მახარაძე
გიორგი გამცემლიძე
როინ შავაძე
პაატა ქარდავა
დავით ცინდელიანი
ნატა ჯიჭონაია
ალექსანდრე კვეზერელი
ზურაბ მანთაძე
გია კრიალაშვილი

19 gv.

17 gv.

# როდის შეწყდება ჯეკი მფატრავების პარპაში საქართველოში და როდის გამოიძიებენ ასობით გაუხსნელ მკვლელობას?!

ჯიმი მეგრელიძე
მამუკა ჩარჩხალია
ვარლამ ნემსიწვერიძე

ამ სიაში 2011 წლის 26 მაისს დახოცილთა სახელები და გვარებიც არის, რომლებიც ჯერ მოკლეს, მერე გვამები იქვე მალაზიის თავზე შემოაწყვეს...

სააკაშვილის სახელს პირდაპირ უკავშირდება ბიზნესმენ **ბადრი პატარკაციშვილი**ს გარდაცვალების ფაქტი. არსე-


სოსო ქიმერიძე

ბობს დაუდასტურებელი მტკიცებულებები, რომ მის სიკვდილში პოლიციის მაღალჩინოსნებს აქვთ ლომის წილი. ამ საქმეში ყველაზე ხშირად **ერეკლე კოდუა**ს სახელს ახსენებენ.

მკვლელობების „გვირგვინად“ იქცა **აფრასიძეების** ოჯახის ტრაგედია, რომლის ორგანიზატორად **გიორგი ბარამიძეს** მიიჩნევენ, თუმცა აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვის გამო არავინ დასჯილა, უბრალო მიზეზით, არ გამოიკვეთა დამნაშავე.

სააკაშვილის სისხლიანი მმართველობის პერიოდს უკავშირდება ასევე ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების დროს 10 წლის გოგონას გარდაცვალება. აქაც პასუხი არავის უგია.

არც ამაზე აუღია ვინმეს პასუხისმგებლობა, „რუსთავი-2“-ს შენობა რომ ჩამოინგრა. ამ ამბავს ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა. ქუთაისში პარლამენტის შენობის კედლის ჩამონგრევისას რამდენიმე მუშა გარდაიცვალა.


ირინა ენუქიძე

კარგა ხანი მითქმა-მოთქმის თემა იყო და მერე ისიც ყველას დაავიწყდა, როგორ „გადმოვარდა“ ნაციონალების სატრაბახო რეფორმირებული პოლიციის ხაშურის განყოფილების კიბეებიდან **სოსო ქიმერიძე** და გარდაიცვალა. გარდაცვლილის ახლობლები ამბობდნენ მაშინ, მიცვალებულს აშკარად ეტყობოდა წამების და ცემის კვალიო.

არც ერთ მკვლელობაზე არავინ დაუსჯიათ. მკვლელთა სახელები და გვარები საჯარო არ გამხდარა!

„რევოლუცია ჭამს თავის შვილებსო“.

2005 წლის 3 თებერვალს **ზურაბ ჟვანია,** ოფიციალური ვერსიით, გაზის გაჟონვით გარდაიცვალა.

ბავშვსაც არ სჯერა დღეს ამ ვერსიის, არც გარდაცვლილის



ოჯახის წევრებს, ამიტომ სააკაშვილის თანამებრძოლის გარდაცვალებაზე რომ ლაპარაკობენ, ყოველთვის მის მკვლელობას უსვამენ ხაზს, თუმცა მაშინდელი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელის გარდაცვალების გარემოებები დღემდე კითხვის ნიშნებს შეიცავს. ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეც გაუხსნელია!

ზურაბ ჟვანიასთან ერთად მაშინ **რაულ უსუფოვიც** ნახეს „გაზით გაგუდული“, რამდენიმე ხნის შემდეგ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი **ლევან სამხარაული** თავისივე კლასელმა მოკლა, რომელმაც მერე თავი მოიკლა. ეს საქმეც კვლავ ბურუსში დარჩა და კითხვებზე პასუხები ჯერ კიდევ არ არსებობს.

2007 წლის 20 მაისს აკადემიკოსი **გურამ შარაძე** ქუჩაში მოკლეს.

მკვლელის ვინაობა დღემდე დაუდგენელია.

გაურკვეველია სანდრო გირგვლიანის დედის — ირინა ენუქიძის გარდაცვალების გარემოებანიც.

დღემდე არ არის გამოძიებული ნაციონალური რეჟიმის დროს საქართველოს ციხეებში გარდაცვლილთა საქმეები.

მას შემდეგ, რაც გლდანის საპყრობილის თანამშრომელმა **ვლადიმერ ბედუკაძემ** ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ გადაღებული ფირები საჯარო გახადა, არა მხოლოდ საქართველო, ამ ფირების მნახველი მსოფლიო კარგა ხანს გაოგნებული იყო.

ასეთი სისასტიკე გუანტანამოსა და აბუ-გრეიბის ციხეებშიც კი არ ჰქონდათ დაფიქსირებული.

ციხეების მწამებლები, მკვლელები, სპეციალურად გათხრილ მიწისქვეშა სარდაფებში ადამიანების დამსახიჩრებლების გვარები და სახელები სრულად ცნობილი არაა და დამნაშავეთა ნაწილი ქვეყნიდანაა გაქცეული, რათა ხელსაყრელ დროსა და მომენტში კვლავ დაბრუნდნენ „სამშობლოში“.

დაუდგენელია და დაუსჯელნი დადიან აფხაზეთის და ცხინვალის ომის მაპროვოცირებლები, ამ ომების „მოროდიორები“, ომით გამდიდრებულნი, ის ადამიანები, რომლებმაც ქართველი ყმაწვილები, აფხაზეთის ომშიც და ცხინვალის ომშიც, სამშობლოს დაცვის მოტივით საშინელ სასაკლაოზე შეიტყუეს.

ცხინვალის ტრაგედიის მერე, ვითომდა, გავიმარჯვეთო, სააკაშვილმა ხალხს კონცერტი მოაწყობინა რუსთაველის გამზირზე.

ახლახან ერთი მეტაფიზიკოსი მეუბნებოდა, ეს კონცერტი, ისევე, როგორც **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობა სასაფლაოზე რიტუალური ქმედებაო, ვირტუალურ მკვლელობას დაუკავშირა იმ ადამიანმა ნაციონალური რეჟიმის მიერ ქუჩაში უმოწყალოდ დახვრეტილი ზურაბ ვაგაზაშვილის საფლავზე მამაზე **იური ვაზაგაშვილზე** განხორციელებული ტერაქტი.


იური ვაზაგაშვილი

თითქოსდა უჩინარი ხელით, იდუმალი, კოლექტიური ჯეკი მფატრავები ამ ხელისუფლების პირობებშიც ახორციელებენ თავიანთ ბნელ საქმიანობას. 2012 წლის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას კახეთში ქვევრში ჩაახრჩვეს სამი წლის **ბარბარე რაფალიანცი**.

მკვლელის ვინაობა დაუდგენელია!

გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის მოწმე **შალვა თათუხაშვილი**.

მკვლელობის მოტივები და გარდაცვალების მიზეზები ჯერჯერობით გაურკვეველია.

დღემდე მიმდინარეობს **ეროსი კიწმარიშვილის** გარდაცვალების გარემოებების კვლევა-ძიება. ამ საქმესაც, ისევე, როგორც იდუმალი გარდაცვალების სხვა ფაქტებს, თავიდან თვითმკვლელობის კვალიფიკაციაც კი მისცეს, თუმცა ეს ვერსია გამოირიცხა, მაგრამ მაინც ვერ აეხადა საბოლოოდ ფარდა იმას, თუ ვინ ესროლა სასიკვდილო ტყვია თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიურ საყრდენს, „რუსთავი-2“-ის დამფუძნებელსა და ბიზნესმენს **ეროსი კიწმარიშვილს**.

იური ვაზაგაშვილის სასტიკმა გარდაცვალებამ კი ხალხში ნიჰილიზმი უფრო გაამძაფრა. დღეს თუმცა ყველას სურს დამნაშავეები დაისაჯონ და სამართლიანობა აღსდგეს, მაგრამ ცოტას თუ ვინმეს სჯერა, რომ იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების გარემოებებს გამოიძიებენ.

არ არსებობს იდეალური ხელისუფალი და იდეალური ხელისუფლება. ზუსტად ვიცი, რომ არასდროს არც ერთი ხელისუფალის აპოლოგეტი არ ვიქნები, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რაც მოხდა 2012 წლის


ზურაბ ჟვანია


ბადრი პატარკაციშვილი


ეროსი კიწმარიშვილი

1 ოქტომბერს. ეს იყო მოვლენა ბოლო 25 წლის განმავლობაში, როცა ხელისუფლება არჩევნების გზით, ანუ მშვიდობიანად, გადატრიალების გარეშე შეიცვალა...

თუმცა ის ბნელი ძალები, რომლებიც 90-იანი წლებიდან ბოგინობენ საქართველოში, კვლავაც თავისუფლად დაჯირითობენ, ახალ მსხვერპლს ელიან და არავინ იცის, ვინ იქნება შემდეგი... ჩვენ კი თანდათან თვითმკვლელი ერის სინდრომი შევიძინეთ. თავს ვიწონებდით, ხელოვანი, ესთეტიკოსი, „ვეფხისტყაოსნის“ და „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ შემქმნელი ერი ვართო და ამასობაში მკვლელებად გადავიქეცით.

ეკლესიასტე ამბობს: რადგან ერთმანეთს ჭამთ, ნახეთ, თუ ერთმანეთი არ მოსპოთ!

ჰოდა, რაღა დარჩა?! აი, ერთმანეთსაც ვსპობთ.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**



# პეტრე მამრაძე:

# პუტინს და მის ჩეკისტურ გარემოცვას პირადი აგენტი ვერ გაუკეთებდა საქმეს ისე კარგად, როგორც ეს სააკაშვილმა გაუკეთა

ვესაუბრებით „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბატონ **პეტრე მამრაძეს**

**— ბატონო პეტრე, ბოლო დღეების პოლიტიკურ მოვლენებს თუ გადავხედავთ, არასამთავრობოების საკითხი სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა, ხშირად მათ ტენდენციუროობაში ადანაშაულებენ, ასევე, დასავლეთის მიერ მართულ კლანად მოიხსენიებენ, როგორ ფიქრობთ, წაადგება ქართულ პოლიტიკას მათი მომავალი მუშაობა ან რა როლს ასრულებენ ისინი დღეს?**

— არასამთავრობოების მთავარი დანიშნულება ის გახლავთ, რომ მის შიგნით უნდა იყოს კონკურენცია და პლურალიზმი, ამის გარეშე ჭეშმარიტება არ დგინდება. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება იყოს სუბიექტური ან ტენდენციური ან საერთოდ ემსახურებოდეს ერთ პიროვნებას ან ჯგუფს, იქ ბევრია ასეთი, ისე როგორც მასმედიის საშუალებებია მრავლად. პლურალიზმში იკვეთება ჭეშმარიტება და დასავლეთი მიჩვეულია ამას. რაც შეეხება არასამთავრობოების ტენდენციურობას, ამასთან დაკავშირებით მე ვსვამ კითხვას, **სააკაშვილის სადისტური რეჟიმის დროს რამდენმა არასამთავრობომ გაბედა და ისაუბრა ამაზე ობიექტურად? ის კი არა, რაც დასავლეთში იბეჭდებოდა სააკაშვილზე, ბევრი არასამთავრობო ამის გამეორებასაც ვერ ბედავდა, იმიტომ, რომ ეშინოდათ მისი რეჟიმისა, ყოფილი პრეზიდენტი უცხოელებთან კონტაქტით აკონტროლებდა, ვინ რამდენ გრანტს მიიღებდა.**



როდესაც არასამთავრობოები გრანტებს ღებულობენ, მიმდინარეობს სერიოზული კონკურენცია, ვინაიდან მას აქვს კონკრეტული პირობები, ის თუ ვისთვის, რა დარგში გაიცემა თანხები. არასამთავრობოები კი ადასტურებენ იმას, თუ ვინ რამდენად შეძლებს ამ გრანტიხ პირობების შესრულებას. ამიტომ მათი სწორი მუშაობისთვის ერთადერთი გზა გახლავთ ის, რომ ყველა იყოს თანაბრად კანონის ჩარჩოებში. დასავლეთში კატეგორიულად მიუღებელია, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები აკრიტიკებენ არასამთავრობო სექტორს. აქ საინტერესო მომენტია, სააკაშვილი და მისი რეჟიმი ასი პროცენტით აკონტროლებდნენ მასმედიას, მათ შორის ტელევიზიებს, თუმცა ხშირად ამბობდნენ, რომ მასმედია უნდა იყოს თავისუფალიო, მაგრამ მათ არ აკრიტიკებდნენ იმიტომ, რომ მათ ჰყოფნიდათ ამის გამოცდილება და გაიძვერობა. თუმცა „ნიუ-იორკ ტაიმსშიც“ კი დაწერილა 2008 წლის ომის შემდეგ, რომ ქვეყნის სამივე ნაციონალური ტელევიზია არის სააკაშვილის რეჟიმის რუპორი და საქართველოს მოსახლეობა დიდ ხანს ვერ გაიგებს იმას, თუ რა ჩაიდინა მან 2008 წლის აგვისტოშიო. ერთი რამ უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ივანიშვილის კრიტიკისა, დღეს დასავლეთი ღიად აფიქსირებს იმასაც, რომ ჩვენს ქვეყანაში მასმედია ბევრად თავისუფალია, ვიდრე ის იყო წინა პრეზიდენტის დროს.

**— ევროსაბჭოს მიერ რუსეთის მიმართ განხორციელებულ სანქციებზე რას იტყვით, ამით შეაშინებენ პუტინს? ან სჭირდება მას ეს სანქციები? თავად სლოგანი — პუტინი მტერია — დასავლეთიდან მოდის, რომელსაც ნაციონალები კარგად იყენებენ, ხომ არ შეიძლება ამ ყველაფერმა უკუპროცესი გამოიწვიოს რუსეთის მხრიდან?**

— მე ვარ თავისუფალი ანალიტიკოსი შემიძლია ვურჩიო ხელისუფლებას, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიმეოროს ეს სლოგანი მოქმედმა ხელისუფლებამ, რადგანაც უნდა გაითვალისწინონ ჩვენი, როგორც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ისიც, რომ ვართ მცირერიცხოვანი ერი, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გაქრობის გზაზე დამდგარი, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის ორი მძლავრი ბაზა მდებარეობს საქართველოს დაკარგულ ტერიტორიაზე სააკაშვილის ღალატისა და ავანტიურის შედეგად, ამიტომ ხელისუფლება უნდა იყოს ძალიან ფრთხილი, დრო უნდა მოიგონ და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ არ გაალიზიანონ რუსეთის ხელისუფლება, ვინაიდან რამე რომ მოხდეს, დასავლეთი ჩვენ არ გვიშველის, რეზონანსი იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ყირიმის ანექსიის დროს იყო. მართალია, რომ რუსეთს დღეს კორუმპირებული ხელისუფლება ჰყავს, მაგრამ ეს მუდამ ასე არ იყო? უბრალოდ, დღეს ყველაზე უფრო კორუმპირებულები არიან და მეტი არაფერი. თავად რუსი ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ — **არ შეიძლება იცხოვრო ისე, როგორც აბრამოვიჩმა და გინდოდეს, ქვეყანა ისე მართო, როგორც სტალინმა. ამას წინათ ერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ თუ ვინმეს რუსეთის მართვა უნდა სტალინისებურად, მაშინ ის კუბოში დაკემსილი წინდით უნდა ჩავიდესო. ლინკოლ მიტჩელი** აღნიშნავდა, რომ პუტინს და მის ჩეკისტურ გარემოცვას, რომელსაც სააკაშვილი ემსახურა თავიდან ბოლომდე, პირადი აგენტი ვერ გაუკეთებდა საქმეს ისე კარგად, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთაო.

დღეს პუტინი ცხადია ხედავს იმ საშიშროებას, რომელიც შეიძლება რომ იქ მოხდეს, ხალხი აღდგეს, კორუფცია დაემხოს. ამის საშიშროება არსებობს. ერთი მუჭა ოლიგარქების ხელშია თავმოყრილი ქვეყნის სიმდიდრე. იანუკოვიჩის მაგალითი უკვე ყველასთვის ცხადია, ის უმდიდრესი კაცია და იმიტომაც დაიწყო მის წინააღმდეგ ბრალდებები. ეს პუტინისთვის მაგალითია, ამიტომ თავისი აზრით ის პრევენციულად მოქმედებს, რამდენად სწორია ეს ქმედებები — ეს ცალკე საკითხია. ნატოს წევრ ქვეყნებში არავის კოშმარულ სიზმრადაც არ მოუვიდოდა რუსეთთან დაპირისპირება და კონფრონტაცია.

**— ახლა რატომ შედიან ასეთ კონფრონტაციაში თუ ადრე არ უნდოდათ?**

— იმიტომ, რომ სხვა გზა აღარ დარჩათ, პუტინმა ისინი მიამწყვდია კედელთან, ყირიმის ანექსიის შემდეგ. ფაქტობრივად,



ბირთვული იარაღი უკრაინამაც და ყაზახეთმაც ჩააბარა რუსეთს თავის დროზე დასავლეთის დაჟინებული თხოვნით 20 წლის წინ.

**— რატომ, ამით რუსეთი ხომ უფრო გაძლიერდებოდა?**

— იმიტომ, რომ ევროპასაც და ამერიკასაც სურდა საქმე ჰქონოდათ მხოლოდ ერთ სახელმწიფოსთან ბირთვული იარაღის მფლობელთან, ვიდრე რამდენიმესთან. დღეს უკვე სხვა ვითარებაა. რუსეთს თუ უფრო გაალიზიანებენ სანქციებით, შედეგი შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული, ეს ობამამაც აღნიშნა. მიუხედავად ყველაფრისა, ბევრი პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ **ელცინის დროიდან დაწყებული დღემდე დასავლეთმა არასწორი პოლიტიკა განახორციელა რუსეთის მიმართ. მათ ხშირად სჯერათ იმის, რაც მოსწონთ. ტრილიონები დახარჯეს „ცივი ომის“ დროს, მაგრამ რუსეთში** დემოკრატიისთვის არაფერი არ გაკეთებულა, კორუფციას უფრო შეუწყეს ხელი.

**— რუსეთის პოლიტიკას ევროპა სანქციებით შეაჩერებს ან შეაშინებს?**

— ცხადია არა, უბრალოდ ინვესტიციები შეწყდება, ამიტომ რუსეთის ეკონომიკის რეაბილიტაცია ვერ მოხდება. ასე რომ ეკონომიკური დარტყმა მიაყენეს ამით. ასევე, თავად რუსული კაპიტალი გაედინება ქვეყნიდან. შარშან 150 მილიარდი დოლარის კაპიტალი გავიდა ქვეყნიდან — აი, რა ღუპავს რუსეთის ეკონომიკას! ფაქტობრივად, პუტინს არც დაუწყია რეფორმები ეკონომიკაში, „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ დარჩა, რომელიც მას აწყობდა — ეს კი განვითარებას ეწინააღმდეგება. სწორედ ამის საფუძველზე ფიქრობენ დასავლეთის ეკონომისტები, რომ პუტინის რეჟიმის დღეები დათვლილია. ცხადია, ეს არ გულისხმობს ერთ ან ორ თვეს. მას პრეზიდენტობის ვადა 2017 წლამდე აქვს, მაგრამ რა იქნება მერე? — ეს დღეს რუსეთში გაურკვეველია... მემკვიდრე არ ჩანს. იმასაც ფიქრობენ, რომ პუტინის რეჟიმი რომ გადავარდეს, არ არსებობს არავითარი შანსი იმისა,. რომ იქ ხელისუფლებაში უკეთესი ვინმე მოვა, უფრო დემოკრატიული ან უფრო ლიბერალური. შეიძლება მოვიდეს ახალი ხელისუფალი იმ ნიშნით, რომ პუტინი იყო ზედმეტად პროდასავლური და მან უფრო მეტი მოითხოვოს. კერძოდ, იქ საუბარია იმაზეც, რომ მარტო დონეცკი და ლუგანსკი კი არა, კიევია ასაღები. ამაზე მსჯელობა იქ არის და ამ აზრს გენერალიტეტიც იზიარებს და მოსახლეობის ნაწილიც.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რა მნიშვნელობა აქვს, სად „მიქრის“ მატარებელი, რომელსაც ცარიელი ვაგონები ჩაუბეს?

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა და „საია-ს“ თავმჯდომარეობავადაგასული და უსაქმოდ დარჩენილი კახა კოჟორიძე დაინიშნა პრეზიდენტის მრჩევლად ადამიანის უფლებათა და მართლმსაჯულების სფეროში.

ეს არის ის თემები, რომლებზეც მე რვა წლის განმავლობაში ვმუშაობდი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ და თავმჯდომარედ ყოფნის დროს, ხაზს ვუსვამ, რამდენჯერმე მომიწია პრეზიდენტთან და მის გუნდთან შეხვედრა საკითხებზე, რომელიც ეხებოდა მართლმსაჯულებას და ადამიანის უფლებას და პრაქტიკულად ბევრ საკითხზე გვქონდა საერთო ხედვები და ღირებულებები, რაც იმედს მაძლევს, რომ ჩვენი მომავალი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი და პროდუქტიულიო — ბრძანა კოჟორიძემ.

ოლღა ბებიასი არ იყოს, სად ნახა ამ შეჩვენებულმა „მასწავლებელმა“ პრეზიდენტის გუნდი და თუ ნახა, ხალხსაც გაუმხილოს ვინ იყო ამ გუნდში, მერე კი ის ჩამოარაკრაკოს, იმ რვა წლის განმავლობაში, რაც „საია-ში“ მუშაობდა, რა გააკეთა პირადად მან ან სულაც მისმა ორგანიზაციამ ადამიანის უფლებების დასაცავად ან მართლმსაჯულების კანონიერად აღსრულებისთვის? ვინმეს ერთი შეცხადება მაინც თუ ახსოვს ამ ორგანიზაციისა და კონკრეტულად მისი თავკაცი კოჟორიძისგან როცა მართლმსაჯულება ჯიბეში ედო სადისტური გადახრების მქონე პირთა ჯგუფს და შესაბამისად ცნება, ადამიანის უფლება-თავისუფლება გაუქმებული იყო?


კახა კოჟორიძე

კოჟორიძე, რა, ერთი ხაშურდაკარგული გასაიაებული ბიჭი-ვაგონია, რატომაც არ გაუხარდება „დიდი კაცების“ მსახურება, რომელთაგან ზოგი პრეზიდენტია, ზოგი — პარლამენტის თავმჯდომარე, ზოგი — „რუხი კარდინალი“ და ზოგი ზოგადად — მწვანე კუპიურების „მბეჭდავი“, მაგრამ მატარებელი „ქართული ოცნება“ რომ რელსებიდან საეჭვოდ უხვევს და წინ წასვლის ნაცვლად ნაცდეპოში შედის?

დიახ, როცა ვეტოდებია პრეზიდენტი ეჭვმიტანილია დესტრუქციულ ძალასთან თანამოაზრეობაში, ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნდამენტურ ღირებულებაში, ადამიანის უფლებასა და მართლმსაჯულებაში მრჩევლად ენიშნება თუ ინიშნავს ასევე დესტრუქციულ ძალასთან გარიგებასა თუ თანამოაზრეობაში ეჭვმიტანილ პირთა ჯგუფის ფავორიტს, დიდი ალბათობით, მატარებელი-ოცნება, რომელიც იდეაში ქართული იყო, თუ ასე გააგრძელებს, სწორედაც რომ ძალიან მალე ნაცდეპოში ამოჰყოფს თავს...



აქვე აღსანიშნია პრეზიდენტის სიხარული პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერებასთან დაკავშირებით კოჟორიძის გვერდში დგომით. რომელი „ძალით აღვსილი“ ფიგურა ვინმე კოჟორიძეა რომ იქით კიდევ სხვა გააძლიეროს, ერთი პატარა, ცარიელი ვაგონია, რომელიც ჯერ ვინმემ რელსებზე უნდა დააყენოს, შემდეგ რაიმეთი უნდა დატვირთოს, შემდეგ კი ორთქმავალს ჩაუბას და საითაც ის მიაკივლებს, იქით უნდა წაჩაქჩაკდეს. ფაქტობრივად, თვით პრეზიდენტის მსგავსად, რომელსაც რადგან ბატონი ივანიშვილი ციციკორესავით დაატარებდა ხელჩაკიდებული ქალაქ-ქვეყანაზე, ხალხმა ქართული ფილმის „გაშტერებულ“ პერსონაჟთან გააიგივა და „შემოულაწუნეც“ დაარქვა, ახლა კი საკუთარი თავი მართლაც ხალხის უმრავლესობის ნებით არჩეული პრეზიდენტი ჰგონია.

იდეალური ტანდემია, ერთს თავი ხალხის არჩეული ჰგონია, მეორეს ისეთი პერსონა, რომ ექსპრემიერი დაინტერესდა მისი პიროვნების კვლევით და იქით იყვედრება ცინიკურად, თუ ვინმე დამისაბუთებს რომ ეს კვლევა ევროპულ საზოგადოებად ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება, დიდი პატივისცემის მიუხედავად დავანებებ თავს პრეზიდენტის მრჩევლობას და საკუთარი პიროვნების კვლევას შევუდგები, ამას ჩემზე უკეთ ვერავინ გააკეთებსო — თითქოს ვერ გაიგო რა ითქვა.

როგორ და რატომ მოხვდა კოჟორიძე პრეზიდენტის მრჩევლის სავარძელში, ბოლო ხაშურელი მაწანწალა ძაღლიც კი მიხვდება, ჩვენ ის ვნახოთ, პირველი აზრობრივი თანხვედრა რა ჰქონდათ პრეზიდენტსა და მის მრჩეველს ადამიანის უფლებათა საკითხში, საჯაროდ დაწყვილებულ უცხო ქვეყნის ხელისბიჭებს — „ახალგაზრდა ადვოკატები“ პრეზიდენტთან არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაზე არ დაუშვეს.

ცოტა უცნაური ამბავია, მაგრამ ასე მოხდა, ყოფილმა „ახალგაზრდა იურისტმა“ პრეზიდენტთან ახლოს არ გააჭაჭანა „ახალგაზრდა ადვოკატები“.

ახლა, ვიღაც იტყვის, კოჟორიძე რა შუაშია, პრეზიდენტის ადმინისტრაციას მოჰკითხეთო. კოჟორიძე იმ შუაშია, რომ მან განმარტა, პრეზიდენტი ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას ვერ შეხვდებაო, ანუ ადამიანის უფლებები ეგრე წერიაო და სწორედ მას ჰქონდა ხელთ ის სპეციალური სია, რომელშიც „შეუძლებელი აღმოჩნდა“ ყველას წარმოდგენა.

კი, მიიღო კოჟორიძემ ხალხისგან მორიგი მუჯლუგუნები „ასე იცის უცბად გადიდკაცებამო“, „ასე იცის ცხვირმოუხოცავი, დასაბანი უგვანოების აღზევებამო“ და ა.შ მაგრამ რა, ფაქტი ფაქტად დარჩა.

რას ამბობს თვით „ახალგაზრდა ადვოკატები“ ახალ ტანდემზე: — „ჩვენთვის აღნიშნული გარემოება არ იქნებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი თუ არ შევნიშნავდით საქართველოს პრეზიდენტის მეტად საყურადღებო დაშვებებს რომელიც უკავშირდება სამოქალაქო ორგანიზაციებთან დამოკიდებულების საკითხს. 2013 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ფავორიტების პრინციპით მიმდინარეობს (სამწუხაროდ, იგივე ტენდენციებია მთავრობის ცალკეულ სამინისტროებთან).



პრეზიდენტი მარგველაშვილი წინამორბედ, მიხეილ სააკაშვილის ქცევის სტილს იმეორებს, როდესაც სამოქალაქო სექტორის განსხვავებული შეხედულებები მოსმენისა და იგნორირების გარეშე რჩებოდა. საქართველოს პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობის დროს ინარჩუნებს ხელისუფალისთვის დამახასიათებელ მახინჯ მიდგომებს, როცა დაყოფა ხდება „ჩემიანებად“ და „სხვისიანებად“.

პრეზიდენტს შეუძლია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით დისკუსია გამართოს სამოქალაქო ორგანიზაციების ერთ ჯგუფთან, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ასეთ შეხვედრას უწოდოს „არასამთავრობოებთან შეჯერებული აზრი“ — არასწორია.

ამ შემთხვევაში, მართლაც რომ არ აქვს მნიშვნელობა საიდან „მოვიდა“ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია, მთავარია ისაა, ვინ დაუხვდა პრეზიდენტის სასახლის კარში გალაჯული და რეალურად რატომ არ მიეცათ ერთი სიტყვის ჩაკვეხების საშუალება მაინც...

ახლა, ბატონი პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში უნდა დაესწროს თუ არ უნდა დაესწროს მთავრობა, მინისტრები და პრემიერ-მინისტრი, იმაზე მიმდინარეობს გულაჩუყება. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ წელს მაინც დაესწრებიან, რადგან წინა წელს რომ არ დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს იმიჯი შეირყა თუ შეირხა შინ და გარეთ. არ უნდა ბატონ პრეზიდენტს იმის გაგება, რომ ახალი კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა არ არის ვალდებული დაესწროს პრეზიდენტის გამოსვლებს, რადგან ელემენტარულია, რომ აღნიშნული გამოსვლა მხოლოდ სიმბოლურია, ისევე როგორც მასზე მთავრობის წევრების დასწრება — რაო, კოჟორიძემ ურჩია, შენგან რა მიდის მარგველ, მიდი, საქმეს სჭირდება, ისედაც დამფრთხალი მთავრობა დრო და დრო დაამუნათეო?

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ზურაბ ჟვანიას სახელობის წინანდლის პრემიის დაჯილდოების ცერემონიას რომ დაესწრო, კარგია, მოეწონა ხალხს, მაგრამ ხალხს არ მოეწონა რომ პრეზიდენტმა მოზომილი შენიშვნაც კი არ მისცა ლამის თვეში ჩამდგარ მეუღლეს, რომელიც მანამდე სათნოდ და პატივსაცემად მდგარი, ისე, როგორ შეეფერება ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლეს, ირაკლი დეისაძის სიმღერაზე „რაც მამას უნდა“ ისე მოულოდნელად და არაადექვატურად აცეკვდა, რომ არ იყო გამორიცხული, ნაყოფის სრულყოფილი გამოშუშებისთვის სერიოზული საფრთხე შეექმნა.

ყველა ფეხმძიმე ქალი დალოცოს უფალმა! ფეხმძიმე ქალის ცეკვის გამო ვის უნდა მოუტრიალდეს ენა ავად, ყველას მაინცდამაინც მჟავე კიტრი ხომ არ მოესურვილება უცბად...

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, მუცლადმყოფ ნაყოფს ემბრიონობიდანვე ესმის გარე სამყაროს ხმები და რა ტექსტზეც დედამ აცეკვა:

„შენ გავხარ მამას! შენს ახვარ მამას! შენ გავხარ მამას! შენს ნახმარ მამას, შენს დამფრთხალ მამას!“ — შიდა და გარე იმიჯის ასამაღლებლად რამდენად ივარგებს, სხვა საკითხია, მაგრამ თუ დაამახსოვრდა ნაყოფის ქვეცნობიერს, მთელი ცხოვრება ხომ ის გააწვალებს სწორედ ქვეცნობიერად, რა ტექსტიც მოასმენინეს და რომელ ტექსტზეც აცეკვეს პირველად საქვეყნოდ...

**გიორგი ჩხეიძე**

**P.S.** **გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და პრეზიდენტ მარგველაშვილს ვაჟის შეძენა მივულოცოთ.**

**სახელმწიფოს მართვისა ამ კაცს ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ პრეზიდენტობით წახალისებული ქვეყანას დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაში თუ წაეშველება, ესეც საქმეა.**

# „ყაჩაღი“ ნაც-პროფესორები და დასახურად განწირული თელავის უნივერსიტეტი!



კარგა ხანია, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საინფორმაციო საშუალებებში – პრესასა თუ ტელევიზიებში – გაკილვის საგნადაა ქცეული. ლოგიკურად ისმება კითხვა: აქვს თუ არა მომავალი სასწავლებელს? – ეს კითხვა მხოლოდ სტუდენტებსა და პროფესორებს არ აღელვებთ.

საზოგადოების გონიერი ნაწილი, რომელსაც კარგად ესმის რეგიონალური უნივერსიტეტის მნიშვნელობა რაიონისა და, ზოგადად, ქვეყნის განვითარების საქმეში, ერთგვარი შიშით ადევნებს თვალს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს. სამწუხაროდ, ეს შიში საფუძველს მოკლებული არ არის: წლიდან წლამდე იკლებს სტუდენტთა კონტინგენტი, რაც უარყოფითად აისახება სასწავლებლის ფინანსურ გამართულობაზე - სახსრების გარეშე დარჩენილი უნივერსიტეტი კი ხარისხიან განათლებას ვერ შესთავაზებს სტუდენტებს. შეფერხებულია უნივერსიტეტის განვითარების პროცესი. ეს ერთგვარი ნეგატიური ჯაჭვი მოჯადოებულ წრეს ქმნის, რომლის გარღვევაც სერიოზულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. როგორც თანამშრომლები და სტუდენტები პირად საუბრებში აღნიშნავენ, ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული და რა იქნება მომავალში, ამის წარმოდგენაც უჭირთ!

თუ თვალს მივადევნებთ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, რაც საინფორმაციო საშუალებებიდანაც კარგად ჩანს (2012 წლიდან მოყოლებული, როცა ხელისუფლება შეიცვალა და უნივერსიტეტში არასწორად გაკეთებულმა საქმეებმაც იჩინა თავი, დავინახავთ, რომ უნივერსიტეტი ბედის ანაბარაა მიტოვებული და ჭეშმარიტი გულშემატკივარი ხელისუფლების მხრიდან მას არ ჰყავს: არც სამინისტროს, არც გუბერნიის, არც მაჟორიტარი დეპუტატის და არც სხვა რომელიმე სახელისუფლებო შტოს სახით.

სამინისტრო ცდილობს, თავისი ლობირებული ადამიანები ჰყავდეს წამყვან თანამდებობებზე და ამის გამო არეულობასაც არ ერიდება!

უნივერსიტეტის თანამშრომელი ნოდარ ლატიბაშვილი ღიად და თამამად ბრალს სდებს განათლების სამინისტროს ზეწოლაში და უნივერსიტეტის საქმეებში უხეშ ჩარევაში ადანაშაულებს! საინტერესოა, რომ მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი შერვაშიძე, მაჟორიტარი დეპუტატი გელა სამხარაული, სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პაატა ბერიაშვილი, რომლებიც რატომღაც საღამოს საათებში ეწვივნენ უნივერსიტეტს და ამის შესახებ ინფორმაციას პიარის სამსახურიც არ ფლობდა, ერთხმად აცხადებდნენ, რომ ისინი უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსის დასაფინანსებლად ჩამოვიდნენ. მათი დაბნეულობის მიზეზი გასაგებია: დღემდე მეოთხე კორპუსის შესაკეთებლად გამოყოფილი თანხები არ ჩანს, მაგრამ ჩანს მათი ჩამოსვლის ვიზიტის შედეგები: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჰამლეტ რაზმაძის ვადამდე ერთი წლით ადრე წასვლა პირადი განცხადების საფუძველზე, რათა გზა გახსნოდა სამინისტროს მიერ ლობირებულ ალეკო ყვირალაშვილს, ამის შემდეგ დატრიალებული ვნებათაღელვა და სამინისტროს მარცხი ამ კონტექსტში.

უნივერსიტეტში იმასაც ამბობენ, ღელაღუტაშვილს სამინისტროს გენინსპექციამ, რომლის უფროსიც ზემოთ ნახსენები ყვირალაშვილის მეგობარი ონოფრიშვილია, მათი დავალების შეუსრულებლობა არ აპატიაო, თუმცა მან აკადემიური საბჭოს სხდომებზე ორივეჯერ ყვირალაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი და ასევე ორჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატის გასვლის საკითხი.

როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები ადასტურებენ, ძალოვანი სტრუქტურები უხეშად ერევიან უნივერსიტეტში მიმდინარე არჩევნების პროცესში, ღამღამობით სახლებში სიარულსა და სტუდენტებისა თუ მათი მშობლების, აგრეთვე თანამშრომლების დაშანტაჟებასაც არ ერიდებიან. მათი მთავარი ამოცანაა, „ნაციონალების“ მხარდამჭერი კადრების დაწინაურება. ასე მოახერხეს მათ სტუდენტთა თვითმართველობის პრეზიდენტად ახალგაზრდა გულანთებული ნაციონალის – ზურა გრიშიკაშვილის „არჩევა“, რომელსაც, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, ნაციონალი გიორგი ბოტკოველი და ძმანი მისნი აფინანსებდნენ.

ადგილობრივ ხელისუფლებაში წამყვან თანამდებობებზე მოკალათებული „მეოცნებე“ ნაციონალები – „ნაციონალთა“ პარტიიდან თუ მათი მხურვალე გულშემატკივართა რიგებიდან მეოცნებეთა რიგებში გადმოპორტირებულები თავგამოებით ცდილობენ ნაციონალების გავლენების გაძლიერებას. ძალოვანთა კადრები 2012 წლის შემდეგ ფაქტობრივად არ შეცვლილა და ისევ იმ ნაციონალებით არიან დაკომპლექტებულნი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებსა და სხვაგვარად მოაზროვნეებს რომ სიცოცხლეს უწამლავდნენ. ისინი დღესაც სდევნიან მათ ერთგულ ადამიანებს. საინტერესოა, რომ ისინი არამცთუ ჩანაცვლდნენ პროგრესული კადრებით, არამედ დაწინაურდნენ კარიერულად და ისევე სდევნიან ჯანსაღ და ნაციონალების მოძულე ადამიანებს, როგორც ამას წინა ხელისუფლების პირობებში დიდი ენთუზიაზმით ახორციელებდნენ.

საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, 2013 წლის 8 ნოემბერს უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების დღისთვის რა პროცესები განვითარდა თელავის უნივერსიტეტში. 6 კანდიდატიდან ერთმანეთის მიყოლებით მოხსნეს კანდიდატურები რექტორობის მსურველებმა უშიშროების ზეწოლით მათგან ერთ-ერთი კანდიდატისთვის მწვანე შუქის ასანთებად და ეს კანდიდატი ქალბატონი ირმა შიოშვილი იყო, რომლის მამაც ათეული წლის განმავლობაში სამშენებლო ტექნიკუმის დირექტორი გახლდათ, შემდეგ ეს თანამდებობა მემკვიდრეობით სიძეს – ირმას მეუღლეს გადასცა.

რექტორობის ერთ-ერთმა კანდიდატმა მაშინ ხმამაღლა განაცხადა, რომ ღამის 3 საათზე მასთან სახლში მივიდნენ და ზეწოლა განახორციელეს, რათა მეორე დღეს კანდიდატურა მოეხსნა შიოშვილის სასარგებლოდ. აკადემიური საბჭოს ძალისხმევით მათ მაშინ ვერ შეძლეს სასურველი კანდიდატის გაყვანა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეორე კანდიდატი ავთანდილ ღელაღუტაშვილი, რომელმაც არჩევნები მოიგო, აკადემიური საბჭოს წევრი იყო და თავისი ხმით შიოშვილის ორი ხმა გადასწონა, მაგრამ ავთანდილ ღელაღუტაშვილის წინააღმდეგ მოქმედებები მისი რექტორად არჩევის დღიდანვე დაიწყო და ამ მარათონის შედეგი ის არის, რომ ის დღეს რექტორი აღარ არის და მის მოვალეობას ირმა შიოშვილი ასრულებს. ძალოვან სტრუქტურებს თავისი ემისრები ჰყავთ უნივერსიტეტში, რომლებიც მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში ღაღადებდნენ და პროფესორებს უჩიჩინებდნენ, რომ თუ შიოშვილი არ იქნებოდა რექტორი, უნივერსიტეტის საქმე წინ ვერ წავიდოდა, რადგან ხელისუფლება მას უჭერდა მხარს და სხვას არ გაახარებდნენ.

სწორედ შიოშვილი იყო დეკანი იმ ფაკულტეტისა, რომლის ერთ-ერთ სპეციალობაზე სტუდენტებს სტატუსი შეუჩერდათ პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო და 140-მდე სტუდენტი ბედის ანაბარა დარჩა. სამი თვის განმავლობაში ლექციებს შიოშვილის ფაკულტეტზე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს უტარებდნენ. ეს ამბავი შემთხვევით გაიგეს სტუდენტებმა და აქციები მოაწყვეს, თავიანთი თავის შველა თვითონვე გადაწყვიტეს. დღეისათვის სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლე კახეთში ერთი ოჯახური კლანის ხელში ვარდება – კოლეჯის დირექტორი დოლიძე, ხოლო უნივერსიტეტის რექტორი – მისი მეუღლე. განათლების სისტემას განვითარების რა პერსპექტივები აქვს ამ რეგიონში, მკითხველმა განსაჯოს.

უნივერსიტეტის სპიკერს ნუნუ გელდიაშვილს მთელი სერიოზულობით ეპარება ეჭვი, 21 კაციან საბჭოში უმრავლესობა 11 კაცია, თუ 12 და ამ საკითხის გარკვევას იურისტს ანდობს. გვერდით მას პროფესორები უსხედან და არც ერთი მათგანი არ ეუბნება, რომ კითხვა აბსურდულია. წარმომადგენლობითი საბჭოს რომ ასეთი თავკაცი ჰყავს, რომლისთვისაც ელემენტარული საკითხი ურთულეს, თითქმის გადაუჭრელ ამოცანადაა ქცეული და ამას დახმარების გარეშე ვერ ახერხებს, თავად საბჭო კი პარალიზებულია, რამდენადაც მის წევრთაგან ერთიც არ ეკამათება, ხოლო ვინც ეკამათება (უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გიორგი გოცირიძე), მას სპიკერი ეუბნება, რომ ის საბჭოს წევრი არ არის და მას განცხადების გაკეთების უფლება არა აქვს. გამოდის, რომ სამინისტრო, და შიგნით გელდიაშვილის მსგავსი კადრები საერთო ფონს ქმნიან იმისთვის, რომ უნივერსიტეტის მომავლის საკითხი ძალიან მწვავედ დაისვას!

**ლევან ლიჩელი**

## მარიამ ვალიშვილის ინფორმაციით, პურის ქარხნებისთვის შეღავათიანი გაზის ტარიფი შენარჩუნებული იქნება

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის ინფორმაციით, კომპანიების მხრიდან პურის ქარხნებისთვის შეღავათიანი გაზის ტარიფი შენარჩუნებული იქნება.

კითხვაზე - კომერციული მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ტარიფის მატება, ადგილობრივ წარმოებაზე როგორ აისახება და ხომ არ გამოიწვევს ფასების მატებას, მარიამ ვალიშვილმა განაცხადა, რომ “ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დიდი მონაწილეობა აქვს ენერგომატარებლების კომპონენტს კონკრეტული წარმოების პროდუქციის ფასში”.

„რაც შეეხება პურის ქარხნებს, მათ ყოველთვის ჰქონდათ შეღავათიანი ფასი, ანუ არ ჰქონდა იმხელა ფასი, როგორც დანარჩენ კომერციულ ობიექტებს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახლაც შენარჩუნებული იქნება კომპანიების მხრიდან ეს შეღავათები”, - განაცხადა ვალიშვილმა.

მისივე თქმით, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ყველაფერზე თავისი გავლენა იქონია და შესაბამისად, ამ ფასზეც.

„როგორც იცით, ჩვენ საქართველოში ბუნებრივ გაზს ვერ მოვიპოვებთ, დამოკიდებულები ვართ იმპორტირებულ რესურსებზე, სადაც ანგარიშსწორება სწორედაც რომ უცხოურ ვალუტაში ხდება”, - აღნიშნა ვალიშვილმა.

მისივე თქმით, როგორც კი კურსმა ცვლილება დაიწყო, ტარიფი მაშინვე არ გაზრდილა.

“შესაბამისად, ეს რყევები სადღაც ვიღაცას უნდა გადაეფარა, ანუ კომპანიებმა შეძლეს ის, რომ რამდენიმე თვე თავისი შიდა რესურსით ეს პერიოდი გაატარეს, მაგრამ უკვე სავარაუდოდ, მიწოდების პრობლემა დადგებოდა. თუ ვალები დაგროვდებოდა და გადახდის შესაძლებლობები აღარ ექნებოდათ, ბუნებრივია, ამას შეეძლო, პოტენციურად მიწოდებაზეც ემოქმედა და უწყვეტ გაზმომარაგებაზე გარკვეული ეფექტი ჰქონოდა. ამიტომ როდესაც კოპანიებმა ეს საკითხი დააყენეს, ბუნებრივია, ამ დროს სუბსიდიაზე უნდა ვილაპარაკოთ, რომელიც ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მოსახლეობაში ისევ გაგრძელდება, რადგან ამის ვალდებულება ხელისუფლებას აქვს აღებული. შესაბამისად, მოსახლეობის ნაწილში გაზრდილი სუბსიდირება გაგრძელდება, მაგრამ სამწუხაროდ, ბიუჯეტი მთელ კომერციულ სეგმენტს და მთელი ეკონომიკის ამ ეფექტს, ვერ გადაფარავდა. აქედან გამომდინარე, კომპანიებს გაკოტრებაზე, ასე რომ ვთქვათ, ვერ მივუშვებდით. ყოველ შემთხვევაში, არგუმენტიც არ არის, რომ ვთქვათ - არა. წინადადებით შემოვიდნენ და ბუნებრივია, მიზნშეწონილობის ფარგლებში დაასაბუთეს, რომ ეს აუცილებელი გადასადგმელი ნაბიჯი იყო“, - განაცხადა ვალიშვილმა.

მინისტრის მოადგილის თქმით, სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა არ იგეგმება.

„იცით, რომ აქამდეც სუბსიდირებული და განსხვავებული ტარიფი აქვს მომხმარებელს, თითქმის ნახევარი, ვიდრე კომერციულს და შესაბამისად, ამ სუბსიდირებას სახელმწიფო გააკეთებს, ეს არის ბაზრის გარკვეული ნაწილი და ამის რესურსები მობილიზებულია იმისთვის, რომ მოსახლეობას კურსთა შორის სხვაობით, თუ სხვა მიზეზით გამოწვეული ფასის ზრდა არ შეეხოს”, - აღნიშნა ვალიშვილმა.

2015 წლის 1 მარტიდან, თბილისში, იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფი 15 თეთრით გაძვირდება. კერძო კომპანიები და დაწესებულებები ერთ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 15 თეთრით მეტს - 75-ის ნაცვლად 90 თეთრს გადაიხდიან.

**რედაქციისგან: „საერთო გაზეთის“ რედაქცია მზად არის თავისი მოსაზრების გამოთქმის საშუალება მისცეს წერილში დასახელებულ ყველა პიროვნებას.**

ზუგდიდში ყველა სოციალური, თუ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხზე „დრტვინვა'' გადაფარა ყოფილი თავდაცვის მინისტრის – ბაჩანა ახალაიას წიგნის „ სოხუმი – ჩემი იერუსალიმის''გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა და აზრთა სხვადასხვაობამ. ზუგდიდელები, როგორც ეს დემოკრატიისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც 2012 წლის არჩევნებისა და შემდგომი პერიოდის განმავლობაში ხდება, „ბარიკადების'' სხვადასხვა მხარეს „აღმოჩნდნენ'' ამ შემთხვევაშიც. მმოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ახალაიებს არა აქვთ, საზოგადოებასთან გამოსაჩენი პირი და პოლიტიკური აქტივობის უფლება, შესაბამისად მათ არც იმის უფლება აქვთ, რომ ზუგდიდში მოაწყონ წიგნის პრეზენტაცია და ამით კიდევ ერთხელ სცადონ ნაციონალური მოძრაობისა და „ახალაიების „კლანის'', როგორც პოლიტიკური გვამების რეკრიმინაცია. აქვე, ნუ დაგვავიწყდება, რომ როლანდ ახალაია, ბაჩო ახალაიას მამა, დღემდე პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატია და, რა თქმა უნდა, მას ზუგდიდში თავისი დასაყრდენი ბირთვი ჰყავს.



სწორედ ახალაიების გარემოცვა, ნაციონალური მოძრაობის წევრები და „თავისუფალი ზონის'' აქტივისტები, ცდილობდნენ

# რა საჭიროა წიგნი, რომელიც სატანის გზას ტაძართან მისასვლელ გზად შემოგვაჩეჩებს?

კვირის განმავლობაში, აღნიშნული წიგნის პრეზენტაციის მოწყობას ზუგდიდის ცენტრში, თუმცა მათ დაგეგმილი ღონისძიება რამდენჯერმე ჩაუშალეს ზუგდიდელებმა საკმაოდ ხმაურიანი გამოსვლებით. „შაბათს, 31 იანვარს მათ ქალაქის გარეუბანში, ფაიფურის დასახლებაში გადაინაცვლეს, საბანკეტო დარბაზ „ნიკალაში.'' გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზენტაციაზე დასასწრებლად მათ სხვა რაიონებიდან ჩამოჰყავდათ ხალხი, აგრეთვე, თბილისიდან ელოდებოდნენ „პარტიულ ნომენკლატურას''.

უჩვეულო არაფერია იმაში, ზუგდიდი ყალყზე დაეყენებინა ახალაიების, რბილად რომ ვთქვათ, პრეტენზიულ სურვილს, ბაჩანა ქვეყნისთვის წამებულის შარავანდედით შეემოსათ და სოხუმის დაბრუნების ერთადერთ გზად ახალაიებისა და ნაცმოძრაობის „გზა'' „შემოეჩეჩებინათ'' ათასგზის დარბეულ და ჭირვარამგამოვლილ სა-



მეგრელოსთვის. ამიტომ, შაბათს, დილიდანვე უწყვეტ ნაკადად იწყო ხალხმა ქალაქის ცენტრისკენ სვლა, სადაც პრეზენტაციის საწინააღმდეგო აქცია დაგეგმა ზუგდიდის საზოგადოებრივმა დარბაზმა.

მრავალრიცხოვან აქციას უძღვებოდა კოალიცია „ქართული ოცნების'' წევრი, მწერალი ლაშა გვასალია. „დღეს როლანდ ახალაია, შვილის - ბაჩო ახალაიას წიგნის „სოხუმი – ჩემი იორუსალიმის'' პრეზენტაციას მართავს და გვინდა, შევახსენოთ საზოგადოებას, რომ ამ ადამიანებს, არა აქვთ უფლება, თუნდაც ამ წიგნის პრეზენტაციაზე, ასე ხმამაღლა ისაუბრონ აფხაზეთზე. აარა აქვთ უფლება, ასე ხმამაღლა ისაუბრონ იმ ცნობიერებებზე, რომლის წინააღმდეგაც თავად იბრძოდნენა ამ წლების განმავლობაში. იმიტომ, რომ აფხაზეთი არის ზოგადქართული ცნობიერების უმთავრესი ნაწილი და სწორედ ამ ზოგადქართული ცნობიერების წინააღმდეგ იყო მიმართული მათი ბოროტება. ეს წიგნი არის კიდევ ერთი გადაგდებული ანკესი საზოგადოების წინააღმდეგ'', მიმართა მან მომიტინგეებს.

აქციაზე მოსული ხალხი ერთსულოვნად აპროტესტებდა არამარტო ახალაიას წიგნის პრეზენტაციას, არამედ ახალაიების ყოველგვარ პოლიტიკურ აქტივობას. თუმცა მოგვიანებით ნაციონალურმა მოძრაობამ საინფორმაციო საშუალებებით გააკეთა განცხადება, თითქოს, ხელისუფლებამ მოტყუებით გამოიყვანა ხალხი აქციაზე და როგორც კი ხალხმა სიმართლე გაიგო, მალევე დაიშალა. საპასუხო გამოსვლაში ზუგდიდის ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ – მერაბ ქვარაიამ უარყო ეს ფაქტი. მან განმარტა , რომ აქცია თავად საზოგადოებამ, საზოგადოებრივმა დარბაზმა დაგეგმა და ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია, თუმცა მან საჭიროდ ჩათვალა აქციაზე ყოფნა, როგორც საზოგადოების ერთერთმა წევრმა. „მე ვიქნები ყოველთვის ხალხის მხარეს და ხალხთან'', განაცხადა მან. აქციაზე იმყოფებოდნენ და ხალხს სიტყვით მიმართეს კახა მიქაიამ, სოსო ლაგვილავამ, მადონა მაქაცარიამ, მოძრაობა „ქალები მშვიდობისათვის'' ლიდერმა ლალი ანთიამ, ზაზა პროკოპენკომ...

მოგვიანებით, ცოცხებითა და კვერცხებით „აღჭურვილი,'' რიცხობრივად გაზრდილი აქციის მონაწილეთა ტალღა ფაიფურის დასახლებას მიაწყდა. წიგნის პრეზენტაციის ორგანიზატორებმა მათ პოლიციის თანამშრომელთა კორდონი დაახვედრეს. ხალხმა სცადა პოლიციელთა ცოცხალი კედლის გარღვევა და დარბაზში შეღწევა, რომლის დროსაც აქციის რამდენიმე მონაწილე დაშავდა. სამართლისდამცავებმა აქციის ორი მონაწილე პატიმრობაში აიყვანეს, რომელთაც ფულადი ჯარიმა დაეკისრათ წვრილმანი ხულიგნობის მუხლით.

დარბაზის შესასვლელთან მიმდინარე ხმაურიანი შეხლა- შემოხლისა და კახა მიქაიას კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, გამობრძანებულიყო მაჟორიტარი დეპუტატი „როლანდინიო'' ახალაია ხალხთან და გაეცა პასუხი ხალხისთვის, სადამდე გასტანდა მათ მიერ ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრის პოლიტიკა, წიგნის პრეზენტაცია „მშვიდად'' გააგრძელეს პრეზენტატორებმა. პარლამენტარებმა, წიკლაურმა და მინაშვილმა, როგორც შემდეგ საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს, გმირად შერაცხეს პატიმარი ახალაია, თუმცა უპასუხოდ დარჩა ხალხის შეკითხვა, აწუხებდა თუ არა სინდისის ქენჯნა „მწერალ'' ახალაიას, მაშინ, როდესაც თვითონ პატიმრებს ცოცხებით აუპატიურებდნენ და გაუგონარ სისასტიკეებს ჩადიოდნენ. სამეგრელოში, მეგრულ ოჯახებში ქორწილებია შეწყვეტილი, ახალაიების მიერ გაუბედურებული, გაუპატიურებული, შეურაცყოფილი ადამიანები თავზარდაცემული და გაოგნებული სხედან დღემდე სახლში.

— მათ როგორ უნდა მივცეთ უფლება, ილაპარაკონ პატრიოტიზმზე, სამშობლოზე, აფხაზეთზე, ამბობს ლაშა გვასალია. ემოციური განცხადება გააკეთა კახა მიქაიამაც: „აფხაზეთი მე არ ჩამიბარებია. მე არ წამიგია აფხაზეთი, კოდორი, ოსეთი, ზხ - ახალაიებმა, სააკაშვილმა წააგეს და ჩააბარეს. აფხაზეთში მე უნდა დავბრუნდე, ქართული საზოგადოება უნდა დაბრუნდესა ახალაიასა და მისი მოღალატე შვილების გარეშე. ახლა მე მაინტერესებს „როლანდინიო' ახალაია ვირით შევა იერუსალიმში, ჰამერის ჯიპებით, თუ წითელი ხალიჩით.''

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: წიგნის- „სოხუმი- ჩემი იორუსალიმის'' პრეზენტაციის ორგანიზატორებმა საზოგადოებას კიდევ ერთი ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს, თითქოს, ზუგდიდელები ზოგადად წიგნის წინააღმდეგ აცხადებდნენ პროტესტს, წიგნის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და ამით კიდევ ერთხელ მიაყენეს საზოგადოებას შეურაცხოფა. ზუგდიდში ოდითგანვე იყო წიგნის კულტი, მაგრამ... წიგნიცაა და წიგნიც...

**ფატი ნაჭყებია**

**ზუგდიდი**

# სამეგრელოს მოუშუშებელ იარებზე მარილს ნუ მოაყრით!

როგორც ეროვნული მოძრაობის ერთერთი წევრი, ეროვნული გვარდიის ქალთა ბატალიონის - „ნანას'' მეთაური, გვარდიის მაიორი ჩემი თანამებრძოლებისა და შვილდახვრეტილი ოჯახების, „მხედრიონელებისგან'' გადაბუგული წალენჯიხისა და დარჩელში დაზარალებული ადამიანების სახელით, ვაკეთებ განცხადებას, ტელეკომპანია „იმედის'' ჟურნალისტის – ეკა ხოფერიასა და არხის ხელმძღვანელთა, თუ მეპარტონეთა მისამართით:



დალი ლატარია

ბოიკოტს ვუცხადებთ „იმედის'' გადაცემებს: „ეკა ხოფერიას შოუ'' და „იმედის კვირას'' და შეიძლება, „იმედის'' არხის წინ საპროტესტო აქცია მოვაწყოთ, იმ პირტიტველა ბიჭების სურათებით, რომლებიც მართლაც გმირულად იცავდნენ საქართველოს მთლიანობასა და მის პრეზიდენტს და რომელთა ხსოვნა, რომელთა ცხედრებიც შეურაცყოფილიქნა ეთერიდან, გუგეშაშვილის უსინდისო განცხადებებითა და საერთოდ, გადაცემაში მისი მოწვევით.

ქალბატონო ეკა, გუგეშაშვილის ყოველი სიტყვა, მისი ყოველი ქმედება, რომელიც ლამის გმირის მანტიით გინდათ შემოსოთ, თქვენდა სამარცხვინოდ, ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია, რადგან სამეგრელოს, ზოგიერთებისგან განსხვავებით, „მოკლე მახსოვრობა'' არა აქვს. მან კარგად იცის ამ სატანის მოციქულმა რაც გააკეთა სატანა იოსელიანთან ერთად, ჩვენს კუთხეში. სწორედ მათ გადაწვეს დარჩელი. არ დატოვეს სოფელში მსხვილფეხა საქონელი და შინაური ფრინველი, რათა შიმშილით ამოხოცილიყო მოსახლეობა. ამ ვანდალური ფფაქტების ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ და მრავლად იპოვით. ასევე „მიწისაგან პირისა'' აღგავეს წალენჯიხა.



დოდო გუგეშაშვილი

ეკა, ჩადით წალენჯიხაში და თუ ვინმემ მოინდომა გუგეშაშვილისთვის ბოდიშის მოხდა, მაშინ მე ფულად ჯარიმას გადავიხდი და პირველი მე მოვუხდი ბოდიშს გუგეშაშვილს. საკითხავია, თქვენ თუ იცით, თუ გაგიგიათ ზუგდიდელი გოჩა ჯიქიასა და მამამისის- ჭიჭიკო ჯიქიას ტრაგიკული ისტორია: დედის თვალწინ დახვრიტეს მხედრიონელებმა მეორე კურსის უნიჭიერესი სტუდენტი გოჩა ჯიქია, - ყოვლად უდანაშაულო ბიჭი, რომელსაც დედ-მამა იმ საბედისწერო დღეს ქუთაისში აცილებდა. დედა ეხვეწებოდა მათ, ერთი შვილი მყავს და ნუ მომიკლავთო, უპასუხეს: ერთი რომ გყავს, იმიტომ უნდა მოგიკლათო და შვიდჯერ დაახალეს ავტომატის ჯერი. ეეს ამტკიცებს იმას, რომ იუდა გუგეშაშვილსა და „მხედრიონელთა ბელადისგან'' განსაკუთრებული მითითება ჰქონდათ, გაუგონარი სისასტიკით დაესაჯათ სამეგრელო და მეგრელები, სამშობლოსა და კანონიერი პრეზიდენტის სიყვარულისთვის. გავეშებული, სისხლმოწყურებული გუგეშაშვილის სახე აშკარად გამოიკვეთა თქვენს გადაცემაშიც, თუმცა თქვენ, რატომღაც, ლიბრი გადაგეკრათ თვალებზე და მონდომებით ცდილობდით, ცოტნეს გმირობის მაგალითზე გაზრდილი ქართველებისთვის, თანამედროვეობის „ახალი გმირი'' სატანა გუგეშაშვილი „შემოგეჩეჩებინათ'' და პათეტიკურადაც კი დასვით შეკითხვა, ვინმე არ არის ამ დარბაზში ბოდიში რომ მოიხადოსო?

აი, მე გეკითხებით, რატომ ერთხელ არ დაინტერესდით იმ ოჯახებით, რომლებმაც რამდენიმე შვილი შესწირეს საქართველოს? ცნობისთვის, რამდენიმეს მე ჩამოვწერ: ძმები ესებუები, ვაწაძეები, ბენდელიანები... რომან ფუტკარაძე და თენგიზ ბულია, რომლებიც ხობში აწამეს და მრავლობითი ჭრილობით ცოცხლად დამარხეს მიწაში...(დაინტერესებულებს შეუძლიათ ხობში ნახონ ეს აკლდამა- მემორიალური დაფით - „ხუნტამ წამებით დახვრიტა)'' მხედრიონელებმა ზუგდიდში შემოჭრის დღეს 6 უდანაშაულო ბიჭი, ხელ-ფეხ გაკოჭილი, თავდაღმა „დაყარეს'' მიწაზე, ლინჩის წესით დახვრიტეს და სამეგრელოში კომენდატის საათი გამოაცხადეს. სოფელ რუხში, 7 თვის ორსული ქალი საკუთარ ეზოში, ჭასთან

დახვრიტეს... გავაგრძელო ჩამოთვლა, თუ აქ შევჩერდეთ? – ამის შემდეგ, გეყოფათ კიდევ უტიფროფა, უსინდისოდ იყბედოთ გუგეშაშვილის გმირობაზე და მოითხოვოთ ბოდიშის მოხდა უკრაინის „ძალადჭირისუფალის თვის''...

**ჩვენ, გოლგოთაგამოვლილ სამეგრელოს, თქვენგან განსხვავებით, არავის ბოდიში არ გვინდა, მაგრამ ჯერაც ახალ, მოუშუშებელ, სამუდამო ჭრილობებზე მარილს ნუ მოგვაყრით, იმისთვის, რომ სანახაობა მოაწყოთ... მე გეკითხებით, თუ ობიექტურად გინდათ გააშუქოთ საკითხი, რატომ ერთხელ არ მოიწვიეთ თქვენს გადაცემებში სამეგრელოდან ეროვნული მოძრაობის ლიდერები, თუ გნებავთ, რიგითი ზუგდიდელები, შაოსანი დედები... წუთუ არ გაინტერესებთ, რა მოხდა სამეგრელოში. ჩვენ ხომ არავის, არცერთ კუთხეს არ დავცემივართ თავს, იქით ხომ არავის მივვარდნილვართ, აქეთ მოგვივარდა „მხედრიონი'' და სხვა „ათასი რჯულის'' მარადიორი.**

მიზანი, ეტყობა, ერთი აქვს თქვენს გადაცემს: ისევ გინდათ გაალვივოთ ნაპერწკალი მტრობისა და ისედაც დაძაბულ დროში, კვლავ დიდი ხანძარი გააჩინოთ, რომელიც ყველაფერს დაწვავს და მაშინ მართლაც არაფერი დარჩება საქართველოსგან, გარდა ფერფლისა.

რაც შეეხება უკრაინას და ამ თემით მანიპულირებას, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, ყველა მათ, ვინც უკრაინის განთავისუფლებას შესწირეს თავი, მაგრამ არც ის გვავიწყდება, შევარდნაძემ რომ უკრაინის საზღვაო



ეკა ხოფერია

ფლოტი დაიქირავა, ბალტინის მეთაურობით, საქართველოს ეროვნული გვარდიის გასანადგურებლად... ტანკებზე მსხდომი უკრაინელები როგორ შემოიჭრნენ სამეგრელოში და როგორ გვიტევდნენ ტანკებით... სხვის ომში გამოჩენილი სიმამაცე არას გვარგებს ქართველებს, მითუმეტეს გუგეშაშვილებისა და მათი თანამოაზრეების.

უფალი იყურება მაღლიდან. ნუ წამლავთ ცრუპატრიოტიზმით ახალგაზრდებს და.. ნურც 30 ვერცხლით ნუ აცდუნებთ, იუდას მოციქულებო!..

**დალი ლატარია,**

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წევრი, ეროვნული გვარდიის ქალთა ბატალიონის „ნანას'' მეთაური, გვარდიის მაიორი**

...მეტრო „სამგორის“ ქვედა მიმდებარე ტერიტორიაზე იმდენი ბაზარი როგორ აღმოცენდა, იქ მაცხოვრებელი ხალხიც კი დაბნეულები არიან. გვიან ღამით მხოლოდ რამდენიმე საათით თუ შეწყდება ყიდვა-გაყიდვა, ისიც რაღაც გარკვეულ ადგილზე. ღამის 10-11 საათიდან მწვანილის გამყიდველები იწყებენ „მოღვაწეობას“. სხვადასხვა სახის მწვანილს დიდ კონებად ყიდიან, გინდა თუ არა იქ შესულ ადამიანს, თუ გარისკა, უზარმაზარი კონის ყიდვა მოუწევს. თუმცა იქ და მით უფრო იმ დროს უბრალო მყიდველი არ მიდის. ყიდულობენ მხოლოდ ისინი,. რომლებიც გარომ გითხრა, ხშირად ვაშლის მოყვანა ზარალიანი საქმეა. ამ ფასად რომ გაყიდო ადამიანმა, შეიძლება სარგებლის მაგიერ იზარალო კიდეც. მოხვნა-დაბარვის გარდა უამრავი შხამ-ქიმიკატებია საჭირო, აბა, ახლა იმათი ფასიც ნახე და თავადაც გაიგებ, ღირს თუ არა წვალებად. სოფელს და გლეხებს უფრო მეტი დახმარება გვჭირდება, განსაკუთრებით, გასაღების საკითხში“, — გული გადამიშალა ადამიანმა.

ხილთან, კარტოფილთან, კომბოსტოს მანქანების გვერდით ყველი იყიდება. ფასი 4-5 ლარით იაფია, რომელსაც ყიდიან მაღაზიებსა თუ საცალო ბაზრებში. უნდა გვქონდეს. მიზეზების ძებნა შორს წაგვიყვანს, მაგრამ გლეხი კაცი, რომელიც თავად ყიდდა საკუთარ პროდუქციას, თბილისის ბაზრებიდან გავდევნეთ. ფასებიც საგრძნობლად იმატებს.

საბითუმო ბაზრებში მანქანების შესვლა ფასიანია. სატვირთო მანქანები, რომლებიც პროდუქტით ვაჭრობენ, დღე-ღამეში 16 ლარს იხდიან. თვალი რომ გადავავლე, 40-50 ასეთი მანქანა იყო ერთ ბაზარში. უგზოობა რომ დავიჩივლე, ერთ-ერთ გამყიდველს გაეცინა: „რა გზაზე ლაპარაკობ, ელემენტარულად ტუალეტი არ გვაქვს, ზოგი სად იკმაყოფილებს ბუნებრივ საჭიროებას და ზოგიც



# გადამყიდველები

თენებისთანავე ორმაგ ფასში შემოგვასაღებენ ღამით იაფად ნაყიდ მწვანილს.

კარტოფილით, კომბოსტოთი, ხახვით, სტაფილოთი თუ სხვა პროდუქტებით დატვირთული უამრავი სატვირთო მანქანებია. თუმცა მათი კლიენტებიც სხვადასხვა ადგილებზე მოვაჭრეები არიან. 3-5- კილოს არავინ აგიწონის ადამიანს, ბევრი უნდა წაიღოო, ამუნათებენ ადამიანებს. ბითუმად კარტოფილს 80, 90 თეთრად ყიდიან. იგივე კარტოფილი კი სულ რაღაც 50 მეტრის მოშორებით უკვე 1,30 ლარი ღირს, ყველა გამყიდველი ამტკიცებს, ახალციხის კარტოფილიაო. იშვიათი გამონაკლისი შეიძლება მოხდეს და რომელიმე გამყიდველმა პატიოსნად აღიაროს თურქული საქონელიაო. როგორც საიდუმლოდ მითხრა ერთ-ერთმა ნაცნობმა, ერთმანეთში ურევენ თურქულ და ქართულ კარტოფილს და ისე ყიდიანო. იგივე სიტუაციაა სტაფილოს, ხახვის შემთხვევაშიც.

თბილისის ბაზრებში ხილიც უამრავი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ფასებიც ხარისხის მიხედვით სხვადასხვაა. „შენი ბაღის ვაშლია?“ — ვკითხე ერთ-ერთ ბითუმად მოვაჭრეს, რომელიც გორის რაიონის მცხოვრებია. „არა, სად მაქვს იმდენი ვაშლი, ასე ვყიდო. მეც ნაყიდი მაქვს. სიმართლე თუმცა ყველის ვაჭრები ნებისმიერი რაოდენობის პროდუქციას უპრობლემოდ მოგყიდიან. თუმცა შემოწმებული არ არის, მაგრამ ვიზუალურად ცუდი ნამდვილად არ ჩანდა. ასეა ყოველდღე ორშაბათიდან ორშაბათამდე.

1992 წლიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის თავის გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად აღებ-მიცემობა იქცა. ადრე გლეხს თავად ჩამოჰქონდა პროდუქცია და აქ, ადგილზე ყიდულობდნენ გადამყიდველები. აგერ უკვე რამდენი წელია, რომ გაჭირდა რაიონებიდან თბილისისკენ ბარგით მგზავრობა. კახეთისკენ ელექტრომატარებელი ორ ათეულ წელზე მეტია, აღარ დადის, რაიონებში მხოლოდ მიკროავტობუსებით შეიძლება გადაადგილება. გლეხს ფაქტობრივად, შეეზღუდა გადაადგილების და პროდუქციის თბილისამდე ჩამოტანის საშუალება. ამ გარემოებამ წარმოშვა ბითუმად მოვაჭრეები. სქემა ერთი შეხედვით მარტივია — ვისაც აქვს საშუალება, მიდის რაიონში და ყიდულობს გლეხისგან პროდუქციას, რომელსაც თბილისში ყიდის, მასზე, ვისგანაც უკვე ჩვენ ვყიდულობთ. პროდუქციას ფასები თავისთავად ემატება და ჩვენ გვიკვირს, რატომ ძვირდება თუნდაც მწვანილი, რომელიც ფაქტობრივად თავზე საყრელი სადო“. გარშემო ანტისანიტარია აშკარად თვალშისაცემია. ჩვენ ამ დროს სუფთა დედაქალაქისთვის ვიბრძვით, ვაჯარიმებთ ქუჩაში სიგარეტის ნამწვავის გადაგდებისთვის (სამართლიანადაც), მაგრამ სადაც საკვები პროდუქტები იყიდება, მიგდებულია. „რამდენიც გინდა დავალაგოთ, მაინც აბინძურებენო“, — დაიჩივლა დამლაგებელმა. მისივე თქმით, ზაფხულობით უამრავ პროდუქტს სანაგვეში ყრიან. „ზოგჯერ გული ამიტირდება, როდესაც გაფუჭებულ კიტრს, პომიდორს, კარტოფილს ყრიან ბუნკერებში. ხილსაც. განა ცოტას, კაცო, მეშოკებით ყრიან! დალოცვილებმა, იაფად მაინც გაყიდონ, უფრო ნაკლებს იზარალებენ. ან თუ არა, ხომ ხედავ, რამდენი გაჭირვებული დადის, ცოტა იმათ მაინც მისცენ, მადლიერი საქმე მაინც გააკეთონ!“

ქვეყანაში უამრავი პრობლემა რომ დაგვიგროვდა, აშკარაა. მათ შორის, ვაჭრობის სფეროში. თავად მოვაჭრეებსაც უამრავი პრეტენზიები აქვთ, თუნდაც ყოველდღიური გადასახადები, რაც ფასების მატების ერთ-ერთი მიზეზია. როდის მოიცლიან და მოწესრიგდება ბაზრები, უცნობია. მანამდე კი ჩვენც მივყვეთ საბაზრო ეკონომიკას, სხვა რაღა დაგვრჩენია.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**— შეიძლება თუ არა, ბრალდებულმა თვითონ მოიპოვოს მტკიცებულება?**

-შეიძლება და ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას, გამომდინარე შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან. ეს მტკიცებულება ბრალდებულმა უნდა მოიპოვოს საკუთარი ხარჯით. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

* * *

**— არის თუ არა საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად მხოლოდ ბრალდებულის აღიარება?**

— არა.

საქართველოს სისხლის სამართლსი საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას“.

* * *

**— რა იგულისხმება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევაში? რა ვადით ხდება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან, ასევე ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

ავეჯის
გადაზიდვა

593 20 46 87

# რომელ დაავადებებზე შეიძლება მიმართოთ პროფესორ ოთარ წიწილაშვილს?

ბიოლოგ ოთარ წიწილაშვილს ბუნებრივი, ფიტოთერაპიული მეთოდით მკურნალობის ორმოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს. დღეს, როცა კლასიკური მედიცინა ფიტოთერაპიასთან კომპლექსში თანამედროვე მედიცინის განუყოფელი ნაწილი გახდა, მისი მკურნალობის მეთოდები საუკეთესოა. ამიტომ ვისაც არ სურს ქიმიური პრეპარატების მიღება და ბუნებრივი გზით სურს განკურნება, შემდეგი დაავადებების დროს შეგიძლიათ მიმართოთ მას, ესენია:

- სასუნთქი სისტემის ორგანოების
- სისხლძარღვთა სისტემის
- საჭმლის მომნელებელი სისტემის
- შარდსასქესო სისტემის
- ნერვული სისტემის
- სისხლის დაავადებები
- ძვალ-სახსართა სისტემის
- კანის დაავადებები
- თვალის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი
- ბუნებრივი კოსმეტიკა

ტელ.: 599 53 32 00; 2 14 26 73



# ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი" დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს".

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:

571 05-94-89; 593 65-63-03; 2 67-32-06



ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

თიბისი ბანკი

0 901 500 540

ა/ნ GE88TB1117236080100001


თათია მახარაშვილს!



გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე საქართველოს სასახელო ქალი. იყავი მუდამ ბედნიერი, ძლიერი მხიარული და ლამაზი, როგორიც ახლა ხარ.

„საერთო გაზეთი"





# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურნალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, ალმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ ძალოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – კვირის დასაწყისში ემოციურ გადაღლილობას იგრძნობთ, რაც გააძლებინებს ურთიერთობების დარეგულირების და საჭირბოროტო კითხვების დადებითი კუთხით გადაწყვეტას.

**კურო** – ეს კვირა თქვენთვის საკმარისზე მეტად დატვირთული იქნება. ამიტომ ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას სერიოზულად და ყურადღებით მოეკიდეთ. ნუ გამოავლენთ ხასიათის უარყოფით ნიშნებს.

**ტყუპები** – კვირის დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემები გარკვეულწილად გაგანერვიულებთ, რის გამოც, მოსალოდნელია კონფლიქტურ სიტუაციებშიც აღმოჩნდეთ ჩართული. შეეცადეთ იყოთ ზომიერი.

**კირჩხიბი** – არ იზარმაცოთ და არ მოდუნდეთ, რომ თქვენი გეგმებისა თუ საქმეების ჩაშლა არ მოხდეს. საჭიროა აქტიურად იმოქმედოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოთ წინ. გაფრთხილდით საუბრის დროსაც, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ წამოგცდეთ და თქვენი სიტყვა მომავალში თქვენს წინააღმდეგ არ გამოიყენონ.

**ლომი** – მიმდინარე კვირაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოგიწევთ – ამ საქმეთა უმრავლესობა კოლექტიურ საქმიანობასთან და მოგზაურობა-გადაადგილებასთან იქნება დაკავშირებული.

**ქალწული** – გირჩევთ, ამ კვირაში არ მოინდომოთ სერიოზული საკითხების გადაჭრა, ნურც რაიმე „გმირობის" ჩადენას მოიწადინებთ, რადგან მოსალოდნელია, რომ მაქსიმალური ძალთა ხარჯვით მინიმალურ შედეგს მიაღწიოთ.

**სასწორი** – წარმატებით გააგრძელეთ ადრე დაწყებული საქმეები. მოგიწევთ უამრავი სასარგებლო შეხვედრა. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების მრავალ სფეროში.

**მორიელი** – მეტ-ნაკლებად სასიკეთო პერიოდი იქნება, გამოავლინეთ მეტი თავდაჭერა და ინტუიცია. კვირის ბოლოს შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიოთ.

**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია, მოგეჩვენოთ, რომ საქმე ერთ წერტილზეა გაყინული და წინ აღარ მიდის, თუმცა ეს ასე არ არის.

**თხის რქა** – მოერიდეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას და არაფრისმომცემ საუბრებს. შესაძლოა, იმპულსურობა და მოუთმენლობაც გამოამჟღავნოთ, რასაც, ბუნებრივია, შეცდომების დაშვება მოჰყვება.

**მერწყული** – თქვენთვის ეს პერიოდი სასიკეთო იქნება. მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი გონებრივი შესაძლებლობები, რაც ცხადია, თქვენს წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

**თევზები** – შეეცადეთ, არ იყოთ უსაქმოდ და მიმდინარე პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენოთ. თქვენთვის მეტად პროდუქტიული იქნება კვირის დასაწყისი – იმოქმედეთ და დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს.

ISSN 2233-3983
9 772233 398001